

ისტორიანი

აქტიურობა
საინჟინერო

ჯანჯანი
იხსტორიანი
ბუნებრივი
შედეგი –
საბჭოთა
ბუნებრივი?



ყარაოლი
და ჯინსო
ძველი თბილისის
იხსტორიანი

ქართული ბიზნისი

ანა ანდრონიანი
დიდი მოუბრა
12 ნომერი

ნომერი IX
ფასი 3 ლარი

ნომერი „ისტორიანი“ ერთად – 6 ლარი

საქართველო
საქართველო
ქვეყნა

ბოლო
თავდასრულება

„სახალხო
ლოცვის
და ჯინსო
მედიცინის“
– ქვეყნა

ქვეყნის
სახალხო

ანა ანდრონიანი
იხსტორიანი
სახალხო



10




8



44



36



30



7



14

სახიჩვი

ახალი ამბავი
 საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევის
 ორიგინალი გაქრა 6

მოხლე ამბავი
 უკველესი „აღმავნებელი“ გელადი
 მაინს ტოშიდან 7

ოვკსა და იშხანს ქართული
 სავიციანტოები „უკატრონებენ“ 8

ახალი ამბავი
 მევამ კეროლეს საბანკური 10

ახალი ნიშნები
 ჯერტილდასმული „ლაჭური ლემსიკონი“ ... 11

ქართულები საზღვაოხაზით
 ახალი ქართულ-ირლანდიური საბა 14

ქართული საბანკო
 მოქმის უნიკალური ოთხთავის
 ბაღასარჩენად 22

საბჭოთა ელექციის პოხიხაბები
 ლავრენტი ბერია თანამედროვეთა
 თვალით 30

ქველი თბილისის ისტორიიდან
 მარაჩოლელი და კინტი 36

საქართველო და ბაჩა საყვარელი
 საქართველო საჯალათო კუნძუნი 44

შუასაუკუნოხივი სილუეტოხანი
 ალქიმიკოსები 50

მესამე ხივის ბაღიხა
 გმსტავოს შვივი — საბჭოთა აგმტი?! 56

სამხელო ავიაცი
 გერმანელი პილოტების საყვარელი
 „ღმიდა იუ“ 63

ახანისი ხანები
 საქართველოს „უცნობი“ მერობლები 66



74



81



82



90



106



100

სახიჩვი

მოხალ აბაბი	სპოხის ისოხი
ლენინის შუბის კონკურენტი ბამოუნდა ... 73	ბოლოვის თაგბადასავალი 100
ხაოხიუი ჯანახთიონ	მოხალ აბაბი
ქართული მინს „ღესანნი“ ჯანახთიონი 74	პაპის ბადღობა კირველად არ სღება .. 105
ახალი აბაბი	სოუჰიუა
750 წლის მაგები არქიტექტურის	რეზო ჭიმვილი: სედიანი სულ
შედგობისთვის 81	ვიყავი, სალსი ვერ სედიანა, უბრალოდ... 106
მსოფლიო სოზილი სინა-აიხაუბი	ახილი
„სასახლე ღმერთისთვის და ქონი	ჯაალ ჩხიმი: ისტორია უცნაურ და
მეფისთვის“ – მსკორალი 82	საინტერესო მოვლენათა
ბიძოლა ნახილი: ღაიის ფანოანი	ჯაჭვიბი 111
ყველაზე უცნაური ღუმელები მსოფლიოში ... 90	„ისოხიანი“ ბავშვისთვის
ბილანონი	500 ფაქტი ისტორიიდან 114
ბადღემა „ისტორიანი“ –	სპანვილი 122
მობაშპრობა წარსულში 98	

ხელახლოვის სვეტი

ძველი თბილისის ყოველდღიური ცხოვრება აღსავსე იყო კოლორიტული სახეებით — თულუხებით, სირაჯებით, მენახშირეებით, ხაბაზებით... ყველაზე მრავალრიცხოვანი ყარაჩოღელები და კინტოები იყვნენ. თბილისელთა ყოფა მართლაც წარმოუდგენელი გახლდათ ამ სოციალური ჯგუფის გარეშე. ყარაჩოღელები ამქრის წვერები იყვნენ; ხელოსნები, თავიანთი წესებითა და ადათით განთქმული. მართალია, ისინი წარმომავლობით ქალაქის დაბალ ფენას განეკუთვნებოდნენ, მაგრამ თავიანთი ცხოვრების წესით გამოირჩეოდნენ, განსხვავებული სამოსიც ეცვათ. სწორედ აქედან მოდის მათი სახელიც — ყარაჩოღელი შავჩოხიანს ნიშნავს. ამქარში, რომელსაც უსტაბაში განაგებდა, მკაფიო, საკმაოდ მკაცრი წესები მოქმედებდა. ყარაჩოღელები შრომაშიც თავდადებული იყვნენ და დროს ტარებაშიც ვერავინ სჯობნიდათ. დღესასწაულისას თითოეული ამქარი თავიანთი დროშებით მოივლიდა ორთაჭალას და მერე ხან ტიფებზე ქეიფობდნენ მტკვარზე, ხანაც დუქნებში, მტკვრის სანაპიროზე... თბილისში დღემდე დიდის ლეგენდები ყარაჩოღელთა დარდიმანდულ ქეიფებზე.

კინტო ყარაჩოღელის ანტიპოდი, მეწვრილმანე და მატყუარა. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ჩანაწერებში კინტოს სახე ათასი ჭორ-მართლით წარმოისახა. მოგვიანებით კი ისეთ ამბებსაც ყვებოდნენ, როგორიც მათ თანამედროვეთა ჩანაწერებში არ მოიძებნება. ლამისაა ყველა კინტო მამათმაგლად გამოიყვანეს, რაც მართალი არ უნდა იყოს... მეტიც, XIX საუკუნის ავტორები კინტოებს კრიმინალუბადაც კი მოიხსენიებდნენ, რომლებიც ახლომანლო სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს ჩაგრავდნენ და მარცვავდნენ. შესაძლებელია, ამგვარ დამოკიდებულებას თვით კინტოების „პროფესიამ“ მისცა საბაბი. თბილისელთა დიდი ნაწილი უარყოფითად, აგდებულად უყურებდა ამ ფენას, რაც გამოწვეული იყო სწორედ მათივე საქმიანობით — წვრილვაჭრობით. კინტოები ხშირად იტყუებოდნენ, ლაზღანდარობდნენ, მუშტარს ელაქუცებოდნენ. ბილწისტყვა და იუმორის მოძვერელი იყო მათი საუბარი... ბუნებრივია, სწორედ ამან გამოიწვია კინტოებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

ამასთანავე ჩვენი ერთგული მკითხველი ჟურნალის ამ ნომერში მრავალფეროვან და საინტერესო მასალებთან ერთად გაეცნობა ახალ რუბრიკას — „საბჭოთა ლიდერების პორტრეტები“. პირველ მასალას ლავრენტი ბერიაზე გთავაზობთ.



ჩვენი ერთგული მკითხველი ჟურნალის ამ ნომერში მრავალფეროვან და საინტერესო მასალებთან ერთად გაეცნობა ახალ რუბრიკას — „საბჭოთა ლიდერების პორტრეტები“

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური,
ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე,
მიხეილ ბარნოვი, შოთა მათათაშვილი,
კახაბერ ფალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერილობის მისამართი პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯი“.
ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

საბჭოთა კავშირის დაშლის შეთანხმების ორიბინალი ბაქრა

*ბელორუსიის ყოფილი საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს ასევე ყოფილმა თავმჯდომარემ,
სტანისლავ შუშკევიჩმა ბრიტანულ
„დეილის ტელეგრაფს“ უთხრა, რომ
სახელმწიფო არქივიდან, XX საუკუნის ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, ე.წ.
ბელოვეჟის შეთანხმება გაქრა.*

*საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ შეთანხმების დოკუმენტის ორიგინალი ბელორუსიის
სახელმწიფო არქივში ინახებოდა. შუშკევიჩმა დოკუმენტის გაქრობის ფაქტი მას შემდეგ
აღმოაჩინა, რაც მემუარების წერა დაიწყო და გადაწყვიტა, შეთანხმების ტექსტისთვის
კიდევ ერთხელ გადაეხედა.*



„უკანასკნელად დოკუმენტი მაშინ ვნახე,
როცა ხელს ვაწერდი. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიემართე, რაზეც ზრდილობიანი უარი განმიცხადეს, მიზეზად კი ასლის არარსებობა დაასახელეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ორიგინალი თავად სამინისტროსაც არ გააჩნია. დოკუმენტი, საგარეოდ, მოპარულია“, — განაცხადა სტანისლავ შუშკევიჩმა.

ბელოვეჟის შეთანხმებას საბჭოთა კავში-

შენობა, სადაც ხელი მოეწერა ბელოვეჟის შეთანხმებებს



რის დაშლისა და მის ნაცვლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამმა რესპუბლიკამ 1991 წლის 8 დეკემბერს მოაწერა ხელი. დოკუმენტზე ხელის მოწერიდან 17 დღის შემდეგ, მიხაილ გორბაჩოვი თანამდებობიდან გადადგა და საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

ბელოვეჟის, იმავე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შეთანხმებას ხელი ბორის ელცინმა, გენადი ბურბულისმა (რუსეთი), სტანისლავ შუშკევიჩმა, ვიაჩესლავ კებიჩმა (ბელორუსია), ლეონიდ კრავჩუკმა და ვიტოლდ ფოკინმა (უკრაინა) მოაწერეს. დღეს თანამეგობრობის წევრია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, გარდა საქართველოს, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიისა.

„როცა ბელოვეჟის შეთანხმებას ეწერებოდა ხელი, დსთ ჯერ არ არსებობდა. ხელმოწერისა და თანამეგობრობის შექმნის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩვენ შეთანხმების ნოტარიულად დამოწმებული ასლი გადმოგვცა“, — ამბობს დსთ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. ბელორუსიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ დოკუმენტის მოსაძიებლად ყველაფერს იღონებენ. პირველ ეტაპზე სამინისტროში არქივის ძირისძირობამდე „გადაქექვას“ აპირებენ.

„ისტორიანი“



ტაკალიკ აბაჯის ისტორიული კომპლექსი

უძველესი „აღმაშენებელი“ ბელადი მაიას ტოშიდან

გვატემალის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ პროვინცია რეტალულეუში, ტაკალიკ აბაჯის ისტორიულ კომპლექსში, მაიას ცივილიზაციის ნაშთებს შორის ყველაზე უძველესს მიაკვლიეს. აღმოჩენა ქვეყნის დედაქალაქ გვატემალიდან 180 კილომეტრში მოხდა. მკვლევართა ჯგუფს მიგელ ორეგა ხელმძღვანელობდა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ სამარხი ძვ.წ. 700-400 წლებს უნდა განეკუთვნებოდეს. მიგელ ორეგა ამბობს, რომ სამარხი რამდენიმე ასწლეულით უფრო ძველია, ვიდრე მაიას კულტურა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწევდა. ადამიანის ნაშთებთან ერთად, მიაკვლიეს სამკაულებს, ადამიანის გამოსახულების მსგავს მცირე ფიგურებს. პატარა კაცუნებს თავზე გრიფის სახეობის ფრინველი აქვთ გამოსახული, რაც ძალაუფლებისა და სიმდიდრის სიმბოლოა.

ამის გამო, ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სამარხი ერთ-ერთ ბელადს ეკუთვნოდა, რომელსაც მეცნიერებმა პირობითი სახელი K'utz Chman-ი უწოდეს, რაც მაიას ენაზე ბაბუა გრიფის ნიშნავს. სწორედ ამ ბელადის, „ბაბუა გრიფის“ მმართველობის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს სარიტუალო პირამიდებისა და ადამიანების, ძირითადად მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირთა სკულპტურების შექმნა, რაც დღეს მთელი მსოფლიოს აღფრთოვანებას იწვევს.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით



ფიგურების სტილი მაიას ტომების კულტურის ადრეულ პერიოდს განეკუთვნება



ოზკსა და იზხანს ქართული სპეციალისტების „უპატრონებენ“

ერთწლიანი რთული მოლაპარაკების შემდეგ, თურქეთისა და საქართველოს კულტურის სამინისტროები საერთო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი ძალისხმევით გადარჩენაზე შეთანხმდნენ. აღდგენით სამუშაოებში, რომელსაც თურქული მხარე წარმართავს, ქართველი სპეციალისტების ჩართვისა და მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრების, ბიძინა ივანიშვილისა და რეჯებ ტაიპ ერდოღანის შეხვედრაზე გადაწყდა.

ვიდრე ეს შეთანხმება დაიდებოდა, მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მსჯელობა, რომ ქართულ-თურქული ისტორიული შეთანხმება ითვალისწინებდა ტაოკლარჯეთში ოთხი ქართული ტაძრის — ოშკის, იშხნის, ხანძთისა და ოთხთას რესტავრაციის სანაცვლოდ, საქართველოს ტერიტორიაზე სამი მეჩეთის აღდგენასა და ერთის ხელახლა აშენებას. თუმცა, როგორც ჩანს, დოკუმენტის შინაარსი, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა, ბოლო მოლაპარაკებათა შემდეგ შეიცვალა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პროექტის განხორციელებაში მას შემდეგ ჩაერთვება, რაც ამ საკითხზე იურიდიული დოკუმენტი მომზადდება.

სააგენტომ იშხნისა და ოშკის სამონასტრო კომპლექსების მონიტორინგი ისტორიულ ტაოკლარჯეთში ჯერ კიდევ 2011 წელს მოაწყო. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ორივე ძეგლი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. ამის შემდეგ, კიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის, კულტურულ მემკვიდრეობის სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული ექსპერტთა ძალისხმევით, მსოფლიოს ერთ-ერთ-




მა გაელენიანმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციამ, World Monuments Fund-მა ოშკი მსოფლიოს ყველაზე რთულ მდგომარეობაში არსებულ ძეგლთა ნუსხაში 2011 წელსვე განათავსა.

მონუმენტების მსოფლიო ფონდი 1996 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, აქვეყნებს განადგურების პირას მყოფი ძეგლების სიას მსოფლიო მასშტაბით და მათ გადასარჩენად სახელმწიფოებს, მსოფლიოს შესაბამის ორგანიზაციებს, დონორებსა და მედიას თანამშრომლობისკენ აგულიანებს. სტატისტიკის თანახმად, მონუმენტების მსოფლიო ფონდის ჩარევის შემდეგ რესტავრაცია ან კონსერვაცია ჩაუტარდა დაზიანებული ძეგლების 80%-ს.

ენინო ჯაფარიძე


მონუმენტების მსოფლიო ფონდმა ოშკი
მსოფლიოს ვეულაზე როულ
მდგომარეობაში არსებულ ძეგლთა
ნუსხაში 2011 წელს განათავსა



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

 დარეკეთ: 219 60 13

 მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

მეფე ჰეროდეს საბანძური

იერუსალიმის მუზეუმის სტუმრებს მეფე ჰეროდეს აბაზანისა და სარკოფაგის ხილვის შესაძლებლობა აქვთ. ეს ორი არტეფაქტი იმ ექსპონაციის ნაწილია, რომელიც დუდი მე-ვორახისა (მუზეუმის ელინისტური, რომაული და ბიზანტიური პერიოდების განყოფილების კურატორი) და დოქტორ სილვია როზენბერგის (კლასიკური პერიოდის უფროსი კურატორი) ხელმძღვანელობით გამოიფინა. მეფე ჰეროდესთან დაკავშირებული 250-მდე ნივთი, ორგანიზატორთა აზრით, უფრო მეტად გახდის ნათელს ამ ამბიციური და კულტურული მონარქის პოლიტიკურ, არქიტექტურულ და ესთეტიკურ ტენდენციებს.

„ეს უდიდესი არქეოლოგიური პროექტია ამ ინსტიტუტის ისტორიაში“, — ამბობს მუზეუმის დირექტორი ჯეიმს სნიდერი.

ექსპონაციაზე, რომლის სახელწოდებაც „მეფე ჰეროდე დიდის უკანასკნელი მოგზაურობა“, ახალმიკვლეული არტეფაქტებიცაა. ის პროფესორ ეპუდ ნეცერის ხსოვნას ეძღვნება. სწორედ მან აღმოაჩინა მეფე ჰეროდეს სარკოფაგი იროდიონში. პროფესორი ამ ციხესიმაგრის გათხრისას უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

250 ექსპონატს შორის, რომელიც სხვადასხვა დროს იორდანიაში, იერიქონსა და სხვა ადგილებშია აღმოჩენილი, არის აქციუმის ბრძოლის (ანტონიუსისა და კლეოპატრას ფლოტის ბრძოლა ოქტავიანეს ფლოტთან აქციუმის კუნძულებთან, ძვ. წ. 31 წ.) ამსახველი ფრესკაც. გამოიყენა 2013 წლის ოქტომბრამდე გასტანს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება იროდიუმში მეფის მაგზოლეუმის რესტავრირებას გეგმავს.

მომზადებულია lifedaily.net-ის მასალების მიხედვით



აუზი ბერძნული სკულპტურებით



სარკოფაგის ორნამენტი

პირადი აუზი დამშვენებულია მარმარილოსგან გამოკვეთილი ღვთაება სილენის თავებით



წერტილდასმული „ლაზური ლექსიკონი“ „ლაზური ტექსტების“ თანხლებით...

25 თებერვალს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მკვლევარ ირინე ასათიანის ორი წიგნის, „ლაზური ლექსიკონისა“ და „ლაზური ტექსტების“ პრეზენტაცია გაიმართა.

ამ ნაშრომებზე ავტორი მრავალ წელიწადს მუშაობდა. ჯერ კიდევ 1953 წელს, საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას მისმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ დისერტანტს მუშაობა უნდა დაეწყო ჭანური (ლაზური) ლექსიკონის შედგენაზე.

ირინე ასათიანი: „ბატონი არნოლდი არაერთგზის შემახსენებდა ხოლმე, დიდი საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო, წერტილის დასმა უნდა შეგეძლოსო. ნახევარი საუკუნე გავიდა ასე „წერტილდაუსმელად“, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო... დღეს კი „ლაზური ლექსიკონი“ თქვენ წინაშეა და შეიძლება ითქვას, რომ ბატონი არნოლ-


დის სურვილი შესრულებულია — „წერტილი დასმულია“. ამ ხანგრძლივ პერიოდში კიდევ ერთი ნაშრომის მომზადებაც მოგახერხე. ეს „ლაზური ტექსტებისა“, რომელთა აღქმაშიც დაინტერესებულ მკითხველს, ბუნებრივია, სწორედ „ლაზური ლექსიკონი“ დაეხმარება“.

ლექსიკონის ერთეულები დოკუმენტირებულია და არა სავარაუდო. ამდენად, ეს ლექსიკონი საიმედო მასალად უნდა მივიჩნიოთ ჭანურის კვლევისთვის.

„ლაზური ტექსტები“ საქართველოს შავი ზღვისპირეთში, შიდა ჭანეთიდან ჩამოსახლებულ ჭანურ მოსახლეობაში ჩაწერილი მასალის მიხედვითაა მომზადებული, წარმოდგენილია ვიწურ-არქაბული და ათინური კილოკავები. ეს არის მეორე ნაწილი 1974 წელს გამოქვეყნებული ლაზური ტექსტებისა.

ნაშრომები გამოსაცემად ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა.

ნინო აბუსაძე



TALIZI

თქვის გაღწევის სენზი

ტაშკენის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

საუკეთესო

ინფორმაცია შურნალს დაემატა 32 გვერდი.
ფასი გახდა 3 ლარი.

ისტორიების ამხრობელი



სარუქარი!  სარუქარი! სარუქარი!



**გამოიწერეთ 1 წლით
შურნალი „ისტორიანი“
და მიიღეთ ზონუსად
2012 წლის 12 შურნალი
სარუქარად!**
www.elva.ge
გელ.: 2382673, 2382676



ექსკლუზივი

ახალი ქართულ- ირლანდიური საბა

მაკო საზაროვა-აბაშიძის ოჯახის ნაკვალევზე

მოპერის შთამბეჭდავ კლდეებთან სამყარო თითქოს მთავრდება, შემდეგ ატლანტის ოკეანეა და დასავლეთ ნახევარსფერო იწყება. აქ ქარი ცივია, თუმცა მომხუსხველად უბერავს. სიმწვანეს, შორს გაწოლილ ჰორიზონტს, ზშირად წვიმიან და ნისლიან ამინდს ის განუმეორებელი ელფერი აქვს, რომელსაც მხოლოდ ირლანდიაში იხილავ. მხოლოდ ზურმუხტისფერ კუნძულზე იგრძნობ, რომ ლევანდები და თანამედროვეობა აქ დღევანდელობას სისხლხორცეულად ერწყმის.

ირლანდია საქართველოსგან ძალიან შორსაა, თუმცა ისტორიით, ფოლკლორითა და ტრადიციებით ბევრ რამეში ჩვენს ქვეყანას ძალიან ჰგავს. ამიტომაც ერთი შეხედვით ძნელად წარმოსადგენი ფაქტი, რომ ასე შორს ქართულმა კვალმა მიაღწია, რეალობად იქცა.

წმინდა მარიამის სახელობის დუბლინის მართლმადიდებლური ტაძარი ქართველებს რამდენიმე თვის წინ გადაეცა. ყოველ კვირას აქ ორასზე მეტი ჩვენებური იკრიბება. ეკლესიის შიგნით მდგომი ვერც კი წარმოიდგენ,

რომ უცხოეთში ხარ. ქართული ხატები, გალობა და საერთოდ, აქაური ატმოსფერო განუმეორებელ განწყობაზე აყენებს ნებისმიერ მლოცველს.

დიდი სამონასტრო კომპლექსი ირლანდიის დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში, დონიბრუკშია განთავსებული. სამრევლო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქართულ ეპარქიას ექვემდებარება. კომპლექსი ორი ნაგებობისგან შედგება — მცირე ბაზილიკა და სამსართულიანი სამონასტრო

შენობა. ისტორიული ძეგლი, რომელიც XVI საუკუნეში აშენდა, ფიცვილიამების საგვარეულო სამარხს წარმოადგენდა, 2012 წლის მაისში კი ის ქართველთა კუთვნილება გახდა. ეს ჩვენი ეკლესიის ისტორიაში უცხოელთა მიერ მონასტრის საჩუქრად გადმოცემის პირველი ფაქტია.

საკურთხეველში ქართველი მრევლისთვის, ქართულ ეკლესიაში, ირლანდიელი მართლმადიდებელი წირავს. მამა დავით ლონერგანი სასულიერო მოღვაწეობას ადრეული ყმაწვილობიდან შეუდგა, ჯერ კათოლიკე ბერი იყო, 2007 წელს კი მართლმადიდებლად მოიქცა. მას შემდეგ ქართველებს მჭიდროდ დაუკავშირდა, ყოველთვის ცდილობს, ჩვენებურთა ტკივილი და სიხარული გაიზიაროს.

წმინდა მარიაშვილის სახელობის დუბლინის მართლმადიდებლურ ტაძარში ამჟამად მეორე ღვთისმსახურიც აღავლენს წირვა-ლოცვას: მამა დავითთან ერთად, აქ მამა ჯონ ჰიკიც მსახურებს. აქ უკვე ქართული მონასტრის უძველეს ბიბლიოთეკაში სასულიერო პირებთან შეხვედრისა და საუბრის ბედნიერი შემთხვევა მოგვეცა. ტაძრის ირლანდიელი წინამძღვარი მეორე სამშობლოდ ქცეულ საქართვე-

ლოზე და თავის მისიაზე დიდი სიყვარულით გვიყვება.

მამა დავითი: „ქართულ ლიტურგიაში ჩემი პირველი მონაწილეობა შემთხვევითობაზე უფრო მეტად ღვთის ნება იყო. საკმაოდ დრო დასჭირდა ქართველი ხალხისა და მისი მსოფლმხედველობის გაცნობას. ცხადია, ჩვენი ერების კულტურა ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ისტორიაც თითქმის ერთნაირი გვქონდა. თქვენსავით მიწათმოქმედებას მივღვედით. თანაც გვყავდა დიდი მეზობელი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დაიპყრო, გვაიძულა მათ ენაზე გვესაუბრა, აღმოგზვრა ბევრი ნიშანსვეტი განათლებისა და მოსპო მართლმადიდებლობა, რომელსაც ირლანდიელები უძველესი დროიდან, კელტების დროიდან მისდევდნენ. ბრიტანულმა მფლობელობამ ირლანდიაში ბევრი რამ შეცვალა. ყველაფერ ამის გათვალისწინებით შევეძელი, დამენახა მსგავსება ქართული და ირლანდიური ხასიათისა, პოეზიისა, ისტორიისა, მუსიკისა. რაც მთავარია, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჩემიანებში. სწორედ აქ ჩაისახა სიყვარულის ის ნაპერწკალი, რომელიც სულ მალე უდიდეს გრძობად გადაიქცა“.

ქართული მონასტერი დუბლინში





ქართველი მგალობლები ქალაქ დუბლინის ტაძარში. ფოტო მოგვწოდებს დუბლინის მერიიდან

ქართული მონასტერი დუბლინში



ხმამშვენიერი ქართული გალობა დუბლინის ტაძარში ყოველი წირვისას გაისმის. დღეს ეკლესიაში ათამდე მგალობელია. ემიგრანტმა ქართველებმა ღვთის სადიდებელი ჰიმნები ზიზი ნანობაშვილ-ლოფტუსის ხელმძღვანელობით შეისწავლეს.

წმინდა მარიამის სახელობის ტაძარს მდიდარი ბიბლიოთეკა, მაღალ დონეზე მოწყობილი აუდიტორიები, ძვირფასი ტილოებით დამშვენებული გალერეები აქვს. აქ საკვირაო სკოლაც მოქმედებს, სადაც ოცდაათამდე ემიგრანტი პატარა ქართველი სწავლობს.

თუ ტაძარში პატარა ქართველებისთვის სწავლა, მომლოცველი ემიგრანტებისთვის კი გალობა სამშობლოსთან თავისებურ კავშირს ნიშნავს, ირლანდიელებისთვის ქართული სიმღერა ახალი, მანამდე შეუცნობელი სამყაროს ზიარების საშუალებაა. სწორედ ამიტომაც, ქვეყანაში ქართული მუსიკის შემსწავლელი ორი პროფესიული ჯგუფი მუშაობს.

ანსამბლი „ზურმუხტი“ დუბლინის ცენტრში 2011 წელს დაფუძნდა. მუსიკისმცოდნე ლუის ბრენან-მორონის ხელმძღვანელობით, ცამეტკაციანი ჯგუფის წევრები ყოველ საღამოს ლანტერნცენტრში იკრიბებიან და ქართულ პოლიფონიურ სიმღერებს ასრულებენ, ამასთანავე, ჩვენებური ფოლკლორის წარმომავლობასაც სწავლობენ.

ლუის ბრენან-მორონი: „ჩემთვის და ჯგუფისთვის ეს მუსიკა უმშვენიერესია. თუ შეიძლება ითქვას, ეს გახლავთ სიმღერის გენეტიკა. ქართული სიმღერა ძველ ფესვებს, ძველ ირლანდიურ პოლიფონიას გვახსენებს. ცნობილია, რომ ირლანდიური სიმღერები, ქართულის მსგავსად, მრავალხმიანი იყო, ამიტომ თქვენი ლამაზი ქვეყნის ბრწყინვალე მუსიკა იმას გვახსენებს, რაც ჩვენს გულებთან ძალიან ახლოსაა“.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, მაკო საფაროვა-აბაშიძის პირად საარქივო ფონდში ინახება წერილი №138, რომელშიც ირლანდიის მოქალაქე მაიკლ ფოქსი პროფესორ ოთარ გიგინეიშვილს ატყობინებს, რომ ცნობილი ქართველი მსახიობი მაკო საფაროვა-აბაშიძე იყო მისი ბაბუის, ილიას და. ამიტომაც სთხოვს, მოიძიოს ცნობები მის შესახებ.

წერილი 1985 წლის 26 ივნისსაა გამოგზავ-

ნილი. ირლანდიაში ყოფნისას გადავწყვიტეთ მისი ავტორის მოძებნა, თუმცა მას შემდეგ 28 წელიწადი იყო გასული და ამიტომ რამე განსაკუთრებულის პოვნის იმედი არც გვქონდა. საბედნიეროდ, გაგვიპართლა. ირლანდიელი მაიკლ ფოქსის ოჯახში საქართველოს განსაკუთრებით აფასებენ. კედელზე საქართველოს სცენის მშვენივად წოდებული მაკო საფაროვა-აბაშიძის ფოტოები ეკიდა, აქვე ჩანდა ალავერდში გადაღებული შესანიშნავი სურათები, საუკუნის წინანდელი ქართული სათამაშოები... მაიკლ ფოქსის ქალიშვილი კეროლი კი უჩვეულო ამბავს მოგვიყვა.

კეროლ ფოქსი: „ეს არის ჩემი დიდი დეილის, მაკო საფაროვა-აბაშიძის ფოტოები. მთელი ბავშვობა მესმოდა, რომ ის გამორჩეული ქართველი მსახიობი და აქედან გამომდინარე, ჩვენი ოჯახის სიამაყე იყო. აი, ჩემი ბაბუა ვლადიმერ საფაროვი, ის პარიზში მედიცინის შესასწავლად გაემგზავრა, სადაც საოცრად რომანტიკული ამბავი გადახდა. ვლადიმერმა სიყვარულის ქალაქში 18 წლის ბოსტონელი გოგონა, მარგარეტ ბორნსი გაიცნო, რომელიც აშშ-დან საფრანგეთში მუსიკის (ფორტეპიანოს) სასწავლებლად ჩამოსულიყო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და 1909 წელს იქორწინეს კიდევ. ამბობენ, რომ ულამაზესი წყვილი იყო — ამაყი შესახედაობის ქართველი ვაჟკაცი და ნატიფი მარგარეტი. ახალშეუღლებულები იმავე წელს საქართველოში დაბრუნდნენ, სადაც 1911 წელს დეიდაჩემი ლორა, 1913-ში კი მამაჩემი მაიკლი შეეძინათ. სხვათა შორის, ჩვენს საოჯახო არქივში უნიკალური ფოტო ინახება: აქ აღბეჭდილია ალავერდში მამაჩემის დაბადებასთან დაკავშირებული დიდი ზეიმი. ოჯახი სამშობლოში 1919 წლამდე დარჩა. ოქტომბრის რევოლუციამ ოჯახის მშვიდ ცხოვრებას საფრთხე შეუქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა ვლადიმერი რევოლუციის აქტიური მხარდამჭერი და გულშემოკავიერი იყო, თავადური წარმომობის ოჯახისთვის საქართველოში ყოფნა მაინც საშიში ჩანდა. ბებიჩემი ამას კარგად გრძნობდა და მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ოჯახი ბოსტონში გადავიდა საცხოვრებლად. ძალიან ამაღელვებელი ყოფილა ეს მომენტი. პორტში თვალცრემლიანი თავადი ილია საფაროვი იდგა, ვლადიმერის მამა, რომელიც ხელის ქნევით შთამო-



კეროლ ფოქსი

ვლადიმერი და მარგარეტი





მარგარეტ
ბორნსი
შვილებთან
ერთად

მაელებსა და უკანასკნელ იმედებს ემშვიდობებოდა. ბაბუამ საქართველო ვერაფრით დაიფიქრა, რამდენიმეჯერ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ 1920-იან წლებში მამის, თავადი ილიას სიკვდილის შემდეგ აღარასოდეს ჩასუ-

ლა შინ. ვლადიმერი 1940 წელს ბოსტონში გარდაიცვალა, სამშობლოს დარდი ამაყ ქართველ თავადს იმ ქვეყნად გაჰყვა. 1970 წელს ბებიაჩემიც გამოეთხოვა წუთისოფელს და ეს ლამაზი ამბავიც თითქოს ასე დასრულდა. ამ-

ვლადიმერი ალავერდში



ბავი, რომელიც პარიზში დაიწყო, საქართველოში გაგრძელდა და ამერიკაში დასრულდა“.

მაკო საფაროვა-აბაშიძე, რომელსაც ფოქსების ირლანდიურ ოჯახში განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებენ, 1860 წლის 18 თებერვალს თელავში დაიბადა. მის სამსახიობო ნიჭს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია რაფიელ ერისთავზე, რომ სწორედ საფაროვასთვის გადმოუკეთებია თავისი კომედია-ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“.

მაკომ სცენური მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ განახლებულ ქართულ პროფესიულ თეატრში 1879 წელს დაიწყო. მისმა როლებმა იმდენად აღაფრთოვანა მაყურებელი, რომ მსახიობს ქართული სცენის მშვენება უწოდეს.

ქალბატონ კეროლ ფოქსის ნაამბობით, შეიძლება ითქვას, ისტორია არ დასრულებულა. ვლადიმერისა და მარგარეტის ვაჟმა მაიკლმა ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტი არ გაწვევია, დუბლინში გადმოსახლების შემდეგ მან საქართველოს სხვადასხვა უწყებასთან მიმოწერა დაიწყო და წინაპრების შესახებ მრავალი ინფორმაცია მოიძია. სწორედ ზემოხსენებული წერილის შემდეგ მისთვის დუბლინში მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ვასო აბაშიძის ფოტოების ასლები გაუგზავნიან, რომელსაც მაიკლი დიდი პატივით ინახავდა. აგრეთვე ინახავდა ძველ ქართულ სათამაშო დათუნიას, რომელიც მისთვის ალავერდში უჩუქებიათ. ეს პატარა დათუნია სამშობლოს აგონებდა და მთელი ცხოვრება გამოსაჩენ ადგილას ედო. ბატონი მაიკლი 98 წლის ასაკში ორი წლის წინ გარდაიცვალა. დამშვიდობებისას მისმა ქალიშვილმა გვითხრა: „ამ დღეს რომ მაჩაჩეში მოსწრებოდა, თავს უბედნიერეს კაცად ჩათვლიდაო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლე ირლანდიაში გაატარა, ნამდვილი ქართველი თავადი გახლდათ. ირლანდიასთან კი ერთადერთი, რაც აკავშირებდა, ლუდ „გინესის“ სიყვარული იყო“.

შორეული საქართველოს შესახებ, შეიძლება ითქვას, წლეულს ირლანდიაში ყველას სმენოდა. მიზეზი ლონდონის ოლიმპიური თამაშები გახლდათ... პირველად ისტორიაში მედლები ქალ მოკრივეთა შორის გათამაშდა. სამი ოქროდან ერთ-ერთი ირლანდიელმა კვიტ ტეილორმა დაისაკუთრა. მან კრივში რუსე-



მაკო საფაროვა-აბაშიძე

მაკო საფაროვა-აბაშიძე ოფელის როლში.
ალექსანდრე ბერიძე, 1883





ქართველი სტუდენტი თორნიკე კოპლატაძე და ირლანდიის პრეზიდენტი მაიკლ ჰიგინსი, ინგლისურად თარგმნილი გალაკტიონის კრებულით ფოტო მოგვაწოდეს ირლანდიის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან

თის დროშით მოასპარეზე სოფიო ოჩიგავა და-ამარცხა. კეიტის ქართველ მწვრთნელ ზაურ ანთიას ჩემპიონის მშობლიურ ქალაქ ბრეიში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. აღფრთოვანებული ხალხი ემოციებს ვერ მალავდა.

წლის დასაწყისში ირლანდიელ ქართველებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. ქვეყნის ყველაზე დიდმა და ავტორიტეტულმა გაზეთმა „აირიშ ინდიპენდენტმა“ ქართველ სტუდენტ თორნიკე კოპლატაძისა და ირლანდიის პრეზიდენტ მაიკლ ჰიგინსის დიდი ფოტო დაბეჭდა. პრეზიდენტს გალაკტიონ ტაბიძის ინგლისურად თარგმნილი ლექსების კრებული უჭირავს.

ამბობენ, ირლანდიაში ლეგენდები ცოცხლდება, სიცოცხლე კი ლეგენდებად იქცევაო. დღეს ამ ქვეყანაში ჩვენებურები ისტორიულ გზას იწყებენ. იმ გზას, რომელიც ევროპის კიდევ ერთი მომზიბღლეი ქვეყნის ხელოვნებაში, სპორტსა თუ დიპლომატიაში უეჭველად დატოვებს კვალს...

გიორგი კალანდია

დუბლინის ქუჩებში



„საქართველოს იმედი“

ხატბა გამოსახული 270-მდე მფარველი
წმინდანის ცხოვრება

წიგნების სერია ჟურნალ „ჯარიმჯის“
ყოველ ნომერთან ერთად

**28 თებერვლიდან
14 მარტამდე**



წიგნი XIII

ქველი
საქართველო-
ის, რაც ღვაქარგეთ

გიორგი მერქული-
ღირსი გრიგოლ
ხანძთელის
ცხოვრება

ბაო-ქლარჯათის
ისტორია

წიგნის ფასი: **2 ლარი**
ჟურნალთან ერთად : 3 ლარი

წიგნები ადგილზე მიბანით-elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

მოქვის უნიკალური ოთხთავის ბადასარჩენად



მოქვის კათედრალი, 1870-იანი წლების მინიატიურა

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექციაში დაცულია უნიკალური სახარება, რომელიც მოქვის ოთხთავის სახელწოდებითაა ცნობილი. კოდექსი გადაწერილია 1300 წელს აფხაზეთში, კერძოდ, მოქვის მონასტერში, საგანგებოდ მოქვის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისთვის შესაწირადად. მხატვრულ-დეკორაციულ თავისებურებათა მიხედვით, სახარება გამოირჩეულ ადგილს იკავებს XII-XIV საუკუნეების ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის გაფორმების ისტორიაში, ხოლო აქ წარმოდგენილი დახვეწილი სიუჟეტები კონსტანტინოპოლის სკოლის საუკეთესო ნიმუშებს უტოლდება. ოთხთავი იმ იშვიათ ხელნაწერებს მიეკუთვნება, რომლებიც გამოირჩევიან ილუსტრაციათა სიუხვით. მოქვის სახარების მინიატიურები შესრულებულია უნიკალური ტექნიკით — ოქროს ფონზე, სწორედ ამ ტექნიკური მახასიათებლებისა და მაღალმხატვრული დონის გათვალისწინებით, ხელნაწერი მსოფლიო კულტურის უბრწყინვალეს ნიმუშთა რიგში ღირსეულ ადგილს იკავებს.

მოქვის სახარება მოზრდილი ფორმატის წიგნია (30,0 X 23,5სმ) და შეიცავს 329 ფურცელს. საწერ მასალად კარგად დამუშავებული ეტრატია გამოყენებული. ტექსტი გადაწერილია ორ სვეტად კლასიკური ნუსხურით. სახარების ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა, რასაც მისივე ერთ-ერთი ანდერძი ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული რედაქციის ოთხთავი ფართოდ გავრცელდა როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ საგანებში. ასევე გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა გელათის, ლეჩხუმური, ბერთის (ტაო-კლარჯეთში), ახალციხის, ვანის, სვანური — ლაფსვალდის, ართვინის და უბისის ოთხთავები.

სახარებისთვის დართული ანდერძის ტექსტები საინტერესო ცნობებს გვაწვდის გადაწერის დროისა და ადგილის, მომკვებელისა (დამკვეთი) და გადაწერის შესახებ. ანდერძებში დაცული უძველესი საისტორიო მასალის გათვალისწინებით დგინდება, რომ ხელნაწერი 1300 წელს მოქველ მთავარეპისკოპოს დანიელის დაკვეთით მხატვარ-კალიგრაფ ეფრემს, სვარაუდოდ, მოქვის მონასტრის სკრიპტორიუმში გადაუწერია. იგია ხელნაწერის დეკორაციული სისტემის ავტორიც. მიჩნეულია, რომ კალიგრაფ ეფრემს მინიატიურების მონატვაში მისი რამდენიმე მოწაფეც ეხმარებოდა. მის მიერ შექმნილი ხელნაწერის მინიატიურებში გამოსახულებანი ძალიან ემოციური, ხოლო მოძრაობები ბუნებრივია. გამოცდილი მწიგნობრის, ეფრემის სახელი მათეს სახარების ბოლოს დართულ ანდერძშიც გვხვდება.

ხელნაწერის ბოლო ფურცელზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. მის წინაშე მუხლმოყრილია მვედრებელი მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელი, რომლის თავთან ასომთავრული ტექსტია, რომელიც მის ვინაობას იუწყება.

მთავარეპისკოპოსი დანიელი სახარებას სწირავს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აკებულ მოქვის ტაძარს. ამიტომაც მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით მხატვარ-კალიგრაფს ეს სცენა საგანგებოდ ხელნაწერის მთელ გვერდზე შეუსრულებია. რაც მთავარია, წარმოდგენილი იკონოგრაფიული სიუჟეტი უნიკალურია და ანალოგი არ მოგვეპოვება სხვა ძველ ხელნაწერებში.

თანადროული ანდერძების გარდა, ხელნა-



ჩვილედი ღვთისმშობელი და მის წინ მუხლმოყრილი მოქვის მთავარეპისკოპოსი დანიელი

მოქვის სახარების გადაწერის, ეფრემის კალიგრაფია და საზუღაო ასო-ნიშნების სტილი





ამაღლება

წერს გვიანდელი მინაწერებიც (კოლოფონები) ახლავს. ეს კოლოფონები კიდევ ორ მოქველ მღვდელმთავარზე გვაწვდიან ცნობებს. ერთ-ერთი მამამთავარი აბრაჰამია, რომლის წინა მწყემსმთავარი, საგარაუდოდ, მოქვის სახარების დამკვეთი დანიელ მთავარეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. „მოქვისა ღმრთისმშობელიო შეიწვალე სული თქუენ წინ მდგისაი მოქველ მთავარეპისკოპოსისაი აბრაჰამისაი, ამენ“, — ნათქვამია ერთ-ერთ მინაწერში. ლუკა მახარებლის სურათის პირველ გვერდზე იმავე ხელით წერია: „მთავარეპისკოპოსსა მოქველსა აბრაჰამს შეუნდოს ღმერთმა, ამენ და ამენ“. მოქვის სახარების კოლოფონი გვაწვდის ინფორმაციას კიდევ ერთი მოქველი მთავარეპისკოპოსის, ფილიპე ჩხეტიძის შესახებ. „სულ-

სა მოქველ მთავარეპისკოპოსსა ჩხეტიძესა ფილიპესა შეუნდოს ღმერთმა, ამენ“. მთავარეპისკოპოს ფილიპეს მოღვაწეობა პირობითად XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ამდენად, მოქვის ოთხთავი შეიცავს ძალიან საინტერესო საისტორიო ცნობებს ისტორიის შემსწავლელთათვის.

მოქვის ოთხთავი უჩვეულო მინიატიურების სიუხვით გამოირჩევა. სახარებაში დღეისთვის შემორჩენილია 155 მინიატიურა. ხელნაწერის მხატვრულ თავისებურებას ფურცლოვან ოქროზე შესრულებული, პალეოლოგოსური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად მიჩნეული, სიუჟეტური მინიატიურები წარმოადგენს. პალეოლოგოსთა სტილი XIII საუკუნის ქრისტიანულ ხელოვნებაში გაერცვლე-

ბული ახალი მიმდინარეობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინტერესი ანტიკურობისადმი, მეტი თავისუფლება და დინამიკურობა, ფერწერულობა და ემოციურობა. ყველა ეს ტენდენცია შესანიშნავად იგრძნობა მოქვის ოთხთავის მინიატიურებში, რომლებშიც შერწყმულია მრავალი სტილისტური და იკონოგრაფიული სიახლე.

მოქვის სახარების გაფორმებაში ჩნდება როგორც მთლიან გვერდზე წარმოდგენილი მინიატიურები, ასევე ტექსტში ჩართული კომპოზიციები. მთლიან გვერდზე შესრულებული რამდენიმე მინიატიურა, რითაც მხატვარი მათ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და იღვურ დატვირთვას ანიჭებს.

მოქვის ოთხთავი უნიკალურია იმ კუთხითაც, რომ ხელნაწერში ღვთისმშობლის რამდენიმე იშვიათი მინიატიურაა ჩართული, მათ შორის, ერთ-ერთი არის ღვთისმშობელი ყრმით, რომლის წინაშეც მუხლმოყრილია მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელი; „ქრისტეს გენეალოგიის“ მინიატიურა, რომელშიც 42 მამამთავარს შორის ერთადერთი ქალის — ღვთისმშობლის გამოსახულებაა; მომდევნო მინიატიურაზე ლუკა მახარებელი ღვთისმშობელთან ერთადაა გამოსახული. ეს კომპოზიცია ასახავს ძველ გადმოცემას, რომ ღვთისმშობელთან ყველაზე დაახლოებულმა მოციქულმა — ლუკამ მისი სახე დახატა; ხელნაწერის ილუსტრაციებს ასრულებს ღვთისმშობლის მიძინების სცენა.

ოთხთავის მხატვრულ სახეს 10 კამარა, 530-ზე მეტი საზედაო ასო და ინიციალი განსაზღვრავს. ხელნაწერში საზედაო ასოების შესრულების ტექნიკა დახვეწილია, ხოლო გაფორმების თემატიკა — მრავალფეროვანი. ინიციალები უფრო ხშირად ფრინველების, ცხოველების ან თევზების გამოსახულებით არის წარმოდგენილი. კალიგრაფის გენიალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საზედაო ასოების სიუხვის მიუხედავად, არც ერთი მათგანის მხატვრული შესრულება არ მეორდება.

მოქვის სახარებით სამეცნიერო საზოგადოება XIX საუკუნის II ნახევარში დაინტერესდა. ხელნაწერს ნიკოდიმ კონდაკოვმა და დიმიტრი ბაქრაძემ მარტვილის მონასტერში მიაკვლიეს. აფხაზეთში გადაწერილი ოთხთავი როდის და რა ვითარებაში მოხვდა მარტვილში, სამწუხაროდ, უცნობია.



წმინდა იოანე მახარებელი და პროზორე

მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა





ფერხთა ბანა

წმინდა იოანე ნათლისმცემლის მოწმობა ქრისტესათვის




ხელნაწერი პირველად გადაიღო ფოტოგრაფმა თეოდორ კუნემ 1913 წლის ზაფხულში. მარტვილში სამეცნიერო ექსპედიციის დროს ის თან ახლდა საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრებს.

1921 წელს მოქვის ხელნაწერი სხვა ქართულ საგანძურთან ერთად საქართველოს დევნილმა მთავრობამ საზღვარგარეთ გაიტანა და საფრანგეთში ინახებოდა. 1945 წელს საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძური ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით უკლებლად დაუბრუნდა საქართველოს. ამ საგანძურში გელათის, ბერთის, ვარძიის ოთხთავებთან ერთად იყო მოქვის სახარებაც მოქურული ვერცხლის ყდით, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ცალკე ინახება.

ოთხთავის დაზიანება, საგარაუდოდ, არასწორი შენახვის პირობებში, საუკუნეთა განმავლობაში ღრმავდებოდა. მარტვილის მონასტერში მეცნიერთა ჯგუფს სახარება ძლიერ დაზიანებული უნახავთ.

ხელნაწერის გადაფურცლისას მინიატიურებიდან საღებავი ცვიოდა. შემაკაეშირებელი მასალა, რომლითაც ოქროს ფურცლები ფონზე იყო დაწებებული, არამდგრადი გამოდგა. ამ ოქროს საფუძველთან ერთად ნაღვრდებოდა მასზე შესრულებული ფერადოვანი ფენაც. ოქროს ფონის ჩამოცვენის გამო დაზიანდა ხელნაწერის უმნიშვნელოვანესი მინიატიურები.

ოთხთავი სასწრაფო დიაგნოსტიკასა და რესტავრაციას საჭიროებდა, რაც სოლიდურ თანხასთან იყო დაკავშირებული. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა თანხის შესაგროვებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის მხარდაჭერით რამდენიმე წლის წინ ფართო და ხანგრძლივი საქველმოქმედო კამპანია წამოიწყო. თავდაპირველად სპეციალური საბანკო ანგარიშები გაიხსნა, რამდენჯერმე გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება. 2011 წელს მოეწყო აუქციონი, სახელწოდებით „ერთად გადავარჩინოთ მოქვის სახარება“. საქველმოქმედო კამპანიის პარალელურად, ცენტრმა მოაშხადა მოქვის ოთხთავის დიაგნოსტიკის პროექტი, რომელიც 2010 წელს იუნესკოს წარუდგინა. იუნესკოს გრანტის შესაბამისად მოეწყო დიაგნოსტიკა, მოიწვიეს საერთაშორისო ღონის რესტავრა-



ექვთიმე
თაყაიშვილი



დიმიტრი
ბაქრაძე



ნიკოლაი
კონდაკოვი

ტორები. უცხოელ ექსპერტთა ჯგუფმა მთლიანად შეისწავლა ხელნაწერის მდგომარეობა. სწორი დიაგნოსტიკისა და აღდგენის შესაბამისი მეთოდის შერჩევის შემდეგ, დაზიანებული ოთხთავის აღდგენა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ კონსერვაციის პირველი ეტაპი საქველმოქმედო ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით განხორციელდა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სპეციალურად მოწვეული ავსტრიელი მეცნიერი ანდრეა პატაკი წლეულს 18 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით ცენტრის რესტავრაციაკონსერვაციის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად მოქვის სახარების მინიატიურების გამაგრებაზე მუშაობდა. ხელნაწერის მძიმე მდგომარეობის გამო კონსერვაციის პროცესი ურთულესი და ძალიან შრომატევადი გამოდგა. დასრულებულია კოდექსის აღდგენის პირველი ეტაპი. ამ დროისთვის იგეგმებოდა ასამდე მინიატიურის დამუშავება, მაგრამ ძლიერი დაზიანებების გამო მხოლოდ რამდენიმე ათეული მინიატიურის გამაგრება მოხერხდა. გამოცდილი ავსტრიელი მეცნიერი ანდრეა პატაკი სარესტავრაციო სამუშაოებს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, ეფექტური სარესტავრაციო მასალის, ე.წ. თევზის წებოსა და სპირტის გამოყენებით წარმართავდა.

როგორც ვხედავთ, პროცესები დამაიმედებელია და მოქვის ოთხთავის გადარჩენა, ოქროს ფონზე შესრულებული მინიატიურების შენარჩუნება და უკვე საკმაოდ დაზიანებული კომპოზიციების აღდგენა სავსებით შესაძლებელია. ამით შენარჩუნდება უნიკალური მინიატიურები, სადაც გადმოცემულია ფორმათა ფერწერული დამუშავება, სიღრმის შექმნის ილუზია, სწრაფვა სახეთა ინდივიდუალური გადმოცემისკენ და ფიგურათა თავისუფალი მოძრაობები. მოქვის ოთხთავის გადასარჩენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთო მხარდაჭერა, ამიტომ რამდენიმე წლის წინ დაწყებული საქველმოქმედო კამპანია კვლავაც გრძელდება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მოუწოდებს საზოგადოებას, აქტიურად ჩაერთოს საქველმოქმედო აქციაში.

კოლექტიური ზრუნვის საგანი, მოქვის უნიკალური სახარება ახალ სიცოცხლეს ელის...

ოქროპირ ჯიშური

მოქვის ოთხთავის ყდა





ლავრენტი ბერია თანამედროვეთა თვალში

XX საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს კომპარტის ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია (1899-1953), რომელიც 1938-1953 წლებში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა. დაიღუპა დღემდე გაურკვეველ ვითარებაში. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც არ შექმნილა ნაშრომები, რომელშიც ამომწურავად, ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ხსენებული პერსონის მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმედი ვიქონიოთ, ეს მომავალში მაინც მოხდება. ამ სტატიაში მოკლედ მიმოვიხილათ, როგორ ახასიათებენ ლავრენტი ბერიას მისი თანამედროვენი თავიანთ მოგონებებში.



შალვა მალლაკელიძის აზრი

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ სხვებთან ერთად დააპატიმრა და ციხეში ჩასვა თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შალვა მალლაკელიძე (1894-1976).

თბილისის ჩეკაში მომხდარ ფაქტს შალვა მალლაკელიძე ასე იგონებდა: „კაცი დგას პენსნით. ჩვენ ერთი შვიდი-რვა კაცი შემოგვერტყა, სულ სომხებია, შეიძლება ერთი-ორი რუსი ერია მათში. თურმე ჩეკას კოლეგიაა. ერთი სომეხი შეუჩნდა პარმენ ჭიჭინაძეს (საქართველოს სამხედრო მინისტრი 1920-1921 წლებში. — ავტ.). პარმენი მაღალი კაცია. ეს სომეხი დაბალი, სქელი, საზარელი, გლახა, უშნო კაცი. პარმენს მაღალი ქუდი ახურავს, ცილინდრი.

შეახტება მას ეს სომეხი, ვითომ უნდა ჩამოუღოს და დახტება, ე.ი. მაიმუნობს. ამ დროს, პენსნიანი კაცი მივიდა ამ სომეხთან, მოჰკიდა ქეჩიში ხელი — „სუკინ სინო“ და გააგდო გარეთ. ჩაგვიყვანეს სარდაფში. მე მომთავსეს სასიკვდილო საკანში მარტოკა. მესამე დღეს ჩემთან გადმოიყვანეს გრიშა ლორთქიფანიძე (საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. — ავტ.). შემოიყვანეს კიდევ ერთი კაცი. გრიშას ვეკითხები: ის პენსნიანი კაცი ვინ იყო-თქო. — ბერია ყოფილაო. თურმე ბერია არის კოლეგიის წევრი, უბრალო გამომდიებელი, ქურდებისა და მკვლელებისათვის. ჩეკას ნამდვილი პატრონი კი არის პეტროსიანცი, ყოფილი დაშნაკი, კამოს ძმა, კოტე ცინცაძის ცოლისძმა. კამოს სიძე იყო ცინცაძე“.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ შალვა მალლაკელიძისგან მოგონებები 1975 წელს პირადად ჩაიწერა, შემოგვინახა და მოგვიანებით წიგნად გამოსცა ყოფილმა დისიდენტმა ვიქტორ რცხილაძემ. ამ მოგონებებს ვრცელი ინტერვიუს სახე აქვს.

საგულისხმოა, რომ ვიქტორ რცხილაძის შეკითხვაზე — „ბერიაშვილი რომ ის კაცი გააგდო, გულწრფელი იყო, თუ გაითამაშა?“, 82 წელს მიღწეულმა გენერალმა ასე უპასუხა: „როგორც ქართველმა კაცმა, შეურაცხყოფად ჩათვალა იმ კაცის მოქმედება. თანაც მართო ბერია იყო ქართველი და შეეცოდა, როგორც ქართველ კაცს. მე ვხედავ ამაში ღირსებას, თუ გნებავთ ბერიასი. მერე რას აკეთებდა — ეს სხვა ამბავია. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთში ის იყო კეთილშობილური როლში“.

გრიგოლ რობაქიძის თვალით

ცნობილია, რომ ლავრენტი ბერიას თვალში არ მოსდიოდა გრიგოლ რობაქიძე (1880-1962).

ირაკლი აბაშიძე იგონებდა: „იცნობდნენ რა საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ბიოგრაფიას და ხასიათს, ყველა ერთს ფიქრობდა: — შშვიდობით ყოველგვარო დემოკრატიულობაჲ! მალე თბილისში ფარულად დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო — მანამდე დიდი მეგობრების, საქართველოს ახალ ხელმძღვანელსა და ორჯონიკიძეს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ. ურთიერთობის ამ დაძაბვამ პირველ რიგში მწერლობიდან იმსხვერპლა გრიგოლ რობაქიძე. გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს გაემგზავრა ბერლინის სწორედ ორჯონიკიძის დახმარებით...“

გრიგოლ რობაქიძე საქართველოს ახალმა ხელმძღვანელმა მიიღო გერმანიაში წასვლის წინ (გრიგოლ რობაქიძეს, რასაკვირველია, მაშინ, როგორც ჯერჯერობით არც სხვას, არაფერი ეცოდინებოდა ორი დიდკაცის ურთიერთობის იმ გამწვავების შესახებ). მასსოვს, იგი ცენტრალური კომიტეტიდან მწერალთა კავშირში რომ დაბრუნდა, რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელზე თქვა: — მე ვერ გაუძეული მის თვალებსო.

ამავე დროს, თვითონ გრიგოლ რობაქიძესაც მეტად გამჭოლავი მზერა ჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძე ბერლინს იმჟამად მხოლოდ დროებით გაემგზავრა. მისი იქ დარჩენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ამ ორი დიდკაცის ერთმანეთზე გადაკიდებამ. იგი გერმანიაში საქართველოდან ჩასული ხმებით დარწმუნდა, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში მას საშემობლოში რეპრესირება არ ასცდებოდა“.



შალვა მადლაკელიძე

გრიგოლ რობაქიძე



ამრიგად, ლაურენტი ბერიას გამანადგურებელი მშენებლის გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება ირაკლი აბაშიძემ შემოგვინახა.

გერონტი ქიქოძის შუფასაბით

გერონტი ქიქოძემ (1885-1960) თავის მემუარებში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო ლაურენტი ბერიაზე, მის საქმიანობასა და შედეგებზე მსჯელობას. ამ მოგონებებში ვკითხულობთ: „ლაურენტი ბერიას აღმავლობა ნების პერიოდში დაიწყო... ძველი პარტიული გვარდიის რიგები, რომელთაც ვერ შეძლეს იდეური გადააარაღება, შეთხელდნენ. ლენინის თანამებრძოლნი საეჭვოდ იყვნენ გამოცხადებულნი მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრისკენ. მყარდებოდა სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა. ცხადდებოდა, რომ აზროვნება მის პრივილეგიას წარმოადგენდა. ძველი პარტიული ვეტერანების წინაშე ბერიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი მწიგნობრული დოგმებისა და სინდისის ქეჯნისგან. მან ინსტიტუტურად სწორად განსაჯა, რომ მისი კარიერისთვის უმჯობესი იყო ბელადის კეთილგანწყობა მოეპოვებინა... თავისი კარიერისთვის მან ოსტატურად გამოიყენა სტალინის პატივმოყვარეობისა და იჭვიანობის გრძნობები...“

ბერიას ბატონობის წლები საქართველოში განსაკუთრებით საბედისწერო იყო გლეხკაცობის შეგნებული ნაწილისა და ინტელიგენციისთვის. ის როლი, რომელსაც ბერია თბილისში ჯერ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ასრულებდა, ხოლო შემდეგ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტზე, მით უფრო შეგბედითი იყო, რომ მან საჭიროდ დაინახა საქართველოს კეთილისმსურველის ნიღაბი აეფარებინა და იმ ელემენტების პატრიოტულ გრძნობებზე ემოქმედა, რომელნიც მის ტერორს გადაურჩნენ...

ბერია, რასაკვირველია, ადვილად შეატყობდა, რომ სტალინს განსაკუთრებით პატივმოყვარეობის დემონი ჰქეჯნიდა. ამ დემონს შეეწირა მრავალი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და ხელოვანის ადამიანური ღირსების გრძნობა. ეს ბერიას ინიციატივით მოხდა, რომ მლიქვნელობის სულმა თითქმის მთელი ქართული მწერლობა, პლასტიკური ხელოვნებანი და, ნაწილობრივ მუსიკა გაჟღინთა.



ქართველმა პანეგირისტებმა სტალინი აიყვანეს იმ სიმაღლეზე, რომელზეც არასოდეს და არც ერთი ეგვიპტელი ფარაონი ან რომაელების და ბიზანტიელების იმპერატორი არ აუყვანიათ. საქართველოს ისტორიული წარსული, თვით ჩვენი პლანეტის გეოლოგიური ეპოქები, ბოლოს თვით კოსმოსის განვითარება სტალინის ცხოვრების პრელუდიად გამოცხადდა...

თბილისისა და პროვინციების ბნელი ჯურღმულები სავსე იყო ქართველი ინტელიგენტებით და გლეხებით. ბერია მზად იყო მთელი საქართველო თავისი სამშობლო სოფლის — მერხეულას გვიმრალად ექცია... მისი აგენტები ხშირად თავს აღარ იწუხებდნენ სივების შედგენისა და ჩხრეკის ჩატარებით: მრუდე და მართალი ერთად იხვებოდა ძველი წმინდა ინკვიზიციის წესის მიხედვით. მათი გარჩევა მამადმერთს ჰქონდა მინდობილი“.

გერონტი ქიქოძე პირადად ადანაშაულებდა ლაურენტი ბერიას იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების ფიზიკურად მოსპობაში, როგორებიც



სტალინი, მალენკოვი, ბერია და მიქოიანი ლენინის მეგობლეუმის ტრიბუნის წინა პლანზე

იყვნენ: მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, დირიჟორი ვეგენი მიქელაძე, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, პოეტი ტიციან ტაბიძე და სხვები. ყოველივე ამის მიზეზად გერონტი ქიქოძე მიიჩნევდა გულდრო და დაუნდობელ ხასიათს ლავრენტი ბერიასი, რომელიც ყველას ანადგურებდა, ვინც კი რამე მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლიდა.

საყურადღებოა გერონტი ქიქოძის მოსაზრება, რამ განაპირობა სტალინის გარდაცვალების მომენტში ფაქტობრივად აღმავლობის მწვერვალზე მყოფი ლავრენტი ბერიას უცაბედი დაღუპვა და რა შეიძლება მოჰყოლოდა მის მიერ ჩაფიქრებული გეგმის განხორციელებას.

„ისეთი კაცის მემკვიდრეობის მიღება, როგორც სტალინი იყო, ყოველმხრივ ძნელია. მან თავის მიმდევრებს დაუტოვა მძიმე ტვირთი, რომელიც ისევე ძნელი ასაწევია, როგორც სტალინისთვის ლენინის მემკვიდრეობის აწევა იყო... სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიამ, როგორც უტყობა, წარმოიდგინა, რომ რაკი დიდი ჯავშნოსანი გემი, რომელზეც მისი პა-

ტარა კატარდა იყო მიბმული, ჩაიძირა, მას შეეძლო მთელი ფლოტის ადმირალი გამხდარიყო და ის ნავსადგურში შეეყვანა. მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია ზოგიერთ ახალ მძლავრ პოლიტიკურ და მორალურ ფაქტორს. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსი ხალხის ეროვნული სიამაყის გრძობის გაძლიერება II მსოფლიო ომის მოგების შემდეგ. რუსი ხალხი, რომელიც სტალინის მის სიცოცხლეში ლენინის უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა და თითქმის არც კი გრძობდა მის არარუსულ წარმოშობას, ბერიას არასოდეს აპატიებდა არც ლენინის გზიდან გადახვევას და არც მის მკვეთრ ქართულ-მეგრულ აქცენტს.

რადგანაც ბერიას არც ფართო შემოქმედებითი ჭკუა ჰქონდა და არც ზნობრივი ავტორიტეტი, თუ ის შემთხვევით ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა, მოსალოდნელი იყო, რომ დაიწყებოდა სამოქალაქო ომი, რომელიც, ალბათ, საბედისწეროდ დამთავრდებოდა ქართველი ერისთვის, ვინაიდან მას პასუხს აგებინებდნენ ბერიას ავანტიურისთვის. რო-



გერონტი ქიქოძე



ბაბო დადიანი მეუღლესთან, შვილებთან და მულიშვილ თინა გოცირიძესთან

გორც ცნობილია, ეს ავანტიურა ტრაგიკულად დამთავრდა თვით ბერეასთვის“.

საგულისხმოა, რომ გერონტი ქიქოძე ცდილობს, არც დადებითი დაუკარგოს ლავრენტი ბერეას, რომელსაც 1953 წლის ივნისის საბედისწერო დღის შემდეგ, მრავალი უსაფუძვლო ბრალდებაც წაუყენეს.

გერონტი ქიქოძე მიუთითებდა: „საბრალმდებლო ოქმის ავტორები ბერეას დანაშაულად უთვლიდნენ ერთი სამხედრო ღონისძიების მიღებას, რომელიც შეიძლება, ყველაზე გონიერი აქტი იყო მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. 1942 წლის მიწურულში, როდესაც გერმანელების ჯარები კავკასიონის ქედს მოადგნენ, კავკასიის ფრონტზე, სტალინის დავალებით, ბერეა ჩამოვიდა. მან გადააყენა რუსი სარდალი, რომელიც შეუჩერებლად უკან იხვედა და მის მაგივრად გენერალი ლესელიძე დანიშნა. ახალი სარდალი ენერგიულ შეტევაზე გადავიდა, მტრის ჯარი უკუაქცია და შორს სდია, სანამ თვითონ სასიკვდილოდ დაიჭრებოდა. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამი იყო, საჭირო არ იყო რუსი სარდლის შეცვლა ქართველით“.

ბაბო დადიანის თვალით

რეპრესირებულ ოჯახთა შორის აღმოჩნდა ბარბარე (ბაბო) ნიკოლოზის (კოკის) ასული დადიანის (1903-1999) ოჯახიც. 1937 წელს მას უკანასკნელად და ამჯერად საბოლოოდ დაუპატიმრეს მეუღლე — ალექსანდრე (ალიოშა) მასხარაშვილი (1895-1937).

ბაბო დადიანი მეტროპოლი სულის ადამიანი გახლდათ. მან სცადა, დაეხსნა მეუღლე და გადაერჩინა შვილები — გიორგი და თათული, რომლებიც მამის დაპატიმრების შემდეგ გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდნენ. 1938 წლის მიწურულს იგი მოსკოვში ჩავიდა და დიდი წვალებით მოახერხა ბერეასთან შეხვედრა.

ლუბიანკაზე მისული ბაბო დადიანი მიიღო ბოგდან (ბაღჩო) ქობულაშვილი (1904-1953), მომავალმა გენერალ-პოლკოვნიკმა. მან ქართველი მანდილოსანი დააიძვრა, რომ ლავრენტი ბერეა მას აუცილებლად მიიღებდა.

ბაბო დადიანის მოგონებებში ასეა მოთხრობილი მისი შეხვედრა ბერეასთან: „შევედი ოთახში. მაგიდას უჯდა სათვალისანი გველი. იჯდა ორი რუსი და ჩემი ნაცნობი ბახჩო ქობულაშვილი...“

ბერია შემეკითხა: — „რისთვის ჩამოხვე-
დით?“ (საუბარი ვთარგმნეთ რუსულიდან. —
ავტ.).

მე ვუთხარი: ვექებ ქმარს დაპატიმრების
შემდეგ. არ ვიცი სად არის. დაპატიმრებულია
აგრეთვე ჩემი ძმა ბონდო დადიანი და ავუსხე-
ნი ჩემი ბინის მდგომარეობა.

ალიოშაზე ცივად მითხრა: „თქვენი ქმარი
ინგლისის აგენტია, ვერ დაგეხმარებით“.

მე მკაცრად ვუპასუხე: „ინგლისის აგენ-
ტად ის აქციეს შტეპკა კაულინმა და კორვინ-
მა“ (ესენი იყვნენ ალიოშას გამომძიებლები,
ლატვიელები, კაციჭამიები და ყველაზე საში-
ში, საბედისწერო განყოფილება თბილისში
KPO — კონტრდაზვერვა)...

ჩანთაში მქონდა გიორგისა და თათულის
სურათი, ამოვიღე და ვაჩვენე.

ბერიამ თქვა: „კარგი ბავშვები არიან“. მე
ამაზედაც ვუპასუხე: „ამ კარგ ბავშვებს ესა-
ჭიროებათ აღზრდა საზოგადოებისა და სა-
ხელმწიფოსთვის, მათ კი არა აქვთ სათანადო
პირობები, საცხოვრებელი, მე გამომასახლეს
22 კვადრატული მეტრის ფართობის ოროთა-
ხიანი ბინიდან და მომცეს თეატრალურ შე-
სახვევში შვიდმეტრიანი ფართი უფანჯროდ.
ეს არის არა ოთახი, არამედ ყოფილი სასტუმ-
როს კორიდორი“.

ბერია მიუბრუნდა ბახჩო ქობულოვს. უთ-
ხრა, დაუკავშირდი რაფაგას და მისი ბინა და-
უბრუნონო. მე ვუთხარი, ჩემი ბინის საქმე კა-
საციით გადმოგზავნილია მოსკოვში, უზენა-
ესში-თქო. „აქ ჩვენ დაგეხმარებით“ — თქვა
ბერიამ. მერე ისევ მომიბრუნდა და მეკითხე-
ბა: „კოკი — მამათქვენი, რას აკეთებს იქ?“.

მე ვუპასუხე: „მე საიდან მეცოდინება...“

— „როგორ, თქვენი ძმებიდან რომელიმე
რომ შემოიპაროს ჩვენს ქვეყანაში, ხომ თქვენ-
თან მოვლენ, თქვენ რას იზამთ?“

მე ვუპასუხე: „სანამ ჩემამდე მოვლენ, ალ-
ბათ თქვენ უფრო ადრე გაიგებთ. განა ჩვენი საზ-
ღვრები ამისთვის არ არის კარგად დაცული?“.

ბერიამ შეხედა ბახჩო ქობულოვს. ისევ მე
მომმართა: „ალბათ უსახსროდ ხართ?“

მე ვუპასუხე: „ეს არ არის მნიშვნელოვან-
ი, ჩემთვის მთავარია ვიცოდე, სად არიან ჩე-
მი ქმარი და ძმა“.

ამაზე ისევ იმ რუსებს მიმართა: „აი, ასეთი
ახალგაზრდა და ყოველწლიურად დაპატიმ-
რებულია მისი ან ქმარი, ან ერთ-ერთი ძმა“.



ლ. ბერია ჟურნალი „ტაიმის“ თვალით

ისევ გაიმეორა: „თქვენ ალბათ თანხა გჭირ-
დებათ, ჩვენ დაგეხმარებით“.

ამაზე მე უცბათ ავდექი და ვუპასუხე: „მე
ჩემი ღვიძლი ძმებისგან არ ვიღებ ფულს“. ავ-
დექი და წასვლა დავაპირე.

მეუბნება საშინელი მგერული აქცენტით:
Вы пожалуйста, бросьте ваши княжески
гордости („თუ შეიძლება, დათმეთ თქვენი თა-
ვადური სიამაყე“), სად მიდიხარ, ვინ გიმ-
ვებთ?“

უცბად დამარტყა თავში, რომ დამიჭერენ,
ალბათ დამტოვებენ. მან კიდევ მიმართა იმათ
და თქვა: „ასეთი მხოლოდ მგერული ქალი შე-
იძლება იყოს“.

მე ორიოდე ნაბიჯი გადავდგი, უცბათ მა-
გიდას მივაღე ხელი და შევჩერდი. სუნთქვა შე-
მეკრა, ცრემლი უცბათ მომწყდა, რაც არ მინ-
დოდა... არ მინდოდა ჩემი ცრემლები ენახათ.
ბერიამ უთხრა ქობულოვს — „გააცილე“. ცრემლები
მანჩობდა, სული მეხუთებოდა, წა-
მოვედი მკვდარი“.

ამრიგად, ლაერენტი ბერიას შესახებ საყუ-
რადლებო ცნობებია შემონახული შალვა მალ-
ლაჟლიძის, გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქი-
ქოძისა და ბაბო დადიანის მოგონებებში.

ნიკო ჯავახიშვილი

ვარაჩოღელთა
დასტა



ყარაჩოღელი და კინბო

არა ბოლო დროს ბატეხილი სახელის
ბამთელაბისტვის, არამედ სიზუსტისტვის...

ძველი თბილისი დიდი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა და საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის გავლენას განიცდიდა, ამიტომ ქალაქის მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი იყო, როგორც სოციალურად, ასევე ეთნიკურადაც.

ქალაქის მოსახლეობაში ძირითადად შეიძლება გამოვყოთ დიდებულთა ფენა, რომელსაც ქართველ თავად-აზნაურების საგვარეულოები წარმოადგენდნენ. თბილისში მნიშვნელოვანი იყო ასევე რიგითი მოქალაქეები და ქვედა ფენაც, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და უფრო ხშირად კავკასიის სხვადასხვა სახანოდან წამოსული, განთავისუფლებული ან ეკონომიკურად დაწინაურე-

ბული ხალხისგან ივსებოდა, ეს უკანასკნელნი ძირითადად ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებს წარმოადგენდნენ.

სხვადასხვა ხელობის ადამიანები ამქრებში ერთიანდებოდნენ. ამქარი თანამოსაქმეობას ნიშნავს, ასე რომ, ხელოსნობის თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი გააჩნდა. ამქრის გამგეობას უხუცესი, ანუ მთავარი ხელოსანი, უსტაბაში განაგებდა. ამქრებს ჰქონდათ საკუთარი დროშა, გერბი, წესდება და სალარო, ჰყავდათ მფარველი წმინდანი. ამქარი არა მხოლოდ პროფესიული კავშირი იყო, არამედ სოციალური დაცვის ფუნქციასაც ასრულებდა. ამქარი გარეშეთაგან იცავდა ხელოსნის უფლებებს, მათგან კი ვალდებულებების შეს-

რულებას მოითხოვდა, თვალყურს ადევნებდა წარმოების პირობებს, ხშირად წარმოების საშუალებებსაც, სახელოსნოს, როგორც საწარმოს, ორგანიზაციას და სხვ.

სწორედ ამქარში გაერთიანებული თბილისელი ხელოსნები იყვნენ ყარაჩოღელები. ვინც ამქარში ვერ გაერთიანდებოდა ან არ სურდა, ანდა არ იღებდნენ, ის შეიძლება კინტო გამხდარიყო.

ძველი თბილისის ხსენებისთანავე თვალწინ კინტო და ყარაჩოღელი წარმოგვიდგება. მართალია, ქალაქში ამინდს წარჩინებულები ქმნიდნენ, საბჭოთა ეპოქამ ყარაჩოღელები და კინტოები გახადა პოპულარული. ამის მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირში მთავარი აქცენტი ქვედა ფენებზე იყო გადატანილი. კლასობრივი დაყოფის თვალსაზრისით კი ქალაქში მშრომელი, დაბალი ფენა ყარაჩოღელები და კინტოები იყვნენ, ხოლო დიდვაჭრები და ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები მაღალ, მხაგვრელთა კლასს წარმოადგენდნენ.

მაინც ვინ იყვნენ ყარაჩოღელი და კინტო? საიდან გაჩნდნენ? როგორ ცხოვრობდნენ, რას საქმიანობდნენ, რა აქვთ მათ საერთო და განმასხვავებელი? რატომ იყო პირველი უადრესად კეთილშობილი, მეგობრისა და საქმის ერთგული, ხოლო მეორე — მისი სრული ანტიპოდი...

ყარაჩოღელი

ყარაჩოღელი (ყარაჩოხელი) თბილისში, ქალაქში წარმოშობილი სიტყვაა, როგორც ჩანს, იგი XIX საუკუნეში გაჩნდა. ყარაჩოღელი თურქულიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით შავჩოხიანს ნიშნავს. თბილისელთა საუბარში სიტყვა ოდნავ გადასხვაფერდა და ყარაჩოხელის ნაცვლად, ყარაჩოღელი უფრო გავრცელებული ფორმა გახდა.

თბილისის მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე ფიქრობს, რომ „ყარაჩოხელს, როგორც ქალაქის სოციალური ფენის წარმომადგენელს, დაახლოებით რვაასი-ცხრაასი წლის ისტორია აქვს“. მაგრამ საუარაუდოა, რომ იგი უფრო გვიანდელია, რადგან XIX საუკუნემდე გამოცემულ არც ერთ ისტორიულ დოკუმენტსა და საბუთში არც ყარაჩოღელი და არც კინტო არ მოიხსენიება.

ყარაჩოღელი წარმომავლობით ქალაქის დაბალ ფენას ეკუთვნოდა. ისინი რიგითი თბილისელი ხელოსნები იყვნენ, რომელთაც სინ-

დისის საკუთარი კოდექსი გააჩნდათ. თბილისელი ყარაჩოღელი ქალაქის მოსახლეობის საყვარელი ფალავანი, უსამართლობისა და ძალმომრეობის მოძულე, სუსტების, დაჩაგრულებისა და ქვრივ-ობლების ქომაგი იყო.

ყარაჩოღელები ამქრის წინამძღოლს, ანუ უსტაბაშს ემორჩილებოდნენ. ამქრის წესის მიხედვით, ყოველ ყარაჩოღელს ევალებოდა გაჭირვებაში მეორის დახმარება; ოსტატებს ერთმანეთისთვის შევირდები არ უნდა წაერთმიათ; რომელიმე ყარაჩოღელის გარდაცვალებისას მისი დამარხვისა და სხვა ხარჯები ყველას უნდა გაეღო, ვინც ამქარში ირიცხებოდა; შევირდი ოსტატად მიიღე ამქარს უნდა ეკურთხებინა; ახალი უსტაბაშის არჩევისას ამქრიდან ერთი წევრიც რომ ყოფილიყო წინააღმდეგი, მას არ აირჩევდნენ.

ყარაჩოღელებს განსხვავებული სამოსი ეცვათ. მათი გარდერობი ყველაზე კარგად პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა აღწერა: „ყარაჩოღელს აცვია — შავი გრძელი ჩოხა, გრძელკალთებიანი, მოკლე ნაოჭიანი და ორ ჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზედ მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარში, შიგნიდან აცვიათ წითელი აბრეშუმის დომლულგაკეთებული და

კინტო ვაჭრობისას



გულამოჭრილი პერანგი, ზედ — შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი, განსაკუთრებით ქობაჩი შავი შალისაგან იკერებოდა, თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ამ შარვლის ფართო ტოტები შიგნიდან ჰქონდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში. საშინაოდ იცვამდნენ ქოშებს, საგარეოდ ხმარობდნენ ყაფადიან წაღებს. მათი სამკაული იყო ვერცხლის გობაკებიანი ქამარი, ქამარში — მწვანე ბაღდადი, „გალიბანდის“ ქუდი, წელში — ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის ქისა წყკოთი“.

ყარაჩოღელის ჩვეულებები

წარმოდგენილია ძველი თბილისის ყარაჩოღელთა ქეიფისა და დროს ტარების გარეშე. მათ ნახავდით თბილისის დუქნებსა და სამიკიტნოებში, ორთაჭალისა და კრწანისის ბალებში, მტკვარზე ტოვსა თუ ნაეზე. თასებით ზელში დადიოდნენ. ყარაჩოღელის კეთილი გამოხედვა გუეზნებოდა: სანამ ვარ, ასე ვიცხოვრებო.

მკვლევარ ელენე ბოცვაძის მიხედვით, „ყარაჩოღელები ქეიფის მოყვარული ხალხი იყო, ისინი შრომით მოპოვებულ ფულს არასოდეს ინახავდნენ და უზრუნველად ხარჯავდნენ ღვინოში. თბილისში ლეგენდაც კი არსებობდა ყარაჩოღელი ალექსანდრის შესახებ, რომელმაც ორთაჭალის ბაღში ძალიან დიდი ფული, 100 თუ-

მანი იპოვა და იმის ნაცვლად, რომ ეს თანხა შეენახა, ადგა და მთელი ამქარი ერთი კვირის განმავლობაში აქეიფა. იმ კვირაში თბილისში არც ერთი სახელოსნო აღარ მუშაობდა. ხალხი ძალიან ცუდ დღეში ჩაცვიფდა, რადგან ხელოსნები ყველას სჭირდებოდა, ისინი კი გაშლილ სუფრას უსხდნენ და ვართალალოს გაიძახოდნენ“.

ყარაჩოღელის სიტყვა — თამამი იყო და გულუბრყვილო. ყარაჩოღელი გარეგნულად წარმოსადგევი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე, დარბაისელი, ჩასპანდი, გულმართალი, პატოსანი, რაინდი. მათგან შორს იყო ჩხუბი და აყალმაცალი. შრომაც და ღვინიც დარბაისლური იცოდა. თავის, თუ ძმაცაცის შეყვარებულებს უძღვრდნენ, ქვრივ-ობოლზე ზრუნავდნენ, გაჭირვებულს უვლიდნენ, ავადმყოფს ეხმარებოდნენ, ქალაქზე ზრუნავდნენ. იოსებ გრიშაშვილი

ყარაჩოღელის ხმა — ტკბილი და შთამბეჭქდავი. ყარაჩოღელის საყვარელი საკრავები იყო ზურნა, დუღუკი, საზანდარი და ქამანჩა. ყარაჩოღელის მუსიკა — დუღუკია. შრომით დაღლილი დუღუკის დარბაისლურსა და ნაღვლიან კენესაში ანშობდა სიყვარულის კაემანს და ცხოვრებისეულ ჭირ-ვარამს. ყარაჩოღელი სიტყვის შედეგებს ქმნიდა: „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, /მიზეზისა სხვისა და სხვისა“; „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის მაღლა ციდანა, / დაბეჭდილი წიგნი მომდის საყვარლისგანა“.

იოსებ გრიშაშვილი

მოქეიფეთა სუფრა არასდროს დამწუხრდებოდა. სახელდახელო სუფრაზე გასაოცარ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ. მაგალითად: „ეს გაუმარჯოს იმ მებაღეს, ვენახში რომ გაივლის, დაწოლილ ვაზს შეამჩნევს, წამოაყენებს, ახეირებს, ნაყოფს გამოაღებინებს, დაპკრუფს, დაწურავს, დაღვეს და სხვასაც დააღვეინებს“.

მათ მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოში გადმოცემული იყო კაცთმოყვრული, ჰუ-



ყარაჩოღელის ქამარი



ნ.კო ფიროსმანმა ყარაჩოღლეების ქეიფს არაერთი ნახატი მოუძღვნა

მანური აზრები, ადამიანის ყოველდღიური, ცხოვრებისეული ფიქრი და ტკივილი: „ქვეყანა ზღვაა, მიდის კაცი, ზოგს ატივტივებს, ზოგს დასძირავს. რისგან არის? ადამიანის სიბოროტის, შურისა და ავგულობისგან. რა გინდა, შე გაუმადლარო კაცო, რომ სულ შენკენ იწვევ და სხვას კი არას დასდევ. ნათქვამია: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო; შენც ირგე და სხვასაც არგუნე და მიუწილაღე“.

ყოველ სადღერძელოს მოჰყვებოდა დუღუკის ჰანგი, რომელიც ღვინისგან შეზარხოშებულთ, ეშხში შესულებს ცხოვრების სითბოსა და სილამაზეს აგრძნობინებდა.

ქეიფში, პურმარიღში ღამენათუევი მიინახენი გათენებისას, დილის საარზე ქეიფს თბილისის გოგირდის აბანოებში განაგრძობდნენ. ცხელი აბაზანისა და ლაზათიანი ქისის შემდეგ „სუფრა“ ზედ აუზის თავზე იშლებოდა და კვლავ ისმოდა ყარაჩოღელთა ფრთიანი სადღერძელოები.

ყარაჩოღელს ქონება არ გააჩნდა, ძირითადად თავის ნაშრომს ქეიფსა და ღვინში ხარჯავდა, მაგრამ არასოდეს დათმობდა ვერცხლის ქამარს, რომელიც ყოველთვის თან ჰქონდათ. ამ ქონებას სიკვდილის შემდეგ „დასამარხი“ ფულისთვის ინახავდნენ.

თავის დროზე შეიქმნა ე.წ. ყარაჩოღელთა პოეზია. ქალაქელი ყარაჩოღელის საყვარელი სასიძღვრო ლექსი იყო „მითხარ, მითხარ“,

რომლის ტექსტი იოსებ გრიშაშვილს ეკუთვნის:

რომ არ მწყალობ, ცოდვა არ ვარ?
რად არ გალობ, არ გიყვარვარ?!
მითხარ, მითხარ, ეგრე მააღე,
ვარდო, ფერი რად იცვალე?!
გენაცვალე!...
ბულბულს — ენა, ვარდს — სინაზე,
მოვსტაცე და შეგთავაზე!...
ვარსკვლავთ გუნდი მოცქირალე
ძირს კვარცხლებად გაგიშალე
გენაცვალე!..

კინტო

კინტოც იმავე სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო, რომლისაც ყარაჩოღელი. კინტოს არც ერთი ხელობა არ ჰქონია, შესაბამისად, არც ამქრის წვერი იყო და არც არავის ემორჩილებოდა. თუმცა კი ისიც ძველი თბილისის ქუჩების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა გახლდათ. ქალაქში ყველგან ნახავდით თავზე ხილით ან მწვანელით სავსე თაბახშემოდგმულ, ან ვიწრო ქუჩაში ვირშებმულ პატარა „ტაჩკით“ მიმავალ კინტოს.

კინტო ნიშნავს კინწით თაბახით მზიდველს. იგი ყოველდღე თაბახზე გაწვობილ ხილსა და ბოსტნეულს გასაყიდად ქუჩებში თავით დაატარებდა.

არსებობს მოსაზრება, რომ კინტოები თბილისში სპარსეთის ბატონობის პერიოდში, უფ-

რო ზუსტად კი როსტომ ხანის (1633-1658 წწ.) დროს გაჩნდნენ, საქართველოს ზნეობრივი გადაგვარების მიზნით, რათა ამ გზით ირანს გადვილებოდა ამ ქვეყნის ინტეგრირება (სავარაუდოდ, აქ იგულისხმება კინტოების ერთი ნაწილი, სოდომურ ცოდვაში მხილებულნი). მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრება შეიძლება იყოს. ამასთან, რაც ქრისტიანობაშია ცოდვა, ასევე ცოდვაა იგი ისლამისთვისაც, და უფრო მკაცრი სასჯელითაც ისჯება. ამიტომ სპეციალური სოციალური ფენის შექმნა ასე გამიზნულად ალბათ არ მოხდებოდა, მით უმეტეს, რომ ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ გაგვაჩნია.

მივყვეთ თანამიმდევრობას. აქ არ ვეცდებით კინტოს „სახელის რეაბილიტაციას“, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ ბოლო პერიოდში მრავლად გამოთქმული, უსაფუძვლო და არგუმენტების გარეშე მოტანილი მოსაზრებების საპასუხოდ მცირე რამ უნდა აღინიშნოს.

კინტო არანაირად არ ყოფილა ცალკე მდგომი და ყარაჩოღელისგან განსხვავებულ სოციალურ ფენაში წარმოქმნილი. XIX საუკუნემდე, ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, კინტოს ხსენებაც არ არის. კინტოს ფენო-მენი, როგორი სახითაც დღეს არის ცნობილი, სწორედ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

კინტოებიც ქალაქის წვრილი მოსახლეო-



სამი ყარაჩოღელი

ბიდან ან სოფლიდან თუ კავკასიის სხვადასხვა სახანოდან ჩამოსული უპოვარი და ბოგანოთა ფენიდან იყვნენ. ასეთი ხალხის ერთი ნაწილი ოსტატთან შეგირდად დგებოდა, და რადგან შეგირდობის მსურველი უფრო მეტი იყო, ვიდრე ოსტატი და მასწავლებელი, ანუ ყარაჩოღელი, ამიტომ ხელოსნობის, ანუ, ამ შემთხვევაში, ყარაჩოღელობის მსურველიც ბევრი იყო. ბუნებრივია, ყველა ვერ სწავლობდა ხელობას და იმ ნაწილს, რომელიც თავს ვერ გაართმევდა დაკისრებულ საქმეს ან თაღლითობაზე ხელი წაუცდებოდა, სამუდამოდ ეკრძალებოდა ამქართან კავშირი. შეგირდობის მსურველის თაღლითის სახელის შესახებ ქალაქში უკვე ყველა ამქარმა იცოდა, ამიტომაც იგი დეკლასირებული ხდებოდა. ასეთ ადამიანს სხვა გზა არ რჩებოდა, ასე მატყუარობითა და წვრილმანი ვაჭრობით უნდა გაეტანა თავი, რადგან ყველაფერზე მოქმედებდა მონოპოლია (იგულისხმება ამქარი). ვინც არ იყო მონოპოლიის წევრი, მას საზოგადოება

ტფილისი XIX საუკუნის მიწურულს



„ტფილისში დღეს იმდენი სასირცხვო ხალხი ცხოვრობს, სათვალავი რო აერევა კაცსა. ქალაქში კინტო-მატრაბაზები ყველას ყველიფავენ და შავზე თეთრს იმტკიცებთან“.

საბჭოთა ეპოქაში კი, როცა უმთავრესი გახდა ქვედა ფენების ისტორია, მთელი ჩვენი წარსული კლასთა შორის დაპირისპირების ფონზე უნდა გადაწერილიყო. ფეოდალი უმეტესად მოღალატედ განიხილებოდა. მაშინ, როცა ქალაქის დიდი ნაწილი დიდვაჭრებითა და არისტოკრატებით იყო დასახლებული, რომელნიც ქართველ თავად-აზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენლები იყვნენ, დაიწყო წვრილი, ქვედა ფენების შესწავლა და პოპულარიზაცია. ასეთები ქალაქში იყვნენ ყარაჩოღელი და კინტო. ყარაჩოღელი კარგად ჩაჯდა საბჭოეთის იდეოლოგიაში, რომელიც კარგი ხელოსანი, ნამდვილად პატიოსანი და დარბაისელი ადამიანი იყო. ხოლო კინტო, რადგან ვაჭრობდა და აფერისტობდა კიდეც, მთლიანად მარგინალიზებული გახდა. თბილისის მკვლევარმა და დიდმა მოტრფივალე იოსებ გრიშაშვილმა, რომელმაც ყარაჩოღელებისა და კინტოების ცხოვრება შეისწავლა, კინტოების სექსუალურ ორიენტაციას საერთოდ აუარა გვერდი. პოეტი ახასიათებს ყარაჩოღელსაც და კინტოსაც, და მათ დადებითსა და უარყოფითს ობიექტურად აღწერს. ვფიქრობთ, იქ

აძილებდა ეთაღლითა, წვრილი ტყვილიც ეკადრა, რათა ამ ყველაფერიდან რამე გამოჩენა ჰქონდა. სწორედ ამიტომ გაჩნდა ქალაქში კინტოსადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რომ იგი ყველაფერის მკადრებელია, ყველას შეუძლია წამოაძახოს, რომ იგი იტყუება, თაღლითობს, ნამარდობს...

კინტოები დილით ადრე ბაზარში ყიდულობდნენ ხილ-ბოსტნეულს და მერე ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და ყიდდნენ, თან დაჰქონდათ თავისი სასწორიც. ეს ხელობა მცირე მოგებას იძლეოდა, ამიტომ კინტოები იტყუებოდნენ წონაში, ხურდაში... ამის გამო საერთოდაც ცუდი სახელი ჰქონდათ. გარდა ამისა, ენაბილწებიც იყვნენ და არც ქალებთან უწმაწურ გახუმრებას არიდებდნენ თავს. არ გააჩნდათ რამე ორგანიზებული სისტემა. თანაც, ამ ყველაფერს დიდად არც განიცდიდნენ.

კინტოებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა მაღალ საზოგადოებაშიც. იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „კვალში“ წერდა:

კინტოებს ხილ-ბოსტნეული ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ და ყიდდნენ





ეს ის ფოტოა, რომლითაც დღეს „კინტოების თემაზე“ სპეკულირებენ

ბილის გამყიდველი კინტო



რამე ამორალური რომ არსებულებო, ნამდვილად არ მოერიდებოდა და აღწერდა კიდევ. ინდივიდუალურად შესაძლოა სცოდავდა რომელიმე, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამის გამო ცილისწამება მთლიანად სოციალურ ჯგუფზე, რა თქმა უნდა, არ არის მართებული.

კინტო თავისუფალი იყო ყველანაირი ვალდებულებისგან, იგი ფაქტობრივად, კანონგარეშე ცხოვრობდა, რაც გამორიცხავდა მის ხელზე მოსამსახურეობას. ამით თავისუფლებასაც კარგავდა და არც არავინ ენდობოდა. კინტო არ ცნობდა ქალაქში დაწესებულ გადასახადებს, პროდუქტსა თუ მწვანისზე დაწესებულ ფასებსაც როგორც სურდა, ისე ცვლიდა.

კინტოს ჩაცმულობაზეც იოსებ გრიშაშვილი გვაწვდის ცნობებს: „კინტოს აცვია — ჩითის პერანგი წინწყლებიანი, მაღალსაყელიანი, რომელსაც შესაკერული აქვს გვერდზე, მარცხენა მხარეს, საყელოზე ოთხი დილაკი აკერია, მაგრამ საკინძე ყოველთვის შემოსხნილი (გაღედლი) აქვს. აცვია მოკლე, ნაოჭიანი, შავი ნაშურის ახალუხი; ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ზშირად ფარფარი გააქვს; თავზე ქენის ქუდი, ან „კოზინოკიანი შლაპა“; ფეხზე — უქუსლო ჩუხტები (მესტები), ზოგჯერ ყელდაკეცილი „დაწყობილი ჩექმები“; გულზე საათი ძეწკვით; წელზე — აბრეშუმის წითელი სარტყელი ან ვერცხლის აზინდიანი, ვიწრო ქამარი; ქამარში — აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცი. ჩოხას სულ არ ხმარობენ“.

კინტო თბილისის ყოფას XX საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩა.

ყარაჩოღელი VS კინტო

კინტოსა და ყარაჩოღელს ერთმანეთი არ უყვართ. კინტო არავისთვის წარმოადგენდა სამაგალითოსა და პატოვსაცემს, მაშინ, როდესაც ყარაჩოღელი ყველას მხარში მდგომი იყო და საზოგადოებაც დიდ პატივს მიაგებდა. თუ თბილისელ ყარაჩოღელს დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, კინტო XIX საუკუნეში გაჩნდა.

ყარაჩოღელის სიტყვა თამამი იყო და გულუბრყვილო. კინტოს მეტყველება — გაცვეთილი ფრანგები, შაბლონური, მშიშარა, ლაქუცა, მატყუარა. კინტოები შეუცვლელი მსმენელნი იყვნენ სხვისი საუბრისა და ასევე შეუცვლელნი — ენის მიტან-მოტანაში.

ყარაჩოღელები გარეგნულად წარმოსადგები და პატიოსანი იყვნენ. თასებით ხელში დადიოდ-

ნენ. შეყვარებულებს უძღვრდნენ, ქვრე-ობოლ-ზე ზრუნავდნენ, გაჭირვებულს უვლიდნენ, ავად-მყოფს ქმარებოდნენ, ქალაქზე ზრუნავდნენ.

კინტოს ვაჟკაცური არაფერი ეცხო: თვალ-მანკიერი ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სიარული დამტკვრეული და ოკრო-ბოკრო ჰქონდა, ცუდლუტი, ლაზღანდარა, მასხარა, გაქსუებული, დაღლარა, თახსირი და მცირე უნარისა. ყარაჩოღელის გადაგვარებულ სახეს კინტო ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ უღარდელი და ზანტი კინტო მთელ სიცოცხლეს ლაზღანდარობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა, გულით მაინც სევდა და ნაღველი დაჰქონდა. ცხოვრებამ აიძულა იგი ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრაგი, ლოთიანი ქეთვის მოყვარული კინტო, რომელსაც თავზე ღვინით საუსე ბოთლი ედგა, არღნის ხმაზე ბაღდადით ხელში ცეკავდა კინტოურს. მისი სიმღერა იყო „ავარ, ავარ დავედვარ“.

* * *

ყარაჩოღლის ხმა — ტკბილი და შთამბეჭდავი...
კინტოს ხმა-ხრინწმოკიდებული და ხმელი...
ყარაჩოღლის მიხერა მოხერა მტკიცეა...
კინტოსი — ოკრობოკრო...
ყარაჩოღელი — ქმნის სიტყვის შედეგებს...
კინტო — ამ სიტყვებს ამახინჯებს...
ყარაჩოღელი მღეროდა:
„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, მიზეზისა სხვისა და სხვისა“
კინტო მღერის:
„არღანჩიკ დაუკარ,
ფაიტონჩიკ გარეკე“
ყარაჩოღელის რეპერტუარიდან:
„ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოღის მადლა ციდანა,
დაბეჭდილი წიგნი მომღის საყვარლისგანა“
კინტო ამ სიმღერას ასე ასრულებს:
„კუსოკ-კუსოკ ობლაკ იძოტ სვისოკ ნებესა-ო
ზაპეჩატან პისმო ნესიოტ ოტ ნუბოვნიცაო-ო“
ყარაჩოღლის მუსიკა — დუღუკია,
კინტოსი — არღანი...

იოსებ გრიშაშვილი

დასასრულ, კინტოსა და ყარაჩოღელის შესაფასებლად, მათ შესახებ მაინც ყველაზე უკეთ იოსებ გრიშაშვილი მოგვითხრობს, რომელსაც კარგად ახსოვდა ორივენი და მათი ავან-ჩავანიც უკეთ ესმოდა, ვიდრე ჩვენ ვხედავთ XXI საუკუნის გადმოსახედიდან.

„ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი თაობა... ყარაჩოღელი სინთუზია ქართულ-სპარსული ურთიერთობისა და საზოგადოდ, აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონალობისა.

კინტო კი შექმნილია შერეულ ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალკია ყარაჩოღელთა ოჯახისა. გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეში. კინტო, როგორც ცუდლუტი, მცირე უნარისა და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორგროშიანი მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც იჩერებს; ან იმდღესვე ფლანგავს მიკიტნის დახლთან, ან ყომარბაზობაში აგებს... მხოლოდ თბილისმა წარმოშვა ეს ბედასლი, თავნება, „პაჭარნი“, ლევანდი და დაუდევარი ტიპი, რომელსაც მაინცდამაინც დიდი სიბოროტის ჩადენა არ შეუძლიან“.

ალექსანდრა გოშიშვილი



„პატარა კინტო“.
ნიკო ფიროსმანი

საქართველო

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №2)

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის გადასაწილება დიდ იმპერიებს შორის (1700-1921)

ოთხი საუკუნის განმავლობაში – 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველ მსოფლიო ომამდე), სამწუხაროდ, საქართველოსთვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ობიექტური მიზეზების გამო ევროპის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში ვერ ერეოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბედი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.



4. რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის საზავო ხელშეკრულება (რეშტის ტრაქტატი)

რუსეთი მტკიცედ იცავდა 1724 წლის 12 ივნისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში დადებულ ხელშეკრულებას და ქართლისა და კახეთის სამეფოების საქმეებში არ ერეოდა. პეტრე I-ის ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა მისი გარდაცვალების (1725 წ.) შემდეგაც. სწორედ ამიტომ იყო, ვახტანგ VI ამოდ ცდილობდა რუსეთის დახმარებით მიეღწია იმისთვის, რომ ოსმალეთს ხელი აეღო ქართლზე.

ირანში არეულობა გრძელდებოდა. ავღანელთაგან დამარცხებული ირანის შაჰი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ოსმალეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და 1725 წელს მიიტაცა ყაზვინი, არდებილი და ირანის სხვა ქალაქები. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე I-მა (1725-1727) გადაწყვიტა, ავღანელებისგან დამარცხებული შაჰ-თამაზისთვის გილანში რუსეთის ჯარის ჩასვლა შეეთავაზებინა. რუსეთის ჯარს გილანში ვახტანგ VI-ც უნდა გაჰყოლოდა. დევნილ მეფეს მცირე იმედი ჩაესახა. ვახტანგ VI კასპიისპირეთში (რეშტში) 1726 წლის 10 სექტემბერს ჩავიდა. ამ დროისთვის ირანში მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. ირანი ვეღარ უმკლავდებოდა

ავღანელთა შემოტევას. 1725 წელს ავღანელებმა მირ-მაჰმუდის წინამძღოლობით ამოწყვიტეს სეფიანი შაჰების ძიული მამრობითი სქესის შთამომავლობა (შაჰ-თამაზი გადარჩა). იმავე 1725 წელს თავისი არაადამიანური სისასტიკით ცნობილი მირ-მაჰმუდი მისივე ახლობლებმა მოკლეს და ირანის შაჰად მოკლულის ბიძაშვილი ეშრეფი გამოაცხადეს. 1726 წელს ეშრეფმა ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა ისინი. 1727 წლის სექტემბერში ირანის შაჰად გამოცხადებულ ეშრეფსა და ოსმალეთის სულთანს შორის დაიდო ხელშეკრულება. ეშრეფმა სულთანს დაუთმო ოსმალეთის მიერ უკვე დაკავებული ქალაქები და ციხეები აზერბაიჯანში, ქურთისტანსა და ხუზისტანში. სამაგიეროდ, სულთნმა ეშრეფი ცნო დანარჩენი ირანის შაჰად. ოსმალეთის სულთანთან დადებულმა ხელშეკრულებამ გარკვეულწილად განამტკიცა ეშრეფის მდგომარეობა. ირანის ახალმა შაჰმა გადაწყვიტა რუსების განდევნა გილანიდან და კასპიისპირეთის სხვა პროვინციებიდან. ეშრეფის ჯარი რუსებთან ბრძოლაში რამდენჯერმე დამარცხდა. ირანის შაჰი იძულებული გახდა რუსეთთან საზავო ხელშეკრულება დაედო. რუსეთის საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს)

საჯალთო კუნძუნი



ხელი მოეწერა ქალაქ რეშტში 1729 წლის 13 თებერვალს.

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლის ძალით რუსეთმა ირანს დაუბრუნა მაზანდარანისა და ასტრბადის პროვინციები. კასპიისპირეთში რუსეთის მიერ დაპყრობილი ირანის დანარჩენი ტერიტორია კვლავ რუსეთს დარჩა.

რუსეთის საიმპერატორო კარს არც რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) დადების დროს გაუთვალისწინებია ვახტანგ VI-ის ინტერესები. რუსეთი ირანს ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგ VI-ის კანონიერი უფლების აღდგენას ვერ სთხოვდა, რადგან ქართლი იმზანად კვლავ ოსმალებს ეკავათ, ხოლო ოსმალეთთან 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში დადებული ხელშეკრულება რუსეთს ქართლის (ისევე, როგორც კახეთის) საქმეებში ჩარევას უკრძალავდა.

რუსეთ-ირანის 1729 წლის 13 თებერვლის რეშტის საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით) რუსეთმა უკვე მესამედ (პირველად — 1723 წელს, მეორედ — 1724 წელს) აღიარა ოსმალეთის უფლება ქართლისა და კახეთის სამეფოებზე.

* * *

5. ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის საზავო ხელშეკრულება (ჰამადანის ზავი)

ირანში ავღანელთა ბატონობა მყარი არ აღმოჩნდა. მაზანდარანში გაქცეული შაჰ-თამაზი ავღანელებთან საბრძოლველად ეშხადებოდა. შაჰ-თამაზის გარემოცვაში გამოირჩეოდა თავისი სიმამაცით განთქმული ნადირი. 1729 წლის 13 ნოემბერს შაჰ-თამაზმა და ნადირმა ისპაანთან სასტიკად დაამარცხეს ეშრევი. 1730 წლისთვის ნადირმა ავღანელები ირანიდან განდევნა და ირანის ფაქტობრივი მმართველი გახდა. 1731 წელს, ნადირის ავ-

რეშტი. პ.ი. პიასეკი, 1895





ნადირ შაჰ აფშარი

დანეთში ყოფნის პერიოდში, ოსმალებმა შაჰ-თამაზის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. იმავე 1731 წელს ჰამადანში დაიდო ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.

ირან-ოსმალეთის 1731 წლის საზავო ხელშეკრულების (ჰამადანის ზავის) მიხედვით საზღვარმა ირანსა და ოსმალეთს შორის მდინარე არაქსზე გადაინაცვლა. ქართლისა და კახეთის სამეფოები დანარჩენ საქართველოსთან ერთად ოსმალეთს ერგო.

ამრიგად, 1731 წლის ჰამადანის ზავით ირანმა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) გადასვლა ოსმალეთის ხელში.

6. რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულება (რემტის ტრაქტატი)

შაჰ-თამაზი თავს ვერ ართმევდა ირანში შექმნილ მძიმე ვითარებას. 1732 წლის 21 იანვარს რემტში ხელი მოეწერა რუსეთ-ირანის ხელშეკრულებას (რემტის ტრაქტატს).

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემ-

ტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მეორე მუხლის ძალით, ხელშეკრულების დადების შემდეგ რუსეთს უნდა დაეცალა და ირანისთვის გადაეცა გილანისა და ასტრბადის პროვინციები. იმავე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი პირობას დებდა, „მტკვრისპირა პროვინციებს“ არ შეიერთებდა და დაუბრუნებდა ირანს, როგორც კი შაჰი თავის ტერიტორიიდან განდევნიდა მტერს და ქვეყანაში მშვიდობა დამყარდებოდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ბაქოსა და დარუბანდს.

რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რემტის ხელშეკრულების (ტრაქტატის) მერვე მუხლი ეხება საქართველოს. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს ჰპირდებოდა ქართლის სამეფო ტახტზე დაბრუნებას, როგორც კი ქართლზე ირანის პროტექტორატი აღდგებოდა.

7. რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის საზავო ხელშეკრულება (განჯის ტრაქტატი)

1732 წლის აგვისტოში ნადირმა შაჰ-თამაზი ტახტიდან გადააყენა და ირანის შაჰად მისი რვა თვის ვაჟი აბასი გამოაცხადა. ნადირი მცირეწლოვანი შაჰის რეგენტი გახდა. 1732 წლის დამლევს ნადირი ოსმალთა წინააღმდეგ დაიძრა, აიღო ჰამადანი და ქერმან-შაჰთან განადგურა ოსმალეთის არმია, გაუღიბა 40 ათასი კაცი, ტყვედ წაიყვანა 20 ათასი. ირანის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ბაღდადს. 1733 წლის დეკემბერში ნადირსა და ბაღდადის ოსმალთა ფაშას აჰმედს შორის დაიდო ზავი. ზავის პირობით ირანს უბრუნდებოდა ოსმალეთისგან მიტაცებული ყველა ტერიტორია, მათ შორის ქართლი და კახეთი. თუმცა ზავის პირობები ოსმალეთის სულთანმა არ ცნო და ომი განახლდა. მალე ომმა სამხრეთ კავკასიაშიც გადმოინაცვლა.

1734 წლის ზაფხულში ნადირმა შემახა აიღო და რუსეთის იმპერატორს ანა ოვანოვანს დაპირებისამებრ დარუბანდისა და ბაქოს დაბრუნება მოსთხოვა. ოსმალეთი ქართლის, კახეთის, ასევე განჯისა და ერევნის ციხესიმაგრეების შენარჩუნებას ცდილობდა.

რუსეთმა, რომელიც დაინტერესებული იყო ირანთან კავშირით, ნებაყოფლობით თქვა უარი მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარე ირანულ პროვინციებზე. რუსეთსა და ირანს

შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა განჯაში. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1735 წლის 10 მარტს.

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების პირველი მუხლი ადასტურებდა რუსეთის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების პირობებს, რომლის ძალითაც რუსეთმა ირანს დაუბრუნა გილანი, მაზანდარანი და ასტრბადი. განჯის ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირველი მუხლებით კი რუსეთი ირანს დარუბანდსა და ბაქოს უბრუნებდა. რუსეთის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ განჯის ხელშეკრულება „ანახლებდა“ და „ადასტურებდა“ რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების პირობებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძალაში რჩებოდა რუსეთ-ირანის 1732 წლის 21 იანვრის რეშტის ხელშეკრულების მერვე მუხლი, რომლის ძალითაც ირანის შაჰი ვახტანგ VI-ს ქართლის ტახტზე დაბრუნებას აღუთქვამდა.

რუსეთ-ირანის 1735 წლის 10 მარტის განჯის ხელშეკრულების პირველი მუხლი ირანს აუღლებულებდა დერბენტში არსებული ქართული ეკლესიის დაცვასა და იქ ღვთისმსახურების გაგრძელების უზრუნველყოფას.

* * *

8. რუსეთ-ოსმალეთის 1739 წლის 18 სექტემბრის საზავო ხელშეკრულება (ბელგრადის ტრაქტატი)

რუსეთ-ოსმალეთის 1724 წლის 12 ივნისის სტამბოლის საზავო ხელშეკრულება (ტრაქტატი) 1735 წლამდე არ დარღვეულა. 1735 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1739 წლამდე გაგრძელდა. ომის ფორმალური მიზეზი გახდა ყირიმის ხანის თავდასხმები რუსეთის სამხრეთ პროვინციებზე. ომის ნამდვილი მიზეზი ჩრდილოთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირება იყო.

1736 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ყირიმის სახანოს დედაქალაქი ბახჩისარაი და აზოვის ციხესიმაგრე, 1737 წელს — მდინარე დნეპრის შესართავში მდებარე ოჩაკოვის ციხესიმაგრე. 1739 წელს რუსებმა სტაუჟანთან (მდინარე დნესტრზე) ოსმალეთისა და ყირიმის სახანოს გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. 1739 წლის 18 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბელგრადში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას (ტრაქტატს). ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო აზოვი, ოლონდ სამხედრო-საფორტიფიკაციო

ბახჩისარაი. ყირიმის ხანის სასახლე (შიდა ეზოს ფრავმენტი და ერთ-ერთი ოთახი)





იმერეთის მეფე სოლომონ I

ნაგებობების მშენებლობის უფლების გარეშე. ბელგრადის საზავო ხელშეკრულების ძალით, დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთმა შეინარჩუნა ყველა სიმაგრე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.

ამრიგად, ოსმალეთს დარჩა მის მიერ ადრე დაკავებული სიმაგრეები აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში.

9. რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 თებლის საზავო ხელშეკრულება (ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი)

აზოვისპირეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩებოდა. 1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. 1769 წელს აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო მოლდავეთისა და ვალახეთის ტერიტორიაზე, ასევე აზოვის ზღვის სანაპირო რაიონებში. 1770 წელს რუსეთის არმიამ მდინარე ლარგასა და მდინარე კაკულთან (მდინარე პრუტის შენაკადები) დაამარცხა ოს-

მალეთის არმია და მდინარე დუნაის მიაღწა. 1770 წელსვე რუსეთის სამხედრო ფლოტმა ხმელთაშუა ზღვაში, ჩესმენის ყურეში (მცირე აზიის სანაპირო), გაანადგურა ოსმალეთის სამხედრო ესკადრა. 1771 წელს რუსებმა ყირიმის სახანოს ტერიტორია დაიკავეს.

ოსმალეთთან ომში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქრისტიანი ხალხების გამოყენება გადაწყვიტა. 1769 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებმა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრეს. 1769 წელს რუსეთის არმიის საქსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლენბენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 1770 წლის აპრილში ქართლ-კახეთისა და რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ქართველებსა და რუსებს მტკვრის ხეობით ახალციხის მიმართულებით უნდა შეექმათ. 1770 წლის აპრილში გენერალმა ტოტლენბენმა აწყურის ციხის ალყის დროს ერეკლე II მოლაღატურად მიატოვა და უკან გამობრუნდა. მართალია, 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში ქართლ-კახეთის ლაშქარმა ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაიშალა. აწყურის ციხესთან ბრძოლის მიტოვების შემდეგ გენერალი ტოტლენბენი თავისი რაზმით იმერეთის სამეფოში გადავიდა. გენერალ ტოტლენბენის ღალატი რუსეთის საიმპერატორო კარის შორს გამიზნული გეგმის ერთი დეტალი იყო.

სოლომონ I-მა ისარგებლა იმით, რომ ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის ფაშის ძირითადი ძალები გაანადგურა და ოსმალებს შეუტია. 1770 წელს იმერეთის მეფემ ოსმალებს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები დაატოვებინა. ამის შემდეგ სოლომონ I-მა ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, თუმცა ციხის აღება ერთბაშად ვერ მოახერხა. 1770 წლის 2 თებლის სოლომონ II-მ და გენერალმა ტოტლენბენმა ბაღდათის ციხეს შემოარტყეს ალყა, მალე ოსმალთა გარნიზონი დანებდა. 6 აგვისტოს ღამით, ტოტლენბენის აშკარა თანადგომით, ოსმალთა გარნიზონი შეუძნეველად გაიპარა ქუთაისის ციხიდან. 1770 წლის 3 ოქტომბერს ტოტლენბენმა ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ ვერ აიღო. გენერალ ტოტლენბენს მალე იმე-

რეთის მეფესთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. 1771 წლის მაისში იმერეთში რუსთა საექსპედიციო კორპუსის ახალი მეთაური გენერალი ალექსეი სუხოტინი ჩავიდა. ფოთი ვერც სუხოტინმა აიღო და 1771 წლის ოქტომბერში ციხესიმაგრეს ალყა მოხსნა. 1772 წლის ივნისში რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველოს საზღვრები დატოვა. 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა. ომის დასასრულისთვის ოსმალები განდევნილნი იყვნენ იმერეთის შემდეგი ციხეებიდან: ქუთაისიდან, ცუცხვათიდან, შორაპანსა და ბაღდათიდან.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი დამთავრდა საზავო ხელშეკრულებით (ტრაქტატით), რომელსაც ხელი მოეწერა 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში (მდინარე დუნაის მარჯვენა სანაპირო).

რუსეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივლისის ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ძალით რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი — შავი ზღვისპირეთის სტეპის ზონა (ნოვოროსია). ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლი ეხებოდა საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს. საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლი ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მას მოლიანად მოვიტანთ:

„საქართველოსა (იმერეთის სამეფო. — რედ.) და სამეგრელოში (ოდიშის სამთავრო. — რედ.) მდებარე ციხეები: ბაღდათი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებულნი, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილნი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახლებული პროვინციებიდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულია იღებს ყველა იმათი სრული ამნისტია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე; პორტა ვალდებულია კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის

ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალმა და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ შეავიწროონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგვა. მაგრამ რადგანაც დასახლებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროოს ისინი“.

ამრიგად, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება იყო რუსეთის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იყო საქართველოს ინტერესები.


პასტანაშვილი გურული

(გაგრძელება იქნება)

გენერალი გოტლიბ ჰაინრიხ ფონ ტოტლენბენი



აღიფიქოსები



ალქიმიკოსის
„ლაბორატორია“

ალქიმია — ამ სიტყვის წარმომავლობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთი მოსაზრებით, იგი ვეგეტური კუმე-დან წარმოდგება, რაც შავს აღნიშნავს; სხვა შეხედულებით, იგი ბერძნულიდან მოდის. როგორც მეცნიერება (იმ ეპოქისეული გაგებით), გვიანანტიკურ ხანაში (II-IV სს) ალექსანდრიაში ჩამოყალიბდა.

ალქიმია თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ჰერმეტიზმს, ელინისტური ხანის ამ იდუმალებითა და რელიგიური მისტიციზმით გაჟღერებულ მოძღვრებას, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ბერძნულ ფილოსოფიას, ქალდეურ ასტროლოგიას, სპარსელ მოგვთა სწავლებებსა და ეგვიპტურ ალქიმიას. ჰერმეტიზმის ფუძემდებელია ჰერმეს ტრისმეგისტოსი. იგი ალქიმიის ფუძემდებლადაც მიიჩნევა. მისი სახელი მითისა და ლეგენდის საბურველშია გახვეული. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ჰერმეს ტრისმეგისტოსი იყო ღვთაება, რომელიც ეგვიპტეში წავიდა, იქაურებს წერა-კითხვა ასწავლა და კანონები დაუწერა. ეგვიპტელები მას თოთად მოიხსენიებდნენ. ლაქტანციუსის გადმოცემით კი ჰერმესი პლატონსა და პითაგორაზე ადრე ცხოვრობდა და დიდი მოაზროვნე იყო. მან ქრისტეს ამქვეყნად მოვლინება იწინასწარმეტყველა. ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ჰერმესი მოსეს შემდეგ და პლატონამდე ცხოვრობდა. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ეთანხმება იმ აზრს, რომ ჰერმესმა წინასწარ იცოდა მაცხოვრის მოსვლის შესახებ. ჰერმეს ტრისმეგისტოსი დიდი ავტორიტეტი იყო შუა საუკუნეების ევროპაში. მას მრავალ თხზულებას მიაწერდნენ. მის შეხედულებათა თანახმად შესაძლებელია ბუნებრივ კანონზომიერებებსა და მიზეზშედეგობრივ კავშირებზე მაგიური ზემოქმედება. ალქიმია ცნობილი იყო სხვადასხვა კულტურაში. თანამედროვე ისტორიოგრაფია იცნობს ეგვიპტურ, ელინისტურ, ბიზანტიურ, დასავლეთევროპულ, არაბულ, ინდურ და ჩინურ ალქიმიას.

ალქიმია იმ ხანაში ჩამოყალიბდა, როცა ადამიანთა მსოფლმხედველობასა და ალქიმიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგია და რელიგია ერთმანეთისგან არ იყო მკაცრად გამიჯნული. ადამიანები სამყაროს მთლიანობად აღიქვამდნენ და ღვთაებრივ ძალთა მონაწილეობა ჩვეულებრივ ყოფასა თუ ბუნებრივ კანონზომიერებებში მათთვის სრულიად არ იყო უჩვეულო. ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში მეცნიერება მჭიდროდ უკავშირდებოდა მისტიკასა და ოკულტიზმს. ალქიმიის თავდაპირველი, ალექსანდრიული პერიოდის შესწავლის საგანს სხვადასხვა ლითონი წარმოადგენდა. იმდროინდელ ალქიმიკოსთა თანახმად, თითოეული სახეობის ლითონი რო-

მელიმე ციურ მნათობს შეესატყვისებოდა. იმდროინდელი ალქიმიის ცენტრად ალექსანდრიაში სერაპისის ტაძარი მიიჩნეოდა, სადაც საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ინახებოდა — ის დიდი ალექსანდრიული ბიბლიოთეკის ნაწილს წარმოადგენდა. იმდროინდელი ცნობილი ალქიმიკოსები იყვნენ ბოლოს დემოკრიტოსი, ზოსიმე პანოპოლიტოსი, ოლიმპიადორე. დაახლოებით 200 წელს დემოკრიტოსმა დაწერა წიგნი „ფიზიკა და მისტიკა“, სადაც დაწვრილებით აღწერა არაკეთილშობილი ლითონის კეთილშობილ ლითონად (პირველ რიგში, ოქროდ და ვერცხლად) გადაქცევა. იგივე პროცესი აღწერა ზოსიმე პანოპოლიტოსმა თავის ენციკლოპედიაში (III ს.), თან მკაცრად გააფრთხილა ყველა, ეს საიდუმლო არ გაეხმაურებინათ. ალქიმიკოსთა სწავლებებსა და შეხედულებებს თავიდანვე ენოთერული ხასიათი ჰქონდა. მათი ტექსტების გაგება რთულია, გარდა ამისა, თავიანთ მიღწევებს უცხო პირებს არ ანდობდნენ. ეგვიპტელთა აჯანყების

ჰერმეს ტრისმეგისტოსი





ჯაბირ იბნ-ჰაიანი და ფრენსის ბეკონი



(296 წ.) ჩაქრობის შემდეგ რომის იმპერატორმა დიოკლეთიანემ ალქიმიკოსთა ნაშრომების დაწვა ბრძანა, რათა ეგვიპტელთათვის სიმდიდრის წყარო მოეპოვა (ჩვენითვის უცნობია, რამდენად გამოსდიოდათ ალქიმიკოსებს ჩვეულებრივი ლითონების ოქროდ და ვერცხლად გადაქცევა).

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ალქიმიკოსთა სწავლებამ და მოძღვრებამ არაბულ აღმოსავლეთში გადაინაცვლა. საერთოდ ცნობილია, რომ არაბები ანტიკური ცივილიზაციის ბევრ მიღწევას გაეცნენ, თარგმნეს ძველი ბერძენი ავტორები. შუა საუკუნეების ევროპამ ძველი ბერძენი მოაზროვნენი უმეტესწილად სწორედ არაბთა თარგმანებიდან გაიცნო. VIII საუკუნის ირანელმა ალქიმიკოსმა ჯაბირ იბნ-ჰაიანმა განავითარა არისტოტელეს მოძღვრება ლითონების შესახებ და მასში სიახლეც შეიტანა. იბნ-ჰაიანის მიხედვით, ლითონს სიცვის, სითბოს, სიმშრალისა და თხევადობის გარდა კიდევ ორი თვისება ახასიათებს: სიმზურვალე და ე.წ. მეტალურობა (რომელიც იდეალური მეტალისთვისაა დამახასიათებელი). იბნ-ჰაიანმა დაწვრილებით აღწერა თითოეული ლითონის დამახასიათებელი თვისებები, აგრეთვე, ოქროს წარმოქმნის პროცედურა. იბნ-ჰაიანიმ პირველმა შემოიტანა ფილოსოფიური ქვის ცნება. სწავლულის თანახმად, ფილოსოფიური ქვა არის სუბსტანცია, რომელსაც არათუ ნებისმიერი ლითონის ოქროდ გადაქცევა, არამედ ყველა დაავადების განკურნება შეუძლია (სიცოცხლის ელექსირის მსგავსია). იბნ-ჰაიანის შეხედულებები და სწავლებები განავითარა IX საუკუნის არაბმა ალქიმიკოსმა არ-რაზიმ, რომელმაც ლითონის თვისებებს სიმყარეც დაუმატა. არ-რაზის შრომებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ალქიმიკოსთა მეცნიერება.

არაბთა მიერ პირენეს ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ ევროპელები არაბული მეცნიერების მიღწევებს ეზიარნენ. არაბული მეცნიერების გზით ევროპელები ანტიკურ ავტორთა შრომებსაც გაეცნენ. ანტიკურ ავტორთა ნააზრევს თავიანთ თხზულებებში იყენებდნენ იოანე სკოტ ერიუგენა (IX ს.), პიერ აბელარი (XII ს.), ალბერტ დიდი (XIII ს.), თომა აქვინელი (XIII-XIV სს.) და სხვ. არისტოტელესა და პლატონის იდეებთან და სქოლასტიკის განვითარებასთან ერთად, ევროპა-

ში ალქიმიკოსთა მოძღვრებაც აღწევს. პირველ ევროპელ ალქიმიკოსად ფრენსის ბეკონი (1214-1294 წწ.) მიიჩნევა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაშრომები და გამოკვლევები დაგვიტოვა ამ დარგში („ალქიმიის სარკე“, „ბუნების საიდუმლოებების, ხელოვნებისა და მაგიის არარაობის შესახებ“). ალქიმიამ დიდი გავლენა იქონია პოეზიაში, საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. ამ დარგის არსებობამ, მიუხედავად მისი ეზოთერული და მისტიკური ხასიათისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქიმიის, როგორც მეცნიერების განვითარებაში. განვითარებულ შუა საუკუნეებში მომძღვრებული კათოლიკური ეკლესია ალქიმიკოსებს დაუბრუნებდა და მათი საქმიანობა და კვლევები აკრძალა. მიუხედავად ამისა, ალქიმიკოსები თავიანთ საქმიანობას განაგრძობდნენ XIII-XIV საუკუნეებშიც, არათუ განაგრძობდნენ, არამედ ბევრი მონარქისა და ფეოდალის მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. მაგალითად, იმპერატორმა რუდოლფ II-მ თავისი საიმპერატორო კარი ალქიმიურ კვლევათა ცენტრად აქცია. აღსანიშნავია კურფიურსტ ავგუსტუს საქსონელისა და მისი მეუღლის ანა დანიელის დაინტერესება ალქიმიით. ალქიმიკოსმა პარაცელსუსმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქიმიისა და მედიცინის განვითარებაში (ის ალქიმიის ოკულტურ და მისტიკურ მხარეებს ნაკლებად აქცევდა ყურადღებას). ალქიმიკოსები საქმიანობას აგრძელებენ XVI-XVIII საუკუნეებშიც, თუმცა ამ პერიოდში ალქიმიის პოპულარობა დაეცა.

როსტია იმ საზღვრის დადგენა, როდის დამთავრდა ალქიმიის და დაიწყო ქიმიის, როგორც რაციონალიზმზე დაფუძნებული სამეცნიერო დარგის განვითარება. ალქიმიის მეცნიერებად გარდაქმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რობერტ ბოილის (1627-1719) ნაშრომებმა, სადაც ის ქიმიურ ნივთიერებებსა და მათ შემადგენლობაზე საუბრობს. ბოილმა თანამოაზრეებთან ერთად განაცხადა, რომ ის ყოველგვარ ჰიპოთეზას კრიტიკით მიუდგებოდა და ყოველთვის მიმართავდა ცდილს მეთოდებს. ქიმიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს გეორგ ერნსტ შტალმა (1659-1734), ჯოზეფ პრისტლიმ (1733-1804) და სხვა გამოჩენილმა მეცნიერებმა. რაციონალიზმის განვითარების ფონზე ალქიმიის, როგორც მისტი-

კური და ოკულტური მეცნიერება, დადამკვიდრების გზას დაადგა, რაც საბოლოო ჯამში მისი გაქრობით დასრულდა.

საინტერესოა ალქიმიკოსთა მსოფლმხედველობა. მათი მოძღვრება განსაკუთრებული მისტიკური და ოკულტური ხასიათით გამოირჩეოდა. მაგიური შელოცვებითა და რიტუალებით ისინი ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედებას, იდეალური ჯანმრთელობისა და მარადიული სიცოცხლის მოპოვებას ცდილობდნენ. მათი აზრით, სწორედ ამგვარი დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული სუბსტანცია – ფილოსოფიური ქვა, რომელიც ადამიანს მარადიულ ახალგაზრდობას მოუპოვებდა. ალქიმიკოსთა თანახმად, შესაძლებელია ადამიანის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილზე (ცნობიერება, გონი, სული, სამშენებელი, სხეული) ზემოქმედება და განსაზღვრული შედეგების მიღწევა, რაც მათ ნაშრომებში ქიმიურ გარდაქმნათა ენაზე აღიწერება. ალქიმიკოსთა სწავლების თანახმად, სამყაროს პირველადი ელემენტებია: წყალი, ცეცხლი, მიწა, ჰაერი და კვინტესენცია ანუ ეთერული მდგომარეობა. პირველად ელემენტებთან ერ-

რობერტ ბოილი



თად სამყაროში არსებობს ორი საწყისი: მამაკაცური და ქალური, შემდეგ ამ ორ საწყისს მესამე დაუმატეს: მოძრაობა. პირველადი ელემენტები და სამყაროში არსებული უმთავრესი საწყისებით ჩვენ ვუკავშირდებით პირველქმნილ მატერიას, ზემოხსენებულ ელემენტთა და თვისებათა ურთიერთქმედებით შეგვიძლია ვიმოქმედოთ ბუნებრივ კანონზომიერებებზე და ნებისმიერი სახის სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ადამიანი არა მხოლოდ მატერიაზე ზემოქმედების უნარს იძენს, არამედ საკუთარ შინაგან სამყაროზეც ზემოქმედებს და საკუთარ თავსა და მატერიას ისე გარდაქმნის, რომ თვისებრივად ახალ საფეხურს (გაუმჯობესებას) აღწევს.

ალქიმის წარმოშობასთან დაკავშირებით საინტერესოა სახელგანთქმული ფსიქონალიტიკოსის, კარლ გუსტავ იუნგის შეხედულებები. იუნგი ალქიმიაკოსთა ნაშრომებს მათივე და ზოგადად კაცობრიობის კოლექტიური არაცნობიერის გამოვლინებად მიიჩნევდა. მათ შრომებში გვხვდება რიგი სიმბოლოებისა (ალქიმურ სიმბოლოებს მიეკუთვნება ურობოროსი ანუ გველეშაპი, ლითონები, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, არწივი და სხვ.), რომლებიც ბევრ კულტურაში ასევე ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. ადამიანები ამ სიმბოლოებს სიზმრებში ხედავენ, მაგრამ მათ მნიშვნელობას ვერ აღიქვამენ. ეს ყველაფერი კი ადამიანთა კოლექტიური არაცნობიერის გამოვლინებაა. ამით, იუნგის თანახმად, არაცნობიერი ადამიანს განსაზღვრულ ინფორმაციას აწვდის, რაღაცაზე მიანიშნებს, რაც ამ ადამიანისთვისვე არის აუცილებელი. იუნგის შეხედულებით, ალქიმიაკოსთა საბოლოო მიზანს ადამიანის შინაგანი სამყაროს მოწესრიგება და ჰარმონიზაცია წარმოადგენდა.

ალქიმია მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერების განვითარებაში (თუმცა ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა). ალქიმია ამ შეითვისა და თავისებურად გადაამუშავა ელინისტური ხანის განსხვავებული კულტები და მოძღვრებანი, რის შედეგადაც გვიანანტიკური ეპოქისა და შუა საუკუნეების კულტურებში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მოვლენად იქცა.

შოთა მათითაჴვილი

*„ალქიმიაკოსი“
პიტერ ბრიუგელი-უფროსის ნახატი*






გესტაპოს უფი საბჭოთა აბენსი?!

1973 წელს საბჭოთა ტელეეკრანებზე გამოვიდა სერიალი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელევა“ (იულიან სემიონოვის რომანის მიხედვით). ფილმს არნაზული წარმატება ზედა.

— ეს იყო პირველი საბჭოთა კინოსურათი, სადაც გერმანელები ღირსეულ მოწინააღმდეგეებად იყვნენ გამოყვანილი, — აღნიშნავდა საბჭოთა ჟურნალისტი და საერთაშორისო მიმომხილველი ლეონიდ მლეჩინი. — ფილმიდან საბჭოთა მაყურებელმა იხილა გესტაპოს ხელმძღვანელ ჰაინრიხ მიულერის არაკარიკატურული სახე. ამან ბევრ ჯორს მისცა დასაბამი. პირველი ბიძგი კი დისიდენტ ანდრეი ამალრიკის სტატიამ იყო, რომელიც ჯერ დისიდენტურ ჟურნალ „ექსპრესრონიკაში“ გამოქვეყნდა, შემდეგ კი რადიო „თავისუფლებით“ გადაიცა. მასში პირველად გაზიარდა ვერსია, რომ გესტაპოს შეფი საბჭოთა აგენტი იყო.



კადრი მხატვრული ფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელევა“, მარცხნივ — მიულერის როლის შემსრულებელი ლეონიდ ბრონევი

ჰაინრიხ მიულერის სხანდალური საჯაშუშო ლეგენდა

ინციდენტი მოსკოვის უნივერსიტეტში

— ამის თაობაზე ჯერ კიდევ ვალტერ შელენბერგი წერდა, — ამბობს ამალრიკი, — თუკი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელევა“ ყურადღებით გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ეს ასეა. მიულერმა გაშიფრა შტირლიცი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მასზე ზეწოლა გაეძლიერებინა, ალიბის მოფიქრების საშუალება მისცა. დასასრულ, შტირლიცი ჩავარდნას მხოლოდ მიულერის წყალობით გადაურჩა.

აღნიშნული ვერსია მოსკოვში ელვის უსწრაფესად გავრცელდა. როცა მიულერის როლის შემსრულებელი ლეონიდ ბრონევი მოსკოვის ქუჩებში გამოჩნდებოდა, ბიჭები ყვიროდნენ:

— მიულერი მოდის, მიულერი!
მაღე ბრონევი სტუდენტებთან შეხვედრა-

ზე მიიწვიეს. ერთ-ერთმა სტუდენტმა ჰკითხა:

— მაპატიეთ, მართალია, რომ თქვენი პროტოტიპი ჩვენი აგენტი იყო?

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გამოცდილმა მსახიობმა ბრონევიმ სცადა, ვითარება ხუმრობით განემუხტა:

— მაპატიეთ, მაგრამ ვინ გყავთ მხედველობაში? მე იმდენი როლი ვითამაშე, რომ სათვალავი ამერია! მეფე ლირიც ვიყავი, ოტელიოც, ჰამლეტიც, შვეიკიც. თქვენ რომელს გულისხმობდით?

— მიულერს! — იყო პასუხი.

— მიულერი? — ბრონევი ჩაფიქრდა, — უცნაურია, რომ მეფე ლირზე წინ ეს როლი დააყენეთ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომმა საუბრის სხვა თემაზე გადატანა სცადა. სტუ-



— თქვენი რომანისა და განსაკუთრებით, ფილმის გამოსვლის შემდეგ გავრცელდა ჭორი, თითქოს მიუღერი საბჭოთა დაზვერვისთვის მუშაობდა. რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს?

— ეს სრული აბსურდია! არც რომანი, არც ფილმი ამის საფუძველს არ იძლევა! პირიქით, იქ ხაზგასმულია, რომ მიუღერი ნაცისტები და თავდაჯერებული ანტიკომუნისტი იყო.

— და რა ბედი ეწია მას?

— მიუღერი 1945 წელს ბერლინისთვის ბრძოლებში დაიღუპა! ცნობილია მისი საფლავი, ასე რომ...

იულიან სემიონოვი აშკარად ნირწამხდარი გამოიყურებოდა. შემდგომში (უკვე პერესტროიკის ეპოქაში) ის იგონებდა, რომ თავად სუკის მაშინდელმა შეფმა იური ანდროპოვმა დაიბარა და ტყავი გააძრო. სატელევიზიო გამოსვლაც ამით იყო განპირობებული. თუმცა მალე დისიდენტურ პრესაში ამალრიკის ახალი სტატია გამოჩნდა:

— ბატონი სემიონოვი მართალს ბრძანებს. 1946 წელს ბერლინთან მიუღერის საფლავი მართლაც იპოვეს, გათხარეს, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა. სად გაქრა გესტაპოს შეფი?

ამალრიკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მიუღერმა თავი საბჭოთა კავშირს შეაფარა. ამას-

ჰაინრიხ მიუღერი

დენტები უკმაყოფილოდ ახმაურდნენ. ბრონევიომ ეს შენიშნა და მარჯვენა ხელი ასწია. ხმაურიც შეწყდა:

— სიმართლე გითხრათ, გამიგია ჭორი, რომ მიუღერი საბჭოთა აგენტი იყო, თუმცა ამის არ მჯერა! სამწუხაროდ, არც ისტორიკოსი ვარ, არც ორგანოს თანამშრომელი, ამიტომ კომპეტენტურ პასუხს ვერ გაცემთ. შემიძლია მხოლოდ ჩემი აზრი გითხრათ. არ მჯერა, რომ მიუღერი ჩვენი აგენტი იყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ შეხვედრაც დამთავრდა.

მიწოდება ავტორისგან

ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში თავად იულიან სემიონოვი გამოვიდა. წამყვანმა მას პირდაპირ დაუსვა შეკითხვა:



ვე იმეორებენ ვალტერ შელენბერგი და მოგვიანებით გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შემქმნელი გენერალი რაინჰარდ გელენი. პერესტროიკის ეპოქაში მათი მემუარები რუსულად ითარგმნა და ლეგალურად გამოქვეყნდა.

— ყველამ დავინახეთ, რომ ამაღრიკი მართალს ამბობდა, — დაასკვნის ლეონიდ მლეჩინი.

თავად იულიან სემიონოვა 1988 წელს განაცხადა:

— მუდამ მჯეროდა, რომ მიუღერი საბჭოთა კავშირში დაიმალა. რასაკვირველია, ამისი დამტკიცება არ შეიძლება, მაგრამ ლოგიკიდან გამომდინარე, ეს ნამდვილად ასეა. ჩემს რომანშიც შევეცადე (რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო), სიმართლე მეჩვენებინა.

დაკოვალქსეპული ჭკვიანი


— მესამე რაიხის სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შორის ყველაზე აუბედითი და საიდუმლოებით მოცული პერსონა, — ასე ახასიათებს მიუღერს ცნობილი ისტორიკოსი პიუტრეკორ-როუპერი.

ჰაინრიხ მიუღერი 1900 წელს დაიბადა ბავარიაში, კათოლიკურ ოჯახში. მამამისი ალოის მიუღერი ჟანდარმერიის ჩინოზნიკი იყო. გესტაპოს მომავალი შეფიც სიმკაცრისა და ასკეტიზმის პირობებში იზრდებოდა.

— მამა მას აიბულებდა შეედგინა და ზემიწევენით დაეცვა დღის რეჟიმი, — მოგვითხრობს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირჰი, — რეჟიმიდან ოდნავი გადაცდენაც კი სასტიკად ისჯებოდა.


ამგვარმა აღზრდამ მნიშვნელოვნად განაპირობა მიუღერის პიროვნების ჩამოყალიბება. იგი ეჭვიანი, გულჩახვეული გახდა, გაურბოდა ქალთა საზოგადოებას. გერმანელი მწერლისა და ისტორიული ნაშრომების ავტორის, იურგენ თორვალდის ცნობით, მიუღერს პირველი სქესობრივი კონტაქტი ოცდაათი წლის ასაკში ჰქონდა.

„თექვსმეტი წლის მიუღერს კი პიკანტური ინციდენტი გადახდა, — წერს თორვალდი, — 1916 წელს მიუღერი დაწეებითი სკოლის დამთავრების შემდეგ საავიაციო ქარხანაში დამხმარე მუშად მოეწყო, სადაც ახალგაზრდა მუშა ჰელენა რორბახი შეუყვარდა. გოგონამ



კონცის უფლება მისცა და მიუნჰენის გარეუბანშიც წაჰყვა, სადაც მიუღერის ბიძას პატარა კერძო სახლი ჰქონდა. ბიძა დროებით საფრანგეთში გაემგზავრა და სახლიც ცარიელი იყო. თავდაპირველად ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა. კონფლიქტი მას შემდეგ მოხდა, რაც გესტაპოს მომავალმა შეფმა ჰელენას აკოცა და ლოგინში ჩაიწვინა.

აღმოჩნდა, რომ გოგონა უმანკო იყო, მიუღერმა კი უბრალოდ არ იცოდა, ასეთ ვითარებაში როგორ მოქცეულიყო და დაიბნა. გო-



გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობა

გომ ეს შენიშნა და იმპოტენტი უწოდა. გააფთრებულმა მიუღერმა ჰელენას მთელი ძალით გაარტყა, თანაც ისე მაგრად, რომ გოგოს სისხლი წასკდა“.

მიუღერი მოკრივე იყო (გერმანიის ჩემპიონატის არაერთგზის პრიზიორი). მისმა დარტყმამ ჰელენა ნოკაუტში ჩააგდო. გოგოს მშობლებმა პოლიციას მიმართეს. მალე მიუღერი დააპატიმრეს.

— პოლიციის ჩინოვნიკი შმიდტი, რომელმაც მიუღერი პირადად დაკითხა, მოგვიანე-

ბით მას ასე ახსიათებდა: ჭკვიანი, მაგრამ ძალიან დაკომპლექსებული ბიჭია. ეს ძირითადად ზედმეტად მკაცრმა და ასკეტურმა აღზრდამ განაპირობა. გააჩნია მიდრეკილება სისასტიკისადმი. თუკი მის მტკივნეულ ადგილს შეეხები, შეუძლია სასიკვდილოდაც გაგიმეტოს.

ციხეს მიუღერი მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ფრონტზე მოხალისედ წასვლას დათანხმდა. გესტაპოს მოძავალი შეფი სამხედრო მფრინავე გახდა. 1918 წელს თადარიგში



მარტინ ბორჰანი

გაიდა. 1919 წლიდან იწყება მისი, როგორც პოლიციელის კარიერა.

ბორჰანის პროტექტი

მიუღერი ნამდვილად ნიჭიერი კაცი იყო და ამიტომ უმოკლეს დროში თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა. ჯერ კრიმინალურ პოლიციაში მსახურობდა, შემდეგ დააწინაურეს და პოლიტიკურ განყოფილებაში გადაიყვანეს.

„მიუღერის სახელთანა დაკავშირებული პროვოკაციები როგორც გერმანიის კომპარტიის, ასევე ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგაც, — წერს ტიპელსკირხი, — ამ კაცმა ჰიტლერის ბევრ მიმდევარს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა“.

1929 წელს მიუღერი ბავარიის პილიციის პოლიტიკური განყოფილების შეფი ხდება. ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ მას პატიმრობა დაემუქრა. მასზე ხომ ბევრი იყო დაბოლმილი! აქ მას მხსენლად მარტინ ბორჰანი მოველინა.

— დღესაც უცნობია, რატომ დაიცვა ბორჰანმა მიუღერი, — წერს თორვალდი, — ზოგი ამტკიცებს, რომ მან ბორჰანის წარსულზე ბევრი იცოდა, თუმცა საეჭვოა, ბორჰანი მხოლოდ ამის გამო დახმარებოდა. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მიუღერს უბრალოდ მოკლავდნენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, მიუღერი სწორედ ბორჰანმა გადაარჩინა. ბორჰანმა ის უსაფრთხოების სამსახურის (სდ) შეფს, ჰაიდრიხს წარუდგინა. ამ უკანასკნელმა უმაღლეს შინაგან მიუღერში პროფესიონალი და მაღალ თანამდებობაზეც გაამწესა. ეს ბევრს არ მოეწონა. მალე ჰიტლერის ყურამდე მიადწია ამბავმა, რომ ჰაიდრიხმა ვაიმარის რესპუბლიკის დროინდელი მოხელე დააწინაურა, კაცი, რომელიც თავის დროზე ნაცისტებს სასტიკად სდევნიდა. ფიურერმა ჰაიდრიხთან საუბრისას ეს შეკითხვა ჯიქურ დასვა. ჰაიდრიხმა მიუღო:

— დიახ, ჩემო ფიურერო! ჩვენებს სდევნიდა, მაგრამ რა ექნა? ასეთი იყო მისი სამსახური! თავისი საქმე კი მან ბრწყინვალედ იცის.

— მართლა? — ჰიტლერმა გაიღიმა, — ადრე ჩვენებს დასდევდა, ახლა კი ჩვენთვის იმუშავენ?

— რა თქმა უნდა!

— შეგიძლია მასზე პასუხისმგებლობა აიღო?

— დიახ!

მიუღერი პოსტზე დატოვეს. ის ყველა დავალებას უდრტყენივლად ასრულებდა, არადა, ყველაზე ბინძური საქმეების გაკეთებას სთხოვდნენ.

— მიუღერისთვის მხოლოდ ერთი კრიტიკური შემთხვევა არსებობდა: ეს შეფმა მიბრძანა. ისიც კლავდა, აწამებდა, აშანტაყებდა, — განმარტავს ტიპელსკირხი.

მალე მიუღერი საიდუმლო პოლიციის (გესტაპოს) უფროსად დაინიშნა. 1939 წელს ის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი გახდა.

მიუღერის რუსული კვალი

1942 წელს გერმანელებმა დაადგინეს, რომ დასავლეთ ევროპაში რუსების კარგად ორგანიზებული ჯაშუშური ქსელი მოქმედებდა. ის მოიცავდა ბერნს, ციურიხს, პარიზს, ბრიუსელსა და რასაკვირველია, ბერლინს. მისმა საცეცებმა გერმანიის ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში შეაღწიეს. ხსენებული ჯგუფის განადგურების მიზნით შეიქმნა ზონდერჯგუფი „წითელი კაპელა“. მასში შევიდნენ გესტაპოს, აბვერის (გერმანიის სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა), პოლიტიკური დაზვერვის წარმომადგენლები. ქსელი საერთო ძალისხმევით განადგურდა.

— გერმანელთა ხელთ უმნიშვნელოვანესი საბჭოთა აგენტები აღმოჩნდნენ. მათ შორის იყო თავად რეზიდენტი ლეოპოლდ ტრეპერი. მიუღწერა მისი ჯგუფის განადგურებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. იგი თავად ჩავიდა პარიზში, რათა დაპატიმრებული რუსი რეზიდენტი დაეკითხა. ტრეპერი დათანხმდა, მუშაობა გერმანელთა კონტროლქვეშ განაგრძო.

— შელენბერგი, ისევე როგორც ადმირალი კანარისი, მიიჩნევდა, რომ ტრეპერი ჯერ კიდევ საკმარისად არ იყო „დამუშავებული“. მიუღწერი საპირისპირო პოზიციაზე იდგა და თავისი გაიტანა, — აღნიშნავს ტრეგორ-როუპერი.

როგორც ცნობილია, ტრეპერმა ცენტრში მართლაც გადასცა სიგნალი, რომ გერმანელთა კონტროლქვეშ მუშაობდა. რადიოთამაში კარგა ხანს გაგრძელდა. შემდეგ მოხდა გაუგონარი რამ: ტრეპერი, რომელიც თითქოს გესტაპოს უმკაცრესი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, გაიქცა.

— მან ეს მიუღწერის დახმარებით შეძლო, — მიაჩნდა ვალტერ შელენბერგს.

ბევრი მკვლევარიც იმ აზრისაა, რომ მიუღწერმა რუსებთან კონტაქტები სწორედ მაშინ დაამყარა.

მარცხნიდან: ფრანზ იოზიფ ჰუბერი, ართურ ნებე, ჰიმლერი, ჰაიდრიხი და ჰაინრიხ მიულერი, 1939



ვალტერ შელენბერგი

ყალბი „დღიურები“...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გესტაპოს ბევრი დიდმოხელე სასამართლოს წინაშე წარდგა, თუმცა თავად მიუღწერს ამაოდ დაექებდნენ, ის უკვალოდ გაქრა. მალე გამოვიდა ვალ-





გესტაპოს შენობა ბერლინში პრინც ალბრეხტის ქუჩაზე (მარჯვნივ — მთავარი დარბაზი), 1933

ტერ შელენბერგის მემუარები. შელენბერგი ამტკიცებდა, რომ მიუღერი საბჭოთა კავშირში დაიბადა.

— რუსები ამან გააცოფა, — იგონებდა შემდგომში ალენ დალესი.

მალე დასავლურ პრესაში ჩნდება მასალეები, თითქოს მიუღერი ამერიკელებმა გადაარჩინეს და ის აშშ-ში ცხოვრობს. ამის შემდეგ ამერიკაში ე.წ. მიუღერის „დღიურები“ გამოქვეყნდა, სადაც დეტალურად იყო აღწერილი, როგორ გადაარჩა გესტაპოს შეფი და როგორ შეიფარეს იგი ამერიკელებმა.

— ამ წიგნის გამოსვლას უდიდესი სკანდალი მოჰყვა, — იხსენებს იულიან სემიონოვი.

მალე დამტკიცდა, რომ „დღიურები“ ყალბი გახლდათ. მოსკოვში მიიჩნიეს, რომ შელენბერგმა მიუღერის შესახებ ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის დავალებით გაავრცელა. შესაბამისად, გადაწყდა კონტროლირებისძიებათა განხორციელება.

— ასე შეითითხნა დოკუმენტი, რაც მიუღერის აშშ-ში ყოფნას ადასტურებდა, — განმარტავდა სუკის ექსკენერალი ოლეგ კალუგინი.

* * *

გადიოდა წლები. გაუჩინარებული მიუღერის ძებნა გრძელდებოდა, მაგრამ ამაოდ. კონკრეტული შედეგები არ ჩანდა. ზოგი წერდა, რომ მიუღერი არგენტინაშია. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, პარაგვაიშიაო. ავტორიტეტული ექსპერტები კი შელენბერგის აზრს იზიარებდნენ.

— მიუღერი რუსების მხარეს გადავიდა. მათ ის გადაარჩინეს, — მიიჩნევდა დასავლეთ გერმანიის დაზვერვის შეფი რაინჰარდ გელენი.

მოსკოვი ამას, ბუნებრივია, კატეგორიულად უარყოფდა. დღესაც, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსები ძალიან ღიზიანდებიან, როცა მიუღერის მოსკოვისთვის მუშაობის შესახებ წერენ. — ეს არის ცივი ომის ერთ-ერთი მითი! ეს მითი ანტირუსულმა ძალებმა შეთხზეს! — ამბობენ ისინი.

უდავოა ერთი რამ: მიუღერი 1945 წელს არ დაღუპულა. საერთაშორისო სასამართლომაც იგი ვერ გაასამართლა. როდის, სად დაასრულა გესტაპოს შეფმა სიცოცხლე, ოფიციალურ დონეზე ამას პასუხი დღემდე არ გაცემია.

ნოკა თიფზაძე

იუნკერს Ju-52/3m



გერმანელი პილოტების საყვარელი „დეიდა იუ“

ადამიანი უხსოვარი დროიდან მიიღტვის ცისკენ. სურვილი ზეცისკენ სწრაფვისა უამრავ მითსა და ზღაპარში აისახა. ერთ-ერთ ბერძნულ მითში ვკითხულობთ, როგორ გაფრინდნენ სანთლის ფრთებით დედალოსი და იკაროსი. ქართულ ხალხურ ზღაპრებში კი ვხვდებით გმირებს, რომლებიც „ფერინავი ხალიჩებით“ დანაფარდობდნენ ცაში. ფანტაზია მოგვიანებით ხორცშესხმას იწყებს. სწორედ ცაში ვარსკვლავებს შექვედომის სურვილით შეიქმნა საფრენი აპარატი. ამერიკელმა ძმებმა რაიტებმა 1903 წლის 17 დეკემბერს პლანერზე შიდაწვის ძრავა მიამაგრეს და პირველი „გაფრენაც“ შედგა. „ფლაიერ-1“-ის ისტორიულ ფრენას მსოფლიო ავიაციის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვადასხვა ქვეყანაში ავიაციით დაინტერესდნენ და თვითმფრინავების აგებაც დაიწყეს. თავდაპირველად თვითმფრინავები მსუბუქი და არამდგრადი იყო. მათი სუსტი ძრავები კი ხშირად ზიანდებოდა. მაშინ ფრენა ძალიან სახიფათო გახლდათ. მაგრამ ავიაციის გარიჟრაჟზე ჰაერში ასაფრენად თავზე ხელაღებული პილოტები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც ყოველთვის მზად იყვნენ.

ავიაკონსტრუქტორთა დაუღალავი შრომით იხვეწებოდა პლანერები, ძლიერდებოდა შიდაწვის ძრავები, იზრდებოდა თვითმფრინავის

ნავის სიჩქარე, სიმაღლის ჭერი და ფრენის მანძილი. გასული საუკუნის 30-იან წლებში ავიამშენებლობა შორს იყო წასული დარგის პირველ წლებთან შედარებით. იმდროისთვის ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად გერმანული „იუნკერს-52“ მიაჩნდათ. 1929 წელს იუნკერსის კონსტრუქციის ერთმრავიანი მოდელი Ju-52/1m შეიქმნა, რომლის საფუძველზეც ცოტა ხანში სამმრავიანი სამგზავრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი Ju-52/3m-ი აიგო. ეს მოდელი პირველად 1932 წლის მარტში აიჭრა ცაში.

თვითმფრინავი BMW-ს ფირმის ძრავებით იყო აღჭურვილი და გამოცდისას მაღალი საფრენოსნო თვისებები აჩვენა. „იუნკერს

პილოტის ადგილი კაბინაში





იუნკერს 52/3m-ის ტექნიკური მონაცემები

ტიპი: სატრანსპორტო თვითმფრინავი

მასა: ცარიელის — 6560 კგ; ასაფრენის — 10515 კგ.

თვითმფრინავის სიგრძე: 18,90 მ. სიმაღლე — 4,50 მ.

ძრავის ტიპი: სამი BMW-132 თ ვარსკვლავური 9 ცილინდრით, თითოეული 830 ცხენის ძალით (619) კვტ.

მაქსიმალური სიჩქარე: 350 კმ/სთ ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 5500 მეტრი.

ფრენის მანძილი — 1290 კმ.

ეკიპაჟი: 3-4 კაცი.

სასარგებლო დატვირთვა: 17 მგზავრი ან შესაბამისი მოცულობის ტვირთი.

„დეიდა იუ“ ესენ-მიულჰაიმის აეროპორტში, გვიანი 1930-იანი წლები

სატრანსპორტო დავალებიდან დაწყებული, განაღმვით დასრულებული.

ომის განმავლობაში 13 ძირითადი მოდიფიკაცია აიგო, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ გაუმჯობესებული რადიოკავშირით, გაძლიერებული ძრავებით, მძიმე ალტურვილობით, აგრეთვე ცვლადი საცურაო, სასრიალო და საბურავებიანი შესებით.

Ju-52/3m ზეგავლენას ახდენდა საბრძოლო ავიაციის განვითარებაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ომის განმავლობაში მოდელი მოძველდა, საიმედოობისა და სიძლიერის გამო ღირსებას მაინც არ კარგავდა. ესპანეთში Ju-52/3m სამარკო ნიშნით 170 ერთეული CASA-352 აიგო. ომის შემდეგ საფრანგეთში იმავე ტიპის თვითმფრინავს აწყობდნენ, სახელწოდებით AAC-1 Toucan-ი, რომელიც 1950-იანი წლების ბოლომდე დაფრინავდა.

მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი „დეიდა იუ“ ძველ დიდებას დღემდე არ ემშვიდობება. მას თავშესაფარი მიუნხენის ტექნიკურ მუზეუმში მოუნახავს. მართალია, „იუნკერს-52/3m“-ი საიმედო საჰაერო ხომალდი იყო, მაგრამ ათასობით თვითმფრინავიდან ბევრი ვერ დაბრუნდა უკან მშვიდობიანად. მეორე მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ თითქმის ყველა თვითმფრინავი გაანადგურეს. დღეს სხვადასხვა მუზეუმში სულ ოცამდე სატრანსპორტო „იუნკერსია“ შემონახული.

ნიკოლოზ დოჩუილი

52/3m“ განსაკუთრებით სტაბილური და საიმედო აღმოჩნდა, რის გამოც გერმანელმა პილოტებმა უმაღლესი შედეგები და მოფრებით Tante Ju (დეიდა იუ) შეარქვეს. თვითმფრინავი ძალიან გერმანულ მედროშე ავიაკომპანია „ლუფტჰანაში“ და საბრძოლო ავიაციის სატრანსპორტო გაერთიანებაში ძალიან პოპულარული გახდა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ათასი Ju-52/3m დაფრინავდა და ომის დასრულებამდე კიდევ 4800-ზე მეტი ეგზემპლარი უნდა დამზადებულიყო. Tante Ju (დეიდა იუ), როგორც მას სამხედრო ნაწილებშიც ეძახდნენ, პრაქტიკულად ყველანაირ ამოცანას წარმატებით ასრულებდა —



„იუნკერსის“
პროპელერი
წყალმცენარეებმა
დაფარეს

აზიანესპონახი ნყანაქვეშ

ოდესაში, შავი ზღვის ფსკერზე აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული თვითმფრინავი Junkers-52. არქეოლოგებმა აღმოჩენა უნიკალურად მიიჩნიეს, რადგან ასეთი ტიპის „იუნკერსები“ ძალიან ცოტა შემორჩა.

ნაპოენი საბრძოლო თვითმფრინავი 60 წელიწადზე მეტხანს იყო წყლის ქვეშ, თუმცა ის არცთუ ცუდ მდგომარეობაში ნახეს. უკრაინის არქეოლოგიის ინსტიტუტის წყალქვეშა მეცნიერების დეპარტამენტის უფროს სერგეი ვორონოვის შეფასებით, თვითმფრინავის 70% უვნებლად იყო შემონახული.

„უკრაინის არც ერთ მუზეუმს არ აქვს მსგავსი ექსპონატი და ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. დიახ, თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ვარდნისას იწვოდა, მაგრამ მაინც ყველაზე კარგ მდგომარეობაშია ამ ტიპის თვითმფრინავებს შორის“, — ამბობს ვორონოვი.

„იუნკერს-52“-ს შლამს აცლიან. ამოიღეს პილოტების ნივთები და ერთადერთი მგზავრის ნეშტი. ასევე საქაღალდე, რომელშიც აღმოჩნდა საბუთები და გერმანიისა და უკრაინის რუკები. სერგეი ვორონოვი დარწმუნებულია, რომ საქაღალდე გერმანული საჰაერო ძალების ოფიცერს ეკუთვნოდა. საბუთების გარდა, მყვინთაებმა იპოვეს საფრენი სათვალეები, სანავიგაციო სახაზავები, გერმანული სვასტიკა, ბატარეებზე მომუშავე ფანარი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ყველაზე საინტერესო აღმოჩენები შლამში იმალება.



მყვინთაები თვითმფრინავში შესასვლელ ლუკთან



სამართვალის „უცნობი“ გეოგრაფი

ხინალულები, კრიწები და ბუღუხები აზერბაიჯანის ჩრდილოეთიდან

სოფელი ჯეკი, კრიწის თემი

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია, აქ თურქული მოდემის სხვადასხვა ჯგუფის მოსვლამდე, სხვადასხვა ეთნოსის განსახლების არეალი იყო, რომელთაგანაც უმრავლესობას ადგილობრივი ალბანელები (თანამედროვე უდიების წინაპრები) წარმოადგენდნენ. მთებსა და მთისწინა ადგილებში დაღესტნურენოვანი სხვადასხვა ხალხი მკვიდრობდა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ირანულენოვანი თალიშები და თათებიც სახლობდნენ. მათი კასპიისპირეთში მკვიდრობა ორჯერ მეტ დროის მონაკვეთს მოიცავს, ვიდრე შუა აზიიდან მიგრირებული თურქულენოვანი ტომებისა. აღარას ვამბობთ ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთზე — დღეს რომ საინგილოს უწოდებენ, რომელიც ქართველთა ეთნოსფეროს წარმოადგენდა.

აზერბაიჯანულმა ეთნოსმა უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში გეომეტრიული პროგრესით მოიმატა. დღეს თუ ისინი თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 10 მილიონს აჭარბებენ, 1886 წლის მონაცემებით 780 ათასზე ოდნავ მეტი იყვნენ (მაშინდელი მოსახლეობის 54,5%). ეთნოსის ზრდის ასეთი ტემპი არა მხოლოდ ბუნებრივი ზრდის შედეგია, არამედ ეთნიკური პროცესებისაც — მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ეთნიკური ერთობის არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ ძალადობრივი ასიმილაციაც მიმდინარეობდა.

წინამდებარე სტატიაში ხინალულებს, კრიწებსა და ბუღუხებს გავეცნობით, რომელთაც შაჰადლის ხალხებსაც უწოდებენ, რადგან ისინი შაჰადლის მთებში ცხოვრობენ. ხინალულები, კრიწები და ბუღუხები აზერბაიჯანის მთიანეთის ძირძველი მოსახლეობაა.

ხინალულები

ხინალულები შაჰადლის მთიანეთის მხოლოდ ერთ სოფელში — ხინალულში მკვიდრობენ. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც, თუმცა ხინალულების ენდოეთნონი-

მი არის კატიდლური, რაც მათსავე ენაზე „თანასოფლელებს“ ნიშნავს. ადმინისტრაციულად სოფელი ხინალუდი ყუბის რაიონში შედის. საკუთარ სოფელს ისინი კეტშს უწოდებენ. ყველა წყარო ხინალულების სხვადასხვა რაოდენობას უთითებს (2 ათასიდან 6 ათასამდე). ამ რაოდენობაში აზერბაიჯანის ბარში განსახლებული ხინალულებიც იგულისხმებიან, რომლებიც თავიანთი ეთნონიმით არასდროს აღურიცხავთ. აზერბაიჯანელებად აღრიცხვდნენ თვით ხინალულში მცხოვრებთაც. 1976 წელს სოფელში 2,5 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1886 წელს — 2177 (359 კომლი), 1907 წელს 1917 ხინალულელი აღირიცხა, 1926 წელს კი მხოლოდ 100.

ხინალულურ ენას ნახურ-დაღესტნური ენების ცალკე შტოდ მიიჩნევენ. ყველა ხინალულელი თავისუფლად ლაპარაკობს აზერბაიჯანულად. მისი ანბანი 77 ბგერას შეიცავს (59 თანხმოვანი და 18 ხმოვანი). დღეს ხინალულური ენა თურქიზმებითაა გაჯერებული.

მართალია, ხინალულები ძველი ალბანეთის მოსახლეობის შთამომავლები არიან, მაგრამ წერილობით წყაროებში ისინი, ფაქტობრივად, არ იხსენიებიან. მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში ახსენებს მათ მკვლევარი ი. გ. გრებერი. შაჰდაღის მთებში მცხოვრები ხინალულების (კრიწებისა და ბუდუხებისაც) გადარჩენისა და ჩვენამდე მოღწევის ძირითადი მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორი და ქორწინების ენდოგამიური ფორმაა. მეზობელი კრიწების, ბუდუხებისა და ლეზგებისგან ხინალულები მაღალი მთების ჯაჭვით გამოიყოფიან.

ხინალულების სასოფლო თემი XIX საუკუნემდე შემახიის სახანოს შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ხანს ისინი გადასახადს არ უხდიდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის განმავლობაში ხინალულიდან მუდმივად მიმდინარეობდა მოსახლეობის მიგრაცია. ხინალულები დაბლობში გადასახლდებოდნენ. ინტენსიური იყო მათი მიგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ხინალულებსა და შაჰდაღის სხვა ხალხებს აზერბაიჯანის დაბლობში, თათების სოფელ რუსტოვის მახლობლად მიწები ჰქონდათ, სადაც ზამთარში თავიანთ პირუტყვს მიერეკებოდნენ. ასე რომ, შაჰდაღის მთებში მცხოვ-

რები ხალხების აზერბაიჯანის ბართან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ტრადიციული იყო. ეს სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მხოლოდ ცხვრის საზამთრო საძოვრებზე ძოვებით არ შემოიფარგლებოდა. ინტენსიური იყო სავაჭრო ურთიერთობებიც. ხინალულები პურს ძირითადად ბარში ყიდულობდნენ, მეცხოველეობის პროდუქტებს აქვე ყიდდნენ. მიუშკიურის დაბლობში ხინალულებს ყიშლაღები ჰქონდათ. ცხვრის ფარებს, მეცხვარეებთან ერთად, ხინალულთა ნაწილიც თან მისდევდა. აქ ისინი შემოდგომიდან ივნისის დასაწყისამდე რჩებოდნენ. 1921 წლის მონაცემებით, ხინალულელთა 367 ოჯახს 11 778 ცხვარი და 13 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავდა. ჰყავდათ აგრეთვე თხები, ცხენები, სახედრები.

ხინალულში მიწათმოქმედებას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. თესავდნენ ქერს, სვილს. მთის კალთებზე ტერასებს აწყობდნენ. 1930-იანი წლებიდან ხინალულებმა კარტოფილისა და კომბოსტოს მოყვანა დაიწყეს; განვითარებული ჰქონდათ შინამრეწველობა; ამზადდებდნენ

ხინალულები





სოფელ ხინალულის ქუჩებში

ძველი ნივთები ხინალულების ოჯახიდან



მატყელის ქსოვილებს, ქსოვდნენ მაღალყელი-
ან წინდებს, თექას; თხის ბეწვისგან თოკებს
გრებდნენ. ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე
ხინალულები მატყელის ქსოვილს (შალს) ქსოვ-
დნენ, რისგანაც სახვევებს (ტოლალებს) ამზა-
დებდნენ. ასეთ დაზგაზე მხოლოდ მამაკაცები
მუშაობდნენ. ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე
ქალები ფარდაგებსა და ხალიჩებს ქსოვდნენ,
ხოლო დაზგების გარეშე — ფერად-ფერად
წინდებსაც. გარე სამუშაოზე ხინალულები იშ-
ვიათად დადიოდნენ. XIX-XX საუკუნეების
მიჯნაზე გახშირდა ამ სოფლიდან ბაქოს ნავ-
თობის სარეწებზე გასვლა, რათა ცოლის შე-
სასყიდი ფული შეეგროვებინათ. ამ მიზნით,
მათ აქ მუშაობა 5-6 წელიწადს უხდებოდათ.

ხინალული ტაპური მთის სოფელია. სო-
ფელი მთის ფერდობზე საფეხურებრივადაა შე-
ფენილი. საცხოვრებელ სახლებს ძირითადად
ორსართულიანს აშენებდნენ. სწორ სახურავს
მიწის სქელი ფენილი ჰქონდა. პირველ სარ-
თულს პირუტყვის სადგომად იყენებდნენ, მე-
ორე სართულს — საცხოვრებლად. იატაკს თი-
ხით გლესდნენ. მეორე სართულს რამდენიმე
ოთახი ჰქონდა.

ხინალულებს ტრადიციული კოსტიუმი
აზერბაიჯანულის მსგავსია. მხოლოდ ქალე-
ბის თავსაბურავი ჰქონდათ ორიგინალური. ის
სხვადასხვა ზომისა და ფერის ხუთი თავმლის-
გან შედგებოდა, რომელთა შორის აუცილებ-
ლად თეთრი და წითელი ფერის მოსახვევიც
უნდა ყოფილიყო.

ხინალულებს საკვები ძირითადად რძის
პროდუქტებისგან შედგებოდა: ძროხისა და
ცხვრის ყველი, რძე, მაწონი. პურს ხორბლისა
და ქერის ფქვილის ნარევისგან აცხობდნენ.
საკვებად გამოიყენებდნენ ველურ მცენარეებს.
მათი სადღესასწაულო კერძი მოხარშული
ხორცი და ბრინჯისა და ლობიოს ფლავია.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის და-
საწყისში ხინალული დამოუკიდებელ სასოფ-
ლო თემს (ჯამათს) წარმოადგენდა, რომელ-
იც კრიწელთა სოფლებსა და ერთ აზერბაი-
ჯანულ სოფელთან ერთად, ერთ მაგალს შე-
ადგენდა. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე თემის
მმართველ ძირითად ორგანოს წარმოადგენ-
და ყრილობა, რომელშიც ყველა ოჯახის უფ-
როსი მამაკაცი შედიოდა. ყრილობაზე ირჩე-
ვდნენ მამასახლისს (ქეთხუდი, იუზბაში) და მის
ორ მოადგილეს (ვექილი), აგრეთვე მოსამარ-

თლეს. ხინალუდელები თავისუფალი მეთემე-
ები იყვნენ, რომლებიც XIX საუკუნეში სახა-
ზინო გლეხებს მიაკუთვნეს. ხინალუდელთა
ხანებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ დრო-
დადრო მოლაშქრე მეომართა გაგზავნით შე-
მოიფარგლებოდა. მიწაზე არავითარი ფეოდა-
ლური საკუთრება არ ყოფილა. საძოვრები თუ
სათემო საკუთრებაში იყო, სახვნელი და სა-
თიბი მიწები ცალკეულ კომლთა საკუთრებას
წარმოადგენდა. ჯამაათის მიერ საზაფხულო
საძოვრები სოფელში არსებული უბნების მი-
ხედვით იყოფოდა. ბარში საზამთრო საძოვ-
რების იჯარით კი რამდენიმე კომლი ერთად
სარგებლობდა.

ხინალუდელებში ერთმანეთთან იყო შეთან-
წყობილი სისხლით ნათესაური, თემურ-გვა-
რონული და ტერიტორიულ-სათემო ნიშნე-
ბი. ხინალუდი ხუთ უბნად იყოფოდა. ყოველ
უბანს თავისი სალოცავი და სასაფლაო ჰქონ-
და.


ხინალუდეებს შორის ბევრი დიდი ოჯახი
არსებობდა. ხშირად ერთ ოჯახში ოთხი-ხუ-
თი ცოლ-შვილიანი ძმა ცხოვრობდა. დიდი
ოჯახის ერთი წევრი თუ საზამთრო საძოვრე-
ზე იმყოფებოდა, საზაფხულო საძოვარზე უკ-
ვე მეორე ცვლიდა. მომდევნო წელს ისინი ერ-
თმანეთს ენაცვლებოდნენ.

ხინალუდელთა სანათესაო გაერთიანე-
ბებს მეხელე და კებელე ეწოდებოდათ. ისინი

დაღესტნურ თუხუმებს მოგვაგონებდნენ.
მკაცრად იცავდნენ ენდოგამიას — უპირატე-
სობას ანიჭებდნენ ბიძაშვილების, ბიძაშვილ-
მამიდაშვილებისა და დეიდაშვილების ერთმა-
ნეთზე დაქორწინებას. ხინალუდში არ აღუ-
ნუსხავთ არც ერთი შემთხვევა სხვა მხრიდან
ცოლის შერთვისა. საქორწინო ასაკი ქალებ-
ბისთვის 14-15 წელი იყო, მამაკაცებისთვის —
20-21. იშვიათად აკვანში დანიშნავც იცოდნენ.
ახალგაზრდების ბედს მათი მშობლები წყვეტ-
დნენ. გამოსასყიდის გადახდა იცოდნენ ძირი-
თადად პირუტყვით, ცხვრით, ბრინჯით, ზოგ-
ჯერ — ფულით. 1912 წლისთვის მაშინდელი
ფულით გამოსასყიდი 200 რუბლს შეადგენ-
და. სამზითვოდ ხინალუდელ გოგონას თავი-
სი ხელით აუცილებლად ხუთი-ექვსი ფარდა-
გი უნდა დაემზადებინა და 50-60 წყვილი წინ-
და მოექსოვა. იცოდნენ უმძრახობა. ორი-სამ
წელიწადს რძალი მამამთილს არ ელაპარაკე-
ბოდა. უმძრახობის ერთ-ერთ ფორმად ქალის
მიერ სახის დაფარვაცაა მიჩნეული. ჩადრი არ
იცოდნენ. ქალები ატარებდნენ იაშმაგს (ნა-
ჭერს), რომლითაც მხოლოდ სახის ქვედა ნა-
წილს იფარავდნენ. წარსულში ხინალუდელებ-
მა სისხლის აღება იცოდნენ. სჩვეოდათ ურ-
თიერთდახმარება (მაგალითად, სახლის აშე-
ნების დროს), ძმად გაფიცვა; სტუმართმოყვა-
რეობა ისევე მაღალ დონეზეა შესისხლხორ-
ცებული, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში.



სოფელი
ხინალუდი



კრიწები სოფელ ჯეკიდან, გოგონები და ხანდაზმული ქალი. 1880 წ.



კრიწების ძალიან ძველებს ფერია...

კრიწები თვას ისე მკვრივად ამზადებენ, რომ მერე ტორტივით ჭრიან...



ხინალულები სუნიტი მუსლიმანები არიან. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ჰქონდათ მუსლიმობამდელი რწმენა-წარმოდგენები. იცოდნენ წვიმის, შხის გამოწვევის რიტუალები. არსებობდა ცეცხლის კულტი. გადაუღებელი წვიმების დროს შემდეგ რიტუალს ასრულებდნენ: ხისგან ამზადებდნენ თოჯინას, რომელსაც ქალის ფერად ტანსაცმელს აცმევდნენ. ამ თოჯინას ჭაბუკები მთელ სოფელს შემოატარებდნენ და თან აზერბაიჯანულ ენაზე მღეროდნენ. სიმღერის შინაარსი ასეთი იყო: „ზვალ თქვენ მზე გექნებათ“. ჭაბუკებს კვერცხებითა და ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ.

ხინალულებს აზერბაიჯანულენოვანი ფოლკლორი ჰქონდათ.

კრიწები

კრიწები აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. ადრე მათ ჯეკებსაც უწოდებდნენ. კრიწების ნაწილს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არც აქვთ. ამიტომ ხშირად უცხო პირებს თავიანთი სოფლების სახელწოდების მიხედვით წარმოუდგებიან ხოლმე. კრიწებით დასახლებული სოფლებია: კრიწი, ჯეკი, ხაფთული, ერგიუჯი და ალიკი. კრიწთა ეს სოფლები ადმინისტრაციულად აზერბაიჯანის ყუბის რაიონში შედის. კრიწულ ენაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ხანძახის რაიონში, სადაც კრიწები შაჰდაღის მთებიდან არიან გადმოსახლებული.

კრიწული ენა კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ენაა დამწერლობის გარეშე. დღევანდელი მონაცემებით, კრიწულ ენაზე დაახლოებით 9000 კაცი ლაპარაკობს. სოფელ კრიწში 1800 კაცი ცხოვრობს, ხაფთულში — 1500, ჯეკში — 1300, ალიკში — 1500.

XIX საუკუნეში კრიწებისგან ჯეკებს ცალკე ეთნოსად გამოყოფდნენ. 1886 წელს ჯეკების 1041 კომლი და 8103 სული იყო აღრიცხული, კრიწების — 307 კომლი და 2027 სული. ასე რომ, კრიწების საერთო რაოდენობას სინამდვილეში 1886 წლის საოჯახო სიებით 10130 კაცი შეადგენდა. აღნიშნულ დროს ერგიუჯში 94 ოჯახი (946 სული) კრიწი მკვიდრობდა. 1910 წელს სოფელ ჯეკსა, ალიკში და ერგიუჯში მცხოვრები კრიწები ლეზგიებზე იყვნენ მითვლილი.

კრიწული ენა დიალექტურად სუსტადაა

დიფერენცირებული. გამოიყოფა კრიწის, ჯეკის, ხაფთულის და ალიკის მეტყველება (თქმები). ერგიუჯში დღეისთვის ფაქტობრივად აღარავინ ცხოვრობს — მისი უკანასკნელი მცხოვრები აქედან XX საუკუნის 90-იან წლებში აიყარა. ამიტომ ერგიუჯული თქმა დღეს უკვე აღარ არსებობს. სხვადასხვა სოფელში განსახლებულ ერგიუჯელებს თუშცაკი ახსოვთ თავიანთი ენა, მაგრამ მას აღარ იყენებენ, რადგან აზერბაიჯანულს ანიჭებენ უპირატესობას. კრიწული ენის ხმოვანთა სისტემა რთულია, დასტურდება ცხრა ხმოვანი. ლეზგიურ ენათგან კრიწული ენა ყველაზე ახლოს დგას ბუღუზურ ენასთან. კრიწულ ენაში შეიმჩნევა აზერბაიჯანული ენის ლექსიკური ერთეულების, სიტყვათწარმოებითი საშუალებებისა და ზოგიერთი გრამატიკული ფორმის გამოყენება.

კრიწების მთავარი სიმდიდრე მთის საძოვრები და სათიბებია, რაც მეცხოველეობის განვითარების საშუალებას იძლეოდა. მეცხოველეობა კი ოდითგანვე კრიწების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. მეცხოველეობას ნახევრად მომთაბარე ხასიათი ჰქონდა. ზაფხულში ცხვარ-ძროხა სოფლის მახლობლად მდებარე საძოვრებზე ჰყვდათ, შემოდგომაზე კი აზერბაიჯანის დაბლობში მიერეკებოდნენ. ფარებსა და ნახირთან ერთად მთას კრიწთა დიდი ნაწილიც ტოვებდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის ბარში გადასვლას არა მხოლოდ პირუტყვის მოვლა განაპირობებდა, არამედ მთაში პურისა და საწვავის შეტანის სიძნელეებიც.

კრიწებში მიწათმოქმედებას მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მთის ფერდობებზე ტერასებს აწყობდნენ. პურის დიდ ნაწილს ბარში ყიდულობდნენ, რადგან მთაში მოწეული ქერი მხოლოდ რამდენიმე თვეს ჰყოფნიდათ. მებაღეობა და მებოსტნეობა მაღალმთიანეთის ბუნებრივი გარემოს გამო, ფაქტობრივად, განუვითარებელი იყო. იგივე ითქმის შინამრეწველობაზეც. მხოლოდ ფარდაგებს, ხალიჩებსა და წინდებს ქსოვდნენ.

კრიწთა დასახლება შეჯგუფებული და ტერასისებრი იყო. სოფელში ერთი მთავარი ქუჩის გარდა, ქუჩები არ არსებობდა. ერთმანეთზე მიკრულ სახლებს შორის მხოლოდ ვიწრო გასასვლელებია დატოვებული. სოფლები უბნებად იყოფოდა. სახლები ორსართულიანი



სოფელი კრიწი

თულიანი ჰქონდათ, რომელთა პირველ სართულებს სამეურნეო მიზნით გამოიყენებდნენ, მეორე სართულს — საცხოვრებლად. შეძლებულ მეცხვარეთა სახლებს რამდენიმე ოთახი ჰქონდა, რომელთაგან ერთი სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი. საცხოვრებლებს კერის საშუალებით ათობდნენ. საწვავად წივას იყენებდნენ. ავეჯი არ ჰქონდათ. საოჯახო საგნებს, ლოგინსა და ჭურჭელს კედლებში მოწყობილ სხვადასხვა ზომის ნიშებში ინახავდნენ. ჭურჭელი ძირითადად სპილენძისა ჰქონდათ.

კრიწების ტანსაცმელი, ფაქტობრივად, არ განსხვავდება აზერბაიჯანელთა სამოსისგან. XIX საუკუნემდე კრიწებში დიდი ოჯახები იშვიათობას არ წარმოადგენდა. ქორწინება ენდოგამიური იყო. ქალიშვილებს სოფლის გარეთ არასდროს ათხოვებდნენ, უპირატესობა კი თოხუმის შიგნით დაქორწინებას ენიჭებოდა. ქორწილი ექვს-შვიდ დღეს გრძელდებოდა. კრიწებმაც იცოდნენ უძმრახობა. პატარძალი ერთ წელიწადს დედამთილ-მამამთილს არ ელაპარაკებოდა. კრიწები სარწმუნოებით მუსლიმი სუნიტები არიან. შემორჩენილია მუსლიმამდელი რწმენა-წარმოდგენებიც.

ბუღუხები

ბუღუხები აზერბაიჯანის შაჰდაღის მთებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხია. ადმინისტრაციულად ბუღუხების სოფელი ბუღუხი ყუბის რაიონის ეკუთვნის. ბუღუხები აზერბაიჯანის ბარის რამდენიმე სოფელშიც ცხოვრობენ, სადაც მთიდან გვიან არიან გადასახლებული. ბუღუხები საბჭოთა პერიოდში ცალკე ეთნოსად არ აღირიცხებოდნენ; მათ აზერბაიჯანელებად წერდნენ. დღეს ბუღუხთა რაოდენობა დაახლოებით 3 ათასი კაცია. 1886 წელს ბუღუხების რაოდენობა 2625 კაცს (369 კომლი) შეადგენდა. 1910 წელს სოფელ ბუღუხში 2165 კაცი მკვიდრობდა, თუმცა ისინი ლეზგიებისადმი იყვნენ მიკუთვნებული. ბუღუხური ენა კავკასიურ ენათა ლეზგიურ ჯგუფს განეკუთვნება. ის უმწერლობო ენაა. გენეტიკურად ახლოსაა კრიწულ ენასთან. 1950-იან წლებში ბუღუხში თუ 500 კომლი იყო, დღეს მათი რაოდენობა მხოლოდ 50-ის ფარგლებშია, რაც გზების ცუდი მდგომარეობით აიხსნება. სოფელში აღარც ერთი მაღაზია აღარაა. პროდუქტების საყიდლად 50-კილომეტრიან უგზოობის გადალახვა უხდებათ. სამწუხაროდ, ბუღუხების ძველი ტრადიციები და ენა არავის აინტერესებს.

ბუღუხების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეცხოველეობაა. სოფელ ბუღუხის ირგვლივ მდიდარი საძოვრები და სათიბები არ-

სებობდა. უპირატესობას მეცხვარეობას ანიჭებდნენ. 1929 წელს სოფელ ბუღუხში 11 220 სული ცხვარი ჰყავდათ. ისინი ცხვრის ფარებით მომთაბარებოდნენ, მიწათმოქმედებას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. ქსოვდნენ ფარდაგებს, ხალიჩებს, გრძელყელიან და ჩვეულებრივ წინდებს.

ბუღუხი ექვსი უბნისგან შედგებოდა და ერთ სასოფლო თემს წარმოადგენდა. ქორწინება მშობლების ნება-სურვილის თანახმად ხდებოდა. იცოდნენ გამოსასყიდის გადახდა. ქორწინება ენდოგამიური იყო. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქალებისთვის საქორწინო ასაკი 14-15 წლით განისაზღვრებოდა, მაკაცებისთვის — 18-20 წლით. დანიშნული ახალგაზრდები ხშირად სამი-ხუთი წლის შემდეგ ქორწინდებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში სასიძოს მხარე, ყველა დღესასწაულზე, ქალის ოჯახს საჩუქრებს უგზავნიდა. დანიშნული გოგონა საქმროს ნათესაუებისგან თავს საგულდაგულოდ მალავდა. უფროსი ძმის გარდაცვალების შემთხვევაში, უცოლო უმცროსი ძმა აუცილებლად ქვრივ რძალზე უნდა დაქორწინებულიყო. იგივე წესი ვრცელდებოდა დაქვრივებულ მამაკაცზე — ის ცოლის გაუთხოვარ უმცროს დას ირთავდა. ბუღუხები მუსლიმი სუნიტები არიან. შემორჩენილი იყო წარმართული რწმენა-წარმოდგენებიც.

როლანდ თოფჩიშვილი

სოფელი ბუღუხი



ლენინის მუმიას კონკურენტი გამოუჩნდა

ომსკის სამედიცინო აკადემიის მეცნიერებმა იმ მეთოდის დეტალები გამოაქვეყნეს, რომლის გამოყენებითაც თვითნასწავლმა ლაბორანტმა 80 წლის წინ უცნობი მამაკაცის ბალზამირება იდეალურად მოახერხა. 30-მდე წლის მამაკაცის მუშია აკადემიის საცავში ინახება. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სხეული იდეალურ მდგომარეობაშია არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ დაცულია შინაგანი ორგანოებით. ექსპონატი ჩვეულებრივ პირობებშიც კი არ ზიანდება. მისი ერთადერთი დაცვა შუშის ყუთია, რომელიც მტვერსა და ჭუჭყს იჭერს.



ლენინი და მისი ომსკელი კონკურენტი...

ლაბორანტ ანდრეი რომადანოვსკის მონოგრაფიის შესწავლის შემდეგ, სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მან გამოიგონა უნიკალური მეთოდი, რომელიც მიუწვდომელი აღმოჩნდა მათთვის, ვინც კი ვლადიმერ ლენინის სხეულის შენახვაზე მუშაობდა.

ანდრეი რომადანოვსკის უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მისი ძმა კი ადამიანის ანატომიის კათედრის დამფუძნებელი იყო. მუშია, რომელიც სამედიცინო აკადემიის საცავშია, აქ საუარაუდოდ 1934-1935 წლებიდან მოათავსეს.

რომადანოვსკის მონოგრაფიის ნაწილი დროთა განმავლობაში დაიკარგა. ამიტომ მხოლოდ იმ მეთოდის გახსნა მოხერხდა, რომლითაც მეცნიერი მოქმედებდა. სპეციალისტთა აზრით, მუშია ასე კარგად შეინახა არა იმ ხსნარის შემადგენლობამ, რომელსაც რომადანოვსკი იყენებდა (ფორმალინი, სპირტი და გლიცერინი), არამედ უნიკალურმა მეთოდიკამ.

„კერძოდ, სხეულს მხოლოდ ერთი ჭრილი აქვს ბარძაყის ზედა ნაწილში, საიდანაც ორგანიზმში ბალზამირებისთვის საჭირო სითხე შეჰყავდა. ამან პრეპარატს საშუალება მისცა, შიდა ორგანოებიც შეენარჩუნებინა“, — განმარტავს ომსკის სამედიცინო აკადემიის პროფესორი ირინა პუტალოვა.

მუშიის შექმნაზე თვითნასწავლი ლაბორანტი 1933 წლიდან მუშაობდა. ბალზამირების პროცესმა კი ერთი წელიწადი წაიღო. ბალზამირების სითხის გარდა, რომადანოვ-



სკი ციმბირის ყინვასაც იყენებდა. სითხის შეყვანის შემდეგ სხეული ყინვაში გააჰქონდათ, განსაზღვრული დროის მერე შემოჰქონდათ ლაბორატორიაში და ეს რამდენჯერმე მეორედებოდა.

მეთოდი ომსკელმა ლაბორანტმა მარტომ შეიმუშავა, პროლეტარიატის ბელადის მუმი-აზე კი მთელი ინსტიტუტი მუშაობდა. ლენინის მუშიას ყოველ კვირაში ასუფთავებენ საგანგებო ხსნარით, ომსკის მუშია კი ჩვეულებრივ მუშაშია მოთავსებული, ოთახის ტემპერატურაზე. 80 წლის განმავლობაში მას რესტავრაცია ერთხელაც არ ჩატარებია და გამოიყურება ისე, როგორც 1935 წელს გამოიყურებოდა.

მომზადებულია Lifenews-ის მასალების მიხედვით

ქართული ენის „დესკანი“ ჯავახეთში



თამარ ნერვაძე მოსწავლეებთან

წელიწადი სომხურ სკოლაში – რატომ უნდა იხსავლონ იქაურებმა ქართული

სტუდენტობისას ერთი თვე ფარაენის ტბის პირას გავატარე და სიმართლე ვითხრათ, ლამის გამიჭირდა იქიდან დაბრუნებულს თბილისთან „შეუება“. სამცხე-ჯავახეთში ვირწმუნე, რომ მთაში ცხოვრება განუმეორებელია: ერთი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზეც მოგჭრის თვალებს, გრილი სიოც გავიწყწავს თმას და სუტყვასაც წამოუშენს შებინდებისას; რომ არსებობს კამკამა ლურჯი, ბაცი ვარდისფერი და ათასგვარი ჭრელაჭრულა ყვავილი, რომელიც ალბურ ზონაში, ფარაენის მსგავსი ტბების პირას ხარობს, ქალაქისგან შორს; აღმოვაჩინე, რომ შემძლია ახლობლების, მეგობრების, საყვარელი და შეჩვეული ქალაქისგან შორს გაძლება მარტოვად და უბრალოდ. სიჩუმე ხომ საკუთარ თავთან მარტო გტოვებს, მარტო დარჩენა კი ფიქრს ნიშნავს. ჯავახეთი ის ადგილია, სადაც გაშლილი სივრცეები ყოველგვარ ხმაურს ისრუტავს და სიმშვიდედ გარდაქმნის...

ჯავახეთში პირველი სტუმრობიდან რამდენიმე წელიწადი გავიდა და შემთხვევით შევიტყვე განათლების სამინისტროს პროგრამის შესახებ „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, რომლის მიზანი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებაა. უამრავი „კეთილისმყოფელი“ გამოჩნდა, როცა გადავწყვიტე ჯავახეთში მეუშავა ერთი წლით. მეუბნებოდნენ, რომ იქ სა-

შინლად ცივი ზამთარია, ცხოვრება რთულია, ყველაფერს მოწყდები, ინტერნეტიც კი არ არისო და ასე შემდეგ... მაგრამ ძალიან უცნაური ამბები დატრიალდა ჩემს თავს: უინტერნეტო, უსუპერმარკეტო და ზღვის დონიდან 1700 მეტრზე დასახლებულ სოფელში მთელი ერთი წელიწადი ისე ვგრობდი თავს, როგორც ალისა — საოცრებათა ქვეყანაში. დიახ, ასე, სხვათათვის სულელური აკვიარ-

ტების გამო აღმოჩნდა ერთი წლით იქ, სადაც მიწის ზემოთ ამოწვერილი ერთი სართულიც კი ცათამბჯენად ითვლება...

სოფელი

ახლა შემიძლია გითხრა, რომ ჯავახეთის სოფლები გამორჩეულად თბილი და შინაურულია. ამას ალბათ თავისი მიზეზები აქვს. მკაცრი ზამთარი აქ ლამის ცხრა თვეს გრძელდება, ძლიერი ყინვებისგან ჯავახეთის ლურჯი ტბები თითქმის ერთი მეტრის სიღრმეზე იყინება.

ჯავახეთში თებერვალში ჩავედი, სამხრეთის საზღვრისპირა სოფელში. ახალქალაქიდან ნელ-ნელა ვმორღებით დასახლებულ ადგილებს და თვალუწვდენელ სივრცეებში მივცურავთ, სოფელამდე ათი კილომეტრია. გზადაგზა, ძალიან შორს ჩნდება ხელისგულისოდენა სოფლები — ჩანდურა, კუმურდო, კომუნა...

სახლში, სადაც ერთ წელიწადს უნდა ვიცხოვრო, სკოლის დირექტორს მივყავარ მანქანით. ვგრძნობ, საკუთარი სტუმარივით მიყურებს, გზადაგზა მიყვება სოფელზე, აქაურებზე, სკოლაზე... გზა კი არ მთავრდება — მანქანა თოვლის თეთრ ნისლში მისრიალებს და წინ არაფერი ჩანს გადათეთრებული მინდვრების გარდა, რომელსაც სად უერთდება ცა, ზუსტად ვერ გაარჩევ. გაზაფხულდება, ამ მინდვრებზე კარტოფილს, ქერსა და ხორბალს დათესენ, თეთრ თოვლს მწვანე მინდორი შეცვლის, უამრავთა სამყოფ სარჩოს აიღებენ შემოდგომაზე და ქალაქში გაგზავნიან...

შორს ისევ ჩნდება პატარა სოფელი, მთავარი გზიდან ვუხვევთ და ოკრობოკრო გზით მივდივართ სახლებისკენ. ყველა საკვამურიდან ოჯახური სითბო ბოლავს. ერთი შეხედ-

ვით მეჩვენება, რომ ყველა სახლი ერთმანეთს ჰკავს, ერთნაირად თეთრი, მოზრდილი აგურით ნაშენი, ორმაგი ფანჯრები აქვთ ყინვისგან დასაცავად. აქ ხეებიც არ იზრდება, „დიდი მუხით“ რომ დაიმახსოვრო ადგილები.

— ესეც შენი სახლი! — მეუბნება ჩემი მეგობარი და მანქანას აჩერებს. ოთახში შუქი ანთია, გამჭვირვალე, თეთრი ფარდის მიღმა ვიღაც დაფუსფუსებს უცხო სტუმრის მოლოდინში. აშკარად მელიან...

სახლი ერთიანად კრიალებს, ყველაფერს დიასახლისის ხელი ეტყობა. სომხური ჯერ არ ვიცი და ვერაფერს ვიგებ, რას მეკითხებიან, მხრების აჩქითა და უხერხული ღიმილით ვპასუხობ. მართალია, დიასახლისის სიტყვები არ მესმის, მაგრამ ყველაფერზე მშვიდად ლაპარაკობს, ხმადაბლა და ღიმილიანი სახით. ჰამესტი მქვიაო, მითხრა ჩემმა დიასახლისმა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს მისი ნამდვილი სახელი არ არის და სოფელმა შეარქვა ასე მშვიდი ბუნების გამო: ჰამესტ — სომხურად წყნარს, მშვიდს ნიშნავს.

ჯავახეთში ჩასულს მასპინძელმა თავისი მოქსოვილი რამდენიმე წყვილი შალის ჭრელი წინდა დამახვედრა. ამხედ-დამხედა, „შათ ფოხვილ ახიკ“, — გამხდარი ხარო, ჩაილაპარაკა და გასაღები გადმომაბარა: მე სამსახურიდან გვიან ვბრუნდები და რაც იქ იპოვო, შენიცააო. ეს გასაღები ჯადოსნურ კარს აღებდა, რომლის მიღმაც ინახებოდა გრძელი, ჯავახური ზამთრის მთელი სარჩო: ატმის, კომშის, ალუბლის, მოცხარისა და ხურტკმელის კომპოტი; ჟოლოს, კაკლის, თეთრი ბლის, მოცვისა და ტყის მარწყვის მურაბა; ქაცვის ნარინჯისფერი წვენი და ათასფერი ჩირ-ჩამიჩი, რა ფერის ხილიც კი არსებობს ქვეყანაზე!

არ ვიცი, ყარყატები რა ნიშნით ირჩევენ



ფარაუანი
თამიზ ზაპაშვილის ფოტო



სოფელი ფოკა. 6060 სურმაგვას ფოტო

ბუდის ასაშენებელ ადგილებს. აი, ჯავახეთში კი ყარყატის უამრავი ბუდეა, თანაც იმხელა, რომ თავისუფლად დაიტევს ორ კაცს. ჩვენი სახლის გვერდითაც ჰქონდა ყარყატს ბუდე, მაღალ ელექტრობოძზე. ყარყატის მოფრენა სოფელში საყოველთაო სიხარულის მიზეზია, მასთან ერთად მოდის ჯავახეთში ნამდვილი გაზაფხული და პირიქით, როცა გაფრინდება, ჯავახეთელები ხანგრძლივი, ცივი ზამთრისთვის ემზადებიან.

დიასახლისი მარტოხელა ქალია, მარტობისგან ბევრ ფიქრს მიჩვეული. ხანდახან ხმამაღლად ფიქრობს: „თამოჯან, იეს შათ უზუმ კიტე, ურ გეშთა ნარანქ არაგია ძემირ“ (თამოჯან, ნეტა ვიცოდე, ზუსტად რომელ ქვეყანაშია ახლა ჩვენი ყარყატი). შინაურ საქმეს რომ მორჩება, მიუჯდება უზარმაზარ შეშის ღუმელს, ფანჯრიდან გასცქერის, როგორ ერევა კვამლი თოვლიან, თეთრ სივრცეს და ზამთრის სიმღერებს ღლინებს.

იცის, რომ მომწონს და ვუსმენ, ამიტომ განაგრძობს და ეცინება, როცა მის ნამღერს ვიწერ:

თერი ეს ტუნ, თერი ენ ტუნ ქერეკინ,
 ლამპე ლუს ტუ ქერუი თუშ ტუ ქერეკინ.
 ერთ სიმღერაზე მითხრა: „თამოჯან, მი ასა

დაბროცა ეტიკ, შათ მუნდარ იერქ“ — მე რომ გასწავლე, სკოლაში არ თქვა, უწმაწური სიტყვებიაო. არადა, ერთ უწყინარ კოცნაზე მღერიან, როგორც მითარგმნა.

ჯავახეთის ყველა სომხურ ოჯახში აქვთ საცხოვრებლისგან გამოყოფილი თონე, რომელსაც სომხურად თანდირს ეძახიან. ქართული თონისგან განსხვავებით, თანდირი მიწის ქვეშ არის დატანებული. სომხური ლავაშისა და თონის პურის ცხოვა ხანგრძლივი და რიტუალური პროცესია, ერთ ჯერზე მთელი კვირის სამყოფ პურს აცხოვენ. თუ ოჯახი დიდა და დიასახლისი მარტო ვერ უძკლავდება საქმეს, მას მეზობელი ქალებიც ეხმარებიან ცომის მოხელა-გაბრტყელებაში.

ცივი ზამთრის შაბათ-კვირას არაფერი სჯობს თონის კუთხეში მიდგმულ ხის მაგიდასთან ჯდომასა და ცქერას, როგორ ყოიან თონიდან ცხელ ლავაშებს ქათქათა ტილოზე. შაბათ-კვირას ყველა ოჯახში ხურდება თონე და ჰაერი მთელ სოფელში ახალგამომცხვარი პურის სურნელითაა გაჯერებული, გარეთ კი ბარდნის და ბარდნის დაუსრულებლად. ამ დროს მართლა რთულია გაიგო, სად მთავრდება რეალობა და სად იწყება ზღაპარი...

სოფლების დიდი ნაწილი ჯავახეთში რაი-

ონულ ცენტრს მოწყვეტილია (დადემი, აბული, დიდი და პატარა სამსარი, ალათუმანი, ბაგრა, მერენია...). ბევრგან რთულად სავალი, გაფუჭებული გზაა და ტრანსპორტი საერთოდ არ დადის. ასეთი სოფლები ვაჭრებისთვის კარგი შემოსავლის წყაროა. ჩამოაქვთ პროდუქტი და სამოსი, ჩურჩხელა, თუთის ტყლაპი და ხილი, რომელსაც აქ ოქროს ფასი აქვს.

გასაყიდი პროდუქტით დატვირთულ მანქანებს სოფელში „ვითქოვ ხანუთს“ — „მოსიარულე მალაზიებს“ ეძახიან. მისი გამოჩენა აქ ისეთივე დღესასწაულია, როგორიც გაზაფხულზე ყარყატების დაბრუნება. სოფელი ამ დროს ნამდვილ მაკონდოს ემსგავსება (ზომ გახსოვთ კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის სოფელი „მარტობის ასი წელიწადიდან“): ყველა „მოსიარულე მალაზიასთან“ იკრიბება და გამყიდველიც ამაყად უჩვენებს ხალხს გორის წითელ ვაშლებსა და ვინ იცის, საიდან ჩამოტანილ ანანასსა და ბანანს, ხასხასა მწვანე ფეიხოსასა და ნარინჯისფერ ფორთოხალს, სურნელოვან ხელსაწმენდებსა და ყველანაირი ლაქის ამომყვან ჯადოსნურ სითხეს. ამ ყველაფერს კი კარტოფილითა და ყველით „ყიდულობენ“...

კარტოფილი და ყველი ჯავახეთელებისთვის ფულის მაგივრობას სწევს. ოჯახების ძირითადი შემოსავლის წყარო კარტოფილის, ქერისა და ხორბლის მეურნეობაა,



„ჯავახეთში ყარყატის უამრავი ბუდეა, თანაც იმხელა, რომ თავისუფლად დაიჭვს ორ კაცს“

თუმცა ხშირად აღნიშნავენ, რომ თანდათან უარესდება მათთვის საბაზრო პირობები: საქართველოში ძირითადად თურქული, თანაბარი ზომის, უხინჯო კარტოფილი შემოაქვთ, რომელიც სასუქის დასაშვებზე გაცილებით დიდი დოზითაა გაჯერებული, ჯავა-



სოფელი კარწახი. წყალს მარხილით საკმაოდ შორიდან ეზიდებიან, როცა მიღებში გაიყინება ხოლმე. თორნიკე ჭყლიძის ფოტო



მალინე (მარჯვენა) თანაკლასელებთან ერთად

ხეთში მოყვანილ კარტოფილს კი თურქები ყიდულობენ იაფად. ამიტომაც ხშირად მთელი წლის მოსავლის საფასური მიწის დამუშავებისთვისდა თუ კმარა.

ჯავახეთი ცენტრს მოწყვეტილია ტერიტორიულად და აქაურებს მუდმივად აქვთ გარიყულობის შეგრძნება. რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს ეთნიკური უმცირესობა, საჭიროა სხვადასხვა სახის სახელწიფო პროგრამის ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციას. გაგიკვირდებათ და ქართული ტელევიზიები არც კი აცხადებენ ცალკე ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების ამინდის პროგნოზს, როცა ამ რეგიონებში კარტოფილის თესვის, მოვლისა თუ აღების პერიოდში სწორედ ამინდია გადამწყვეტი. თუმცა ჩემი დიასახლისი გაწაფული თვალის წყალობით არასოდეს შემცდარა წვიმის, ქარისა და თოვლის წინასწარ ამოცნობაში: როცა ღამით ცას მოწითალო ფერი გადაჰკრავს და ვარსკვლავები არ ჩანს — იწვიმებს; თუ

ზამთრისთვის შეუფერებლად ჩამოთბა და ჰაერი გამჟვირვალე და კრიალაა — გათოვდება; ქარის ამოცნობა კი ვერაფრით ვისწავლავ: სალოკ თითოს ასწევდა ხოლმე დეიდა ჰამესტი ცაში და მოახლოებულ ქარბუქს საიდან და როგორ გამოიცნობდა, დღემდე გამოცანაა ჩემთვის.

სკოლა და მელინე

„პარქელიჯან, ინჩუ იეს სორვი ვარაც ლეზურ?“ — „მასწ, რისთვის გვჭირდება ქართულის სწავლა?“ ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც ბავშვებმა დამისვეს. არ მწყენია. ჯავახეთის სომხურ სოფლებში რამდენიმე დღით ცხოვრებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ ქართულად არავისთან უწევთ საუბარი და ენის სწავლის პრაქტიკული საჭიროებაც არ აქვთ. სოფლიდან თითქმის არსად გადიან და „მოსიარულე მალაზიების“ მფლობელი ქართველები თვითონვე ლაპარაკობენ სომხურად, როცა აქ საუაჭროდ ამოდიან.

მთელ წელიწადს, რომელიც ჯავახეთში გავატარე, ყოველდღე ვცდილობდი, პასუხი გამეცა კითხვაზე, რატომ უნდა ესწავლათ აქაურ სომხებს ქართული ენა...

სახლიდან სკოლამდე გზა ტბის პირს მიუყვება. უცნაური სანახაობაა ზამთარში, გაყინულ ტბაზე როგორ გადადიან ჯგუფ-ჯგუფად ციცქნა ბავშვები. მესამეკლასელი მელინეც ერთ-ერთი მათგანია. უცნაურად გავიცანი, სკოლაში წასვლის პირველ დღეს გაყინულ ტბასთან ქურქში გამოფუთული გოგონა მელინე, ქუდიდან და კაშნედან წითელი ლოყები და შავი, ბრიალა თვალები მოუჩანდა. რომ მიეუახლოვდი, მონდომებით გაიკრიჭა. თავით მანიშნა, წავედითო და საქმიანი ნაბიჯით გაუყვა გაყინულ ტბას სკოლისკენ. გზადაგზა შემომხედავდა, ისევე გადაებდრებოდა სახე და რაღაცებს მეკითხებოდა სომხურად, რაც მაშინ არ მესმოდა. მას მერე სკოლაში სულ ერთად დავდიოდით. მე ქართულს ვასწავლიდი, ის კიდეც — სომხურს. მელინეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ ხელსაც ჩავკიდებდი, გზაში მეტეტიწებოდა და პატარა, ფუმფულაჩქქქიან ფეხებს მიბააკუნებდა თოვლში.

სომხურ სიტყვებში ბგერა „რ“ რბილად გამოითქმის. მელინეს აუუხსენი, რომ ქართული

„რ“ უფრო მაგარია და მკვეთრი. ისიც დიდი მონდომებით სწავლობდა ქართულს და ზედმეტი მოწადინებისგან ასე ალაპარაკდა: „გამარჯობა“, „როგორ ხარ“, „მაკრატელი“, „ვირი“... ისე მომწონდა მისი ასეთი „რ“, რომ ხანდახან არც ვუსწორებდი.

ბავშვები სკოლის დამთავრების შემდეგ უკეთეს შემთხვევაში ერევანში მიდიან სასწავლებლად ან სამუშაოდ — რუსეთში. უფრო ხშირად კი სოფელში რჩებიან და ადრეულ ასაკში ქორწინდებიან.

სომხეთში სწავლა საკმაოდ ძვირია და სოფელში დარჩენილ მშობლებს მძიმე ტვირთად აწევთ სტუდენტი შეილების სწავლისა და საცხოვრებლის გადასახადი. ბევრმა არ იცის, რომ ქართულ უნივერსიტეტებში ეთნიკური უმცირესობები მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა ვინც ეს იცის, მათთვის ისევ და ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სახელმწიფო ენის არცოდნა.

განათლების სამინისტროს პროგრამები „ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ გრძელვადიანი პროექტებია, რომელიც არაქართულ სკოლებში გზავნის ქართული ენის მასწავლებლებს მინიმუმ ერთი სემესტრით. ეს პროექტები შედეგს წლების შემდეგ გამოიღებს, მაგრამ სოფლებში, სადაც არც ერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობს და სახელმწიფო ენაზე საუბარი უბრალოდ არ უწევთ, ყოველ წელს ერთი ქართველი მასწავლებლის გაგზავნა ფონს მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის... სახელმწიფო ენის სწავ-



ჩირ-ჩამჩი. ქმთი მუშაძის ფოტო



ექსკურსიაზე მოსწავლეთა ჯგუფთან ერთად

ფარაენის ტბა. ადგილი, სადაც წმინდა ნინომ შეისვენა...



ლის საუკეთესო „მიზეზი“ ამ ენის პრაქტიკული საჭიროება უნდა იყოს...

ჩამოსასხლება

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების წინაპრები ცარისტულმა რუსეთმა გადმოსახლა XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. ჩასახლების გეგმა გენერალმა ივან პასკევიჩმა შეადგინა. თავდაპირველად გადაწყდა 8 ათასი ოჯახის ჩამოყვანა ერზრუმის, ყარსისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან, მაგრამ საბოლოოდ 14 ათასი ჩამოსახლეს. თურქეთიდან ჩამოყვანილი სომხები ჯავახეთში დასახლეს.

1895-1896 წლებში თურქეთში სომხების დევნამ მიგრაციის ახალი ტალღა წარმოშვა. ამ დროს 19 ათასი ლტოლვილი დასახლდა საქართველოს რეგიონებში. თურქეთიდან მრავალმა სომხურმა ოჯახმა შეაფარა თავი საქართველოს XX საუკუნის დასაწყისშიც.

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი ბევრწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გრძნობენ ამ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობები თავს. საქართველოში ბოლო ოცი წელიწადის განმავლობაში მუდმივად გარდამავალი პერიოდის პირობებში ეს რეგიონები ყურადღების მიღმა დაგვრჩა.

კლიმატი ჯავახეთში ძალიან მკაცრია, საცხოვრებელი პირობები — რთული, საესეებით სამართლიანად უწოდებენ ამ მხარეს საქართველოს ციმბირს. ზამთარში აქ ტემპერატურა -10, -15, -20 გრადუსს შორის მერ-

ყეობს. ნინოწმინდაში (ყოფილი ბოგდანოვკა) გზები საერთოდ იკეტება ზამთრობით და გაზაფხულამდე ქარბუქი ტრიალებს. სამწუხაროა, რომ არ არსებობს არანაირი სუბსიდიები ასეთ მძიმე პირობებში მცხოვრები მოსახლეობის დასახმარებლად, რაც ოდნავ მაინც აგრძნობინებდა მათ სახელმწიფო მხარდაჭერას.

სამთო-სათხილამურო კურორტის მოწყობას არ ითხოვს ჯავახეთის მოსახლეობა (თუმცა აქ საამისოდ მართლაც შესაფერისი გარემოა), მათ უბრალოდ სურთ, სახელმწიფომ თურქული კარტოფილის ექსპორტი შეამციროს ქართულ ბაზარზე და უპირატესობა საკუთარ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას მიანიჭოს.

მე გამიმართლა: როცა ჩემი კონტრაქტი ამოიწურა და შინ დასაბრუნებლად მოემზადე, ჩემი დიასახლისი ჰამესტი ამ სიტყვებით გამომემშვიდობა: ყოველ ზაფხულს უნდა ჩამოხვიდე დასასვენებლად, ჩემი სახლის კარი შენთვის მუდამ ღია იქნებაო.

ნუ დაიზარებთ, აკიდეთ ზაფხულობით ზურგჩანთები და იმოგზაურეთ ჯავახეთში, დარწმუნებული ვარ, თქვენც გადაეყრებით ჩემი დიასახლისისეით გულღია და თბილ მასპინძელს.

მონინახულეთ ლურჯი ტბები და ზღაპრული, ალპური ბუნება. ეს ადგილები ხომ მათთვისაა, ვისაც ქალაქში ცა და გაშლილი სივრცეები ენატრება.

თამარ ნარბაძე



გზა სკოლისკენ.
მპა შმილიას
ფოტო

750 წლის მაკაბი არქიტექტურის შედეგისთვის

ფლორენციის კათედრალთან, მუზეუმის გაფართოების სამუშაოების დროს იტალიელმა მეცნიერებმა მინიგუმბათი გათხარეს. სპეციალისტთა განცხადებით, იგი ხუროთმოძღვარ ფილიპო ბრუნელესკის (1377-1446) დიდებული ნამუშევრის სტრუქტურული მოდელია.

გუმბათი აგურისგან არის დამზადებული და ნაძვის ფორმის განლაგება აქვს, მისი გარემოწერილობა 2,7 მეტრია. მინიგუმბათში თაღების სიმძიმის განაწილების პრინციპი ზუსტად ისეთივეა, როგორც გიგანტურ ნაგებობაში. „ეს სამშენებლო ტექნიკა ადრე სპარსულ გუმბათებში გამოიყენებოდა. მაგრამ ბრუნელესკი პირველი იყო, ვინც ის ევროპაში შემოიტანა“, — ამბობს ფლორენციის უნივერსიტეტის ძველთა რესტავრაციის პროფესორი ფრანჩესკო გურიერი. ცნობილია, რომ მცირე გუმბათი, როგორც ბრუნელესკის გემის სადემონსტრაციო მოდელი, 1420-1436 წლებში შეიქმნა, როცა ის ინჟინერიის ერთ-ერთ შედეგზე მუშაობდა. ფრანჩესკო გურიერი ამბობს, რომ სწორედ ამ მოდელს მიაკვლიეს მეცნიერებმა.

სახელგანთქმული ტაძრის, სანტა მარია დელ ფიორეს გუმბათის დიამეტრი 43,5 მეტრია. ტაძარი 1436 წელს აკურთხეს, როცა მშენებლობა დასრულებული არ იყო. იმდროისთვის სანტა მარია დელ ფიორეს ტაძარი ყველაზე დიდი იყო ევროპაში — მასში 30 ათასი კაცი ეტევა.

მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობენ ბრუნელესკის ორიგინალურ სამშენებლო-ტექნიკურ გამოგონებებს, რომელ-

ფილიპო ბრუნელესკის „საცდელი“ მინიგუმბათი



სანტა მარია დელ ფიორეს ტაძრის გუმბათი

თა წყალობით მან უზარმაზარი რვაკუთხა გუმბათი ააგო არა ფოლადისა და ბეტონის, არამედ 25 ათასი ტონა ქვისა და აგურისგან, თანაც ხეტყის გამოყენებლად. ბრუნელესკიმდე ტაძრის მშენებლობა 40 წლით იყო შეჩერებული, რადგან არავინ იცოდა, როგორ უნდა აეგოთ ამხელა გუმბათი.

„მცირე ზომის გუმბათი შესაძლოა მივიჩინოთ ნაძვისებური სტრუქტურის პირველ ნიმუშად ევროპაში“, — აღნიშნა ფრანჩესკო გურიერი. იტალიის კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მოადგილე რობერტო ჩეკის განმარტებით, „ნაძვისებური ტექნიკა არის დაკავშირებული ბრუნელესკისა და ფლორენციასთან. ქალაქგარეთ ამ ტექნიკის გამოყენების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გვაქვს და ისინი XVI საუკუნეზე გვიანდელია“.

როგორც კი მინიგუმბათის გათხრა და რესტავრაცია დასრულდება, მას ახალ, ოპერა დი სანტა მარია დელ ფიორეს მუზეუმში გადაიტანენ, რომელიც 2015 წლის ოქტომბერში გაიხსნება.

მომზადებულია discovery-ს მასალების მიხედვით

„სასახლე ლაპარტისთვის და ქოხი პეფისთვის“



ესკორიალი

თუ ვეროპის ციხე-დარბაზებსა და სასახლეებს შორის პარიზის ვერსალს შეგვიძლია „ბაროკოს ყვავილი“ ვუწოდოთ, მაშინ ესპანური ესკორიალი „გასამლელი კვირტია“ — იგი ყველაზე კაშკაშა მაგალითია ადრეული ბაროკოსი, სადაც სასახლე ერთდროულად მონასტერიცაა, ეკლესიაც და რეზიდენციაც, რაც XVI საუკუნის ესპანეთში ეკლესიისა და მონარქიის მჭიდრო კავშირის სიმბოლოა.



1557 წელს წმინდა ლავრენტის ხსენების დღეს, 10 აგვისტოს, იმ დროისთვის მსოფლიო იმპერიის — ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ (1527-1598) ფლანდრიულ სენტ-კანტენტან ბრძოლაში ფრანგები პირველად დაამარცხა! ღრმად მორწმუნე მონარქმა მის დამხმარე ზეციურ ძალთა პატრიარქის ნიშნად ამ წმინდანის სახელობის სასახლე-მონასტრის აგება გადაწყვიტა.

ადგილის საგულდაგულოდ შესარჩევად მეფემ ორი არქიტექტორის, ორი მეცნიერისა და ორი ქვისმთლელისგან ჩამოაყალიბა ჯგუფი, რათა მის წევრებს ეპოვათ ისეთი ადგილი, რომელიც იქნებოდა არც ძალიან ცხელი, არც ძალიან ცივი, არც ძალიან შორს ახალი დე-



ესკორიალის სასახლე-მონასტერი ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ ააგო, ბრძოლაში ფრანგების პირველად დამარცხების აღსანიშნავად

დაქალაქიდან. ერთი წლის ძებნის შემდეგ მეფემ არჩევანი მადრიდიდან 50 კილომეტრით სამხრეთით, სიერა-დე გვადემარას ფერდობებზე შეაჩერა.

მშენებლობა, რომელშიც ფილიპეც აქტიურად მონაწილეობდა, 21 წელიწადს გაგრძელდა. უზარმაზარი მშენებლობის პირველი ქვა 1563 წელს დაიდო, ხოლო ბოლო — 1584 წლის 13 დეკემბერს. მთავარი არქიტექტორი თავდაპირველად დიდი მიქელანჯელოს მოსწავლე, ზუან ბაუტისტა დე ტოლედო იყო, ხოლო 1569 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ ესკორიალის დასრულება ზუან დე ერერას დაევალა, რომლის წყალობითაც მიიღო ნაგებობამ თავისი ცნობილი მკაცრი სტილი.

ფილიპეს გეგმები თანდათან ფართოვდებოდა. გადაწყდა, რომ ესკორიალში უნდა აღსრულებულიყო კარლოს V-ის ანდერძიც — შექ-



პირველი მთავარი არქიტექტორი ზუან ბაუტისტა დე ტოლედო, დიდი მიქელანჯელოს მოსწავლე (მედალიონი პრადოს მუზეუმის კვლიდან)



ესკორიალის დასრულება ზუან დე ერერას დაევალა, რომლის წყალობითაც მიიღო ნაგებობამ ცნობილი მკაცრი სტილი.

ესპანეთის მეფე ფილიპე II (1527-1598)





ბაზილიკის შიდა ეზო (ზემოთ). სკულპტურების ცენტრში დაეითი და სოლომონია (ქვემოთ)



მნილიყო ჰაბსბურგებისა და ბურბონების დინასტიური პანთეონი. ამას გარდა, მონასტრისა და სამეფო სასახლის გაერთიანებით, ესპანური აბსოლუტიზმის დოქტრინა ქვაში უნდა გამოხატულიყო. ფილიპე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქიტექტურული სტილის შერჩევას. მას სურდა, ხაზი გაესვა შუასაუკუნეობრივ წარსულთან კავშირის გაწვევებისა და მისი იმპერიის ევროპულობისთვის. ამ მოთხოვნას კი ყველაზე მეტად მიესადაგა ე.წ. არქაიზებული რენესანსის არქიტექტურული სტილი.

ღრმად მორწმუნე და მელანქოლიური მეფე, რომელსაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონ-

და, მუდამ ეძებდა ადგილს, სადაც მსოფლიოს ყველაზე მძლავრი იმპერიის საქმეებისგან დასვენებას მოახერხებდა. მას სურდა ეცხოვრა ბერების და არა სასახლის დიდებულების გარემოცვაში. ამიტომ სამეფო რეზიდენციის გარდა, ესკორიალი პირველ რიგში „წმინდა იერონიმეს ორდენის“ ბერთა მონასტერიც უნდა გამხდარიყო. ფილიპე II ამბობდა, რომ მას სურდა აეგო „სასახლე ღმერთისთვის და ქოხი მეფისთვის“. მისი მეფობის დროს, მომდევნო ბურბონებისგან განსხვავებით, სამეფო ოთახები უზარმაზარი სამხედრო დარბაზებისა თუ მკაცრი და მდიდრული პანთეონის პა-



მრავალთაგან ერთ-ერთი ბატალური სცენა (ზემოთ), ბრძოლების დარბაზის კედელზე (ქვემოთ)



სან ლორენცოს
ეკლესიის ჭერის
მოხატულობის
ფრაგმენტი



მონასტრის დასავლეთი ფასადი (ზემოთ), სადაც წმინდა ლავრენტის ქანდაკების ქვეშ
სამეფო გერბია გამოკვეთილი (ქვემოთ)



ლატების ფონზე, მეტისმეტად უბრალოდ იყო გაწყობილი. მონარქს სურდა არა მარტო საკუთარი საძინებლიდან მუდამ შეძლებოდა საკურთხევის დანახვა, არამედ მონაწილეობის მიღებაც საღვთო მსახურებაში. ბერები კი, მისი თხოვნით, დღე და ღამე ლოცულობდნენ მეფის ოჯახისთვის.

კომპლექსის ნაგებობათა შიდა მორთულობისთვის მოზიდეს საუკეთესო მასალები, მუშაობდნენ რჩეული ოსტატები სხვადასხვა ქვეყნიდან, მხატვრებსა და დეკორატორებს შორის მრავლად იყვნენ იტალიელები — ტიბალდინი, კამბიანო, კასტელო და სხვები. ზეზე კვეთის სამუშაოები კუენკასა და ავილში შესრულდა, მარმარილო არასენიდან ჩამოიტანეს, ქანდაკებები მილანში შეუკვეთეს, ბრინჯაოსა და ვერცხლის ნაკეთობები კი — სარაგოსაში, ტოლედოსა და ფლანდრიაში დამზადდა. ფილიპე II-მ ესკორიალში თავი მოუყარა ესპანელი და ევროპელი ფერმწერების შედეგებს, ძვირფას წიგნებსა თუ ხელნაწერებს. მისი გარდაცვალების შემდეგ კოლექცი-

ების შევსებას მისი შემკვიდრები განაგრძობდნენ..

მართკუთხა ფორმის კომპლექსი, რომლის კედლის სიგრძე 208, ხოლო სიგანე 162 მეტრია, თავდაც კვადრატებადაა დაყოფილი, რის გამოც იმ გვარავარებულ ცხაურს გვაგონებს, რომელზეც ადესრულა წმინდა ლავრენტი. ასევე ცხაურს ჰგავს ფასადებიც მრავალრიცხოვანი ფანჯრებით.

კომპლექსის ცენტრში ეკლესიაა, სამხრეთისკენ მონასტრის სათავსები, ჩრდილოეთით სასახლე და ყოველი ნაგებობისთვის შიდა ეზოა გათვალისწინებული. გარეთა კუთხეების ოთხი კვადრატული კოშკი კომპლექსს ციხესიმაგრეს უფრო ამსგავსებს. ორი მაღალი სამრეკლო ბაზილიკის შესასვლელთან და ეკლესიის დიდი მრგვალი გუმბათი ზაზს უსვამს, რომ რელიგიური კომპონენტები დომინირებს საეროზე. ბაზილიკა არა მარტო ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი შენობაცაა ესკორიალში, სამეფო სასახლე კი მასთან შედარებით იმდენად პატარაა, რომ მის დანამატად აღიქმება.

მთავარი პორტალი გამოირჩევა ერთმანეთ-

ზე მდგომი კოლონებით და აქვეა გამოხატული ესკორიალის იდეაც — სამეფო გერბი წმინდა ლავრენტის ქანდაკების ქვეშაა განთავსებული. პორტალის უკან „მეფეთა ეზოა“, რომელსაც მარცხნიდან სემინარია ეკერის, მარჯვნიდან კი მონასტერი ბიბლიოთეკით, თუმცა მშერას უმაღლესობს მონასტრის ეკლესია, რომლის პროექტირებისას ბაუტიცტა დეტოლედოს ორიენტაცია ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარზე ჰქონდა. კვადრატულ მთავარ ნაგებობას 90 მეტრი სიმაღლის გუმბათი ასრულებს. შენობა უბრალო ნაცრისფერი გრანიტითაა აგებული, მდიდრულად მორთული მხოლოდ საკურთხეველის სივრცეა, რომელიც ოქროთი, ბრინჯაოთი, მარმარილოთი, სულიერი და შემეცნებითი მნიშვნელობის წარწერებიანი პანელებითაა გაწყობილი. საკურთხეველის თავზე კი მეფეთა პანთონია. ამ მთავარ ეკლესიაში ლოცულობდნენ მხოლოდ მეფესთან დაახლოებული პირები. უბრალო ხალხისთვის კი უფრო მომცრო ეკლესია, რომელიც დიდის ასლია, სამრეკლოებს შორისაა აგებული. ეკლესიის ჩრდილოეთით სამეფო სა-

ესკორიალის მონასტრის ბიბლიოთეკა





ესკორიალში 15 ვალერუა, 16 შიდა ეზო, 13 სამრეკლო, 300 სენაკი, 86 კიბე, 9 კოშკი, 9 ორჯანი, 2673 ფანჯარა და 1200 კარია

ბალი ვეანგელისტების ეზოში



სახლეა. მართალია, ფილიპეს ოთახები მეტად სადად იყო მოწყობილი, სამაგიეროდ, აქედან დიდი პანორამა იშლება. თავის მსოფლიო იმპერიას მონარქი ერთი პატარა ოთახიდან მართავდა, სადაც ამჟამად მხოლოდ საწოლი და საწერი მაგიდაა (მომდევნო ბურბონების სამყოფელი პალატები კი გოიასა და რუბენსის გობელენებითაა მორთული).

სამხრეთიდან ეკლესიას ეკერის ე.წ. ვეანგელისტების ეზო, რომელიც გარშემორტყმულია მონასტრის დარბაზით შეკრებებისთვის. ამ დარბაზის ყველაზე ცნობილი ტილოები ამჟამად პრადოში ინახება, თუმცა აქაც დარჩენილია ელ გრეკოს, ველასკესის, სურბარანის, ტინტორეტოს, ტიციანისა და ვერონეზეს ნამუშევრები.

ფილიპეს დროს მონასტერში 200 ბერი ცხოვრობდა. მათ განკარგულებაში იყო ბიბლიოთეკა 40 ათასი წიგნითა და ხელნაწერთ. ძვირფასი მერქნისგან დაშნადებულ მდიდრულ თაროებზე წიგნები გარეთ არა ყუით, არამედ ოქროს შემონაჭვრითაა მიმართული. აქ არსებულ აკადემიურ ატმოსფეროს აძლიერებს ფრესკები კედლებზე და პლაფონებზე, რომლებზეც პელაგრინო ტიბალდიმ ალეგორიულ ფორმაში გამონახტა ფილოსოფია, თეოლოგია,



გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. ესკორიალში სულ 15 გალერეა, 16 შიდა ეზო, 13 სამრეკლო, 300 სენაკი, 86 კიბე, 9 კოშკი, 9 ორგანი, 2673 ფანჯარა, 1200 კარია. კოლექციებში კი ტილოების რაოდენობა 1600-ზე მეტია.

მეფეთა ნოტიები

ფილიპეს ნების თანახმად, ესკორიალი ესპანელ მეფეთა მავზოლეუმის დანიშნულებასაც ასრულებდა. აქ უნდა გადმოეტანათ ჰაბსბურგებისა და ბურბონების სახლებიდან გამოსული ყველა მონარქის ნეშტი ევროპის ნებისმიერი კუთხიდან... როცა დონ ხუან ავსტრიელის ნეშტს პოლანდიიდან მოასვენებდნენ, უსაფრთხოების მიზნით, მტრული საფრანგეთის ტერიტორიაზე ნეშტი სამ ნაწილად გაყვეს და ყურადღება რომ ნაკლებად მიექცია, მომცრო ტომრებში ჩააწყვეს. ამგვარი აღმოჩნდა დონ ხუანის უკანასკნელი „მოგზაურობა“.

საბოლოოდ, ფილიპეს II-ის ნება ასრულდა კიდევ: მხოლოდ ფილიპე V და ფერდინანდ VI არიან სხვა ადგილზე დაკრძალულნი.

რამაზ გურგენიძე

ჰაბსბურგებისა და ბურბონების სამეფო საგვარეულოების წარმომადგენელ მონარქთა ძვალშესალავი სან ლორენცოს ეკლესიაში

უფლისწულების პანთეონი





აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ აარონ ბერისა და ალექსანდრე ჰამილტონის დუელი ამ უკანასკნელის სიკვდილით დასრულდა

ყველაზე

უსნაური დუელები მსოფლიოში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №2)

სტატიათა ციკლის პირველ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, რომ სპეციფიკურად ევროპული ფენომენია და ის ეთნოკულტურულ ტრადიციათა სხვაობის გამო აღმოსავლურ სამყაროში ვერ დაინერგებოდა, ნოვატორული სულით გაჯერებულ ამერიკაში კი ტრაგიკომიკური პიბრიდები წარმოშვა. ამჯერად ვეროპიდან სწორედ აშშ-ში გადაინაცვლოთ, სადაც პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობიდან დაწყებული (1865...წელს), უკვე ჩვენს დრომდე პოლიტიკურ მკვლელობათა ტრადიცია საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და სადაც „სადუელი ანგარიშსწორებაში“ პოლიტიკური ელფერი თავიდანვე საგრძნობი იყო.

დუელი, რომელიც 1804 წლის 11 ივლისს მდინარე ჰუძონის ნაპირას მოეწყო, ამერიკელ მკვლევართა აზრით, მათი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო ეპიზოდია: ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ქვე-

ნის ვიცეპრეზიდენტი — აარონ ბერი (პრეზიდენტი ამ დროს თომას ჯეფერსონია) და მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე — ალექსანდრე ჰამილტონი, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი მთავრობის ფინანსთა მი-

ნისტრი და ჯორჯ ვაშინგტონის უახლოესი თანამებრძოლი.

დუელი ჰამილტონის სიკვდილით დასრულდა. იმავე დღეს დასამარდა პოლიტიკური კარიერა აარონ ბერისა, რომლის სახელის გაგონებაც აღარ სურდათ ამერიკელებს...

აშშ – უცნაური ღუმელები

ამერიკა რის ამერიკა იყო, თუ ნებისმიერ ევროპულ ტრადიციას ან მოდას არ გადმონერგავდა თავის ნიადაგზე. ამჯერადაც ასე მოხდა და შეერთებული შტატების ისტორიას, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, „სადუელი დისკურსიც“ შეემატა. მაგრამ გამოხდა ხანი და ნოვატორობის სულით ატაცებული ამერიკელები ევროპული სადუელი ტრადიციის „გათანამედროვებას“ შეუდგნენ. მათი ექსპერიმენტები ამ სფეროში იმდენად ოდიოზური იყო, რომ ტრაგიკომიკურ შემთხვევათა ანთოლოგიას უფრო შეჰფერის, ვიდრე დუელის მსოფლიო ისტორიას.

ე.წ. „ამერიკული დუელის“ ნაირსახეობებიდან აღსანიშნავია:

— ამერიკული კოლორიტისთვის ესოდენ დამახასიათებელი „უკანასკნელი ნადირობა“, როცა ერთნაირი იარაღით აღჭურვილი მო-

წინააღმდეგენი ტყის ერთ მონაკვეთს აირჩევენ და ერთმანეთზე ნადირობას იწყებდნენ. ეს შესაძლოა რამდენიმე დღეც გაგრძელებულიყო. ამასთანავე, დასაშვები იყო ნებისმიერი მზაკვრული ხერხი — ზურგში სროლის ჩათვლით (ამოუწურავი ვარიაციების შემცველი სიუჟეტები კინოსცენარისტებისთვის!);

— არანაკლებ „ეგზოტიკური“ იყო დუელი, რომლის დროსაც ოთახში ჩაკეტილი, იარაღმომარჯვებული მოწინააღმდეგენი სეკუნდანტების გარეშე იქამდე „არკვევდნენ ურთიერთობას“, ვიდრე ერთ-ერთი მათგანი განგმირული არ დაეცემოდა (მაინ რიდის „უთავო მხედარში“ აღწერილი მიზანსცენა);

— დასასრულ, „ამერიკული დუელის“ მესამე სახეობა (სახელად „კუ-კუ“), რომელშიც პირველი ორის ელემენტები იყო გაერთიანებული და რომელსაც ერთგვარი სიურრეალისტური ელფერიც დაჰკრავს: ეს „კუ-კუ“ სხვა არაფერია, თუ არა ჩაბნელებულ ოთახში უხმაუროდ მოძრავი დუელანტის (ფეხსაცმელიც არ უნდა სცმოდათ) ხმადაბალი შეძახილი, რასაც მოწინააღმდეგის მყისიერი გასროლა მოსდევდა, რადგან წამომძახებელი ადგილზე უნდა გაშეშებულიყო. ტყვიის აცდენის შემთხვევაში — როლები იც-

ამერიკელთა ექსპერიმენტები იმდენად ოდიოზური იყო, რომ ზოგჯერ დუელი ტრაგიკომიკური ხდებოდა





ვერც მეფის რიდი, ვერც დასჯის შიში, ვერც ეკლესიისგან განკვეთა ვერ აცხრობდა დუელის დაუოკებელ, ფატალურ ჟინს

ვლებოდა და ასე გრძელდებოდა ფატალურ ფინალამდე...

ამერიკული ფანტაზიის ამ „შედევრების“ ჩამონათვალი მართლაც მკვეთრად კონტრასტირებს „ბებერი ევროპის“ კონსერვატიზმთან, სადაც „ამორალურის“ სტიგმით დაღდასმული კაზანოვაც კი იმდენად უწევს ანგარიშს დუელის ნორმებს, რომ ვარშავაში პოლონელი მეფის ფეორიტთან, ბრანიცკისთან ორთაბრძოლის დროს, უპრეცედენტო თხოვნით მიმართავს მოწინააღმდეგეს, სეკუნდანტი შეურჩიოს. საქმე ის არის, რომ იმჯერად კაზანოვას არისტოკრატი არაფერ ახლდა, ხოლო მდაბიოთაგან სეკუნდანტის აყვანა უკადრის საქციელად მიიჩნეოდა.

მეფური „აპოკალიფა“

ადრე თუ გვიან, ნებისმიერ ქვეყანაში ხელისუფალნი ან ეკლესია, ჰუმანისტი-მოაზროვნენი ან ყველანი ერთად ცდილობდნენ, რამენაირად აღეკვეთათ ქვეყნის არისტოკრატიული ნაღების ეგზომ უღმობელი ურთიერთგანადგურება. 1579 წელს საფრანგეთში, „დუელთა სამშობლოში“, ანრი III აქვეყნებს ორდონანსს, სადაც დუელი გამოცხადებულია „მეფის შეურაცხყოფად“ და „სახელმწიფოში

მშვიდობის დარღვევად“. ლუდოვიკო XIV-ის მეფობისას მისი სახელით თერთმეტი ედიქტი გამოქვეყნდა დუელის მონაწილეთა სიკვდილის დასჯის მუქარით.

მერედა რა?! ვერც მეფის რიდი, ვერც დასჯის შიში, ვერც ეკლესიისგან განკვეთა ვერ აცხრობდა დუელის დაუოკებელ, ფატალურ ჟინს. მით უმეტეს, თავად მეფენი აუფასურებდნენ თავისავე ედიქტებსა და ორდონანსებს: რიჩარდ კოენის თანახმად, ლუდოვიკო XIV-მ 19 წლის განმავლობაში შეიწყალა 7000 დუელანტი, ანუ სამუალოდ დღეში თითო კაცი. როცა ასეთივე „ლიბერალიზმს“ ლუდოვიკოს ბაბუა, ბურბონების დინასტიის დამაარსებელი ანრი IV (1553-1610) იჩენდა, ინგლისის ელჩი პარიზში, სერ ჯორჯ კეირიუ ამას ხსნიდა არა ჰუმანური მოსაზრებებით, არამედ მეფის მზაკვრული ჩანაფიქრით — განხეთქილება შეეტანა საფრანგეთის დიდებულებში და თან, გზადაგზა, ამგვარი „გამოხშირვით“ მოცილებინა ყველაზე ამპარტავანი, თავზე ხელადებული და უმართავი ქვეშევრდომები...

ერთ-ერთი იმ ხელისუფალთაგან, რომელთათვისაც სადუელი ტრადიცია კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა — ინგლისის ლორდ-პროტექტორი ოლივერ კრომველი

(1599-1658) გახლდათ. 1654 წლის ივნისში გამოქვეყნებულმა მისმა უმკაცრესმა დეკლარაციამ, რომელშიც დუელი ფატალური შედეგით — მკვლევლობასთან გათანაბრდა, ხოლო ნებისმიერი ფორმით დუელში მონაწილეობა ინგლისიდან სამუდამო გაძევებით ისჯებოდა, მართლაც გამოიღო შედეგი. მაგრამ ძალიან ცოტა ხნით, რადგან 1660 წლიდან, სტიუარტთა მონარქიის რესტავრაციასთან ერთად, დუელების რიცხვმა ისევ ერთიათად იმატა.

ეკლესიას რაც შეეხება, ჯერ კიდევ 1563 წელს, ტრიდენტის საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ „ქრისტიანულ სამყაროში უნდა აღიკვეთოს ამაზრზენი ჩვეულება, რომელიც ეშმაკისეული მზაკვრობითაა შთანერგილი, რათა სხეულის სისხლიანი მოკვდინებით სული დაღუპოს“. ამჟვე კრებაზე დუელში მონაწილეობა გაუთანაბრდა მკვლევლობას, რასაც მოსდევდა ეკლესიისაგან განკვეთა და ქრისტიანული წესით დაკრძალვაზე უარის თქმა (თუმცა, როგორც დავინახეთ, ისტორიამ შემოგვინახა პარადოქსული ეპიზოდები, როცა

სადუელო ბარიერთან მღვდელმსახურნი იდგნენ...).

საკმაოდ საინტერესო თემაა — „დუელის მომავალი“. თავის წიგნში ჯოზეფ ჰამილტონმა „სადუელო ცნობარს“ დაურთო მისი ევროპელი კორესპონდენტების მოსაზრებანი ამ საკითხზე. შემაჯამებელი რეზიუმე მკითხველს ამცნობდა, რომ: „დუელის საუკუნეებითა და პრეცედენტებით სანქცირებულ პრაქტიკას ძვრა ვერ უყო ვერც სატირიკოსთა ქირქილმა, ვერც სადამსჯელო ორგანოთა ტერორმა, ვერც ეკლესიის მოძღვართა შეგონებებმა, ვერც მომავლის შიშმა და უნდა ვიფარაუდოთ, რომ იგი არც არასდროს გაქრება“.

სანამ საქართველოსკენ ავიღებდეთ გეზს, გზად რუსეთში უნდა შევიაროთ. პირველ ყოვლისა, ცხადია, იმიტომ, რომ სადუელო ტრადიცია ჩვენში სწორედ რუსეთიდან შემოვიდა (მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც გრიბოედოვის განხმაურებული დუელი იაკუბოვიჩთან თბილისის შემოგარენში, 1818 წელს), მაგრამ კიდევ იმიტომაც, რომ თუკი ჩვენთვის გა-

ხელისუფალნი ან ეკლესია, ჰუმანისტ-მოაზროვნენ ან ვველანი ერთად ცდილობდნენ, რამენაირად აღეკვეთათ არისტოკრატიული ნაღების უღმობელი ურთიერთგანადგურება





„პუშკინის დუელი დანტესთან“. ალექსეი ნაუმოვი, 1884 წ.

მორჩეულად საინტერესო თემა — დუელის ეთნოფსიქოლოგიური ასპექტია, უნდა ითქვას, რომ დუელის რუსულმა ნაირსახეობამ არაერთი დრამატული სიუჟეტით გაამდიდრა დუელის ისტორია და, რაც არანაკლებ აღსანიშნავია, თავად რუსული ლიტერატურა (პუშკინით, ლერმინტოვით, ტურგენევით, დოსტოვესკით, ტოლსტოით, კუპრინით დაწვეებული და ანდრეი ბიტოვით დამთავრებული).

რიტუალური სისასტიკე რუსულად

რატომ გამოდგა მაინცდამაინც რუსული ნიადაგი ესოდენ ნოყიერი ფრანგული „ბოროტების ყვავილებისთვის“, რა იყო მიზეზთაგან დომინანტური — რაღაც ირაციონალური და ფატალური საწყისი რუსულ ხასიათში („დოსტოვეშჩინად“ მონათლული), სამხედრო არისტოკრატის გავლენიანი ფენა (რომლის წიაღშიც, ისევ და ისევ ფრანგული ლიბერალური იდეების ზეგავლენით მომწიფდა 1825 წლის „დეკაბრისტების“ ამბოხი), თუ სოციალურ ურთიერთობათა მეტად სპეციფიკური ხასიათი — ეს ცალკე თემაა, რომელსაც არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა მიეძღვნა და რო-

მელსაც აქ ნამდვილად ვერ განვფრცობთ. ისე კი, ძნელია არ დაეთანხმო იური ლოტმანის აზრს, რომ „დუელი — რუსული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ამოუცნობი მოვლენაა. ფრანგული ბალეტისა და პოლონური არყის მსგავსად, ის იმგვარ ნასესხობებს ეკუთვნის, რომელნიც სულ ცოტა ხანში ნაციონალურ თავისებურებებად იქცნენ“.

თანამედროვე რუსი ისტორიკოსი და კულტუროლოგი იაკობ გორდინი გამოკვლევაში „დუელი და დუელანტიები“ წერდა: „რუსული დუელი ევროპულზე უფრო სასტიკიც იყო და ფატალურიც. არა იმიტომ, რომ ფრანგ ჟურნალისტს ან ავსტრო-უნგრელ ოფიცერს სიმამაცე აკლდა რუს არისტოკრატთან შედარებით. არამც და არამც. არც იმიტომ, რომ რუსეთში ადამიანის სიცოცხლე ნაკლებად ფასობდა, ვიდრე ევროპაში. უფრო იმიტომ, რომ ფეოდალური წარმოდგენებისგან ერთბაშად გათავისუფლებულ რუსეთს არ გაუვლია მრავალსაუკუნოვანი გზა, რომელიც ამ წარმოდგენებს შეცვლიდა და ამიტომაც პიროვნულ ურთიერთობათა რეგულაციის სრულიად განსხვავებული კულტურა ჰქონდა. აქ დუელი გაცილებით უფრო აღიქმებოდა „სასა-

მართლო ორთაბრძოლად“, ვიდრე — შეუ-
რაცხყოფის რიტუალურ ჩამორეცხვად.

აქედანვე იღებდა სათავეს სადუელო პირო-
ბების სისასტიკე — და არა მარტო გვარდიელ
ბრეტერებთან (თავგადაკლული დუელანტები);
ყოფილ ზრდასრულ და გონიერ ადამიანებ-
საც კი ეუფლებოდა შეგძნება, რომ „სამარ-
თალმა“ უნდა გაიმარჯვოს და არ არის საჭი-
რო რამე ხელოვნური ზღუდე აღიმართოს ზე-
გარდმო ნების განხორციელებისას“.

მაგალითები ამ „სადუელო პირობების სი-
სასტიკისა“ იაკობ გორდინის მონოგრაფიაში
მრავლადაა მოხმობილი. ვეროპული სადუელო
კოდექსის მიხედვით, მინიმალური დისტანცია
მოწინააღმდეგეთა შორის 15 ნაბიჯი იყო, მაგ-
რამ ჩვეულებრივ 20-25 ნაბიჯიდან ისროდნენ.
რუსულ დუელში მინიმალური დისტანცია 3 ნა-
ბიჯი გახლდათ, საშუალოდ ითვლებოდა 8-10
ნაბიჯი, მაქსიმალურად — 15, ხოლო 20-25 ნა-
ბიჯი პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა.

რუსული დუელის მეორე სასტიკი თავისე-
ბურება მდგომარეობდა წესში, რომ თუ დუე-
ლანტს ტყვია ასცდა, უფლება ჰქონდა მოწი-
ნააღმდეგე ბარიერთან ეხმო და დაეცხრილა,
როგორც უმოძრაო სამიზნე.

ამიტომ, რომ საფრანგეთში, სადაც უკვე
XIX ს. შუა წლებისთვის საზოგადოებრივმა აზ-
რმა უდიდესი გავლენა მოახდინა სადუელო წე-
სების შერბილებაზე, მიუხედავად არცთუ იშ-
ვიათი ორთაბრძოლებისა, მსხვერპლი წელი-
წადში ექვს კაცს არ აღემატებოდა; რუსეთში
სწორედაც რომ პირიქით მოხდა (თუმცა მცი-
რერიცხოვანი „რაზნოჩინული“ ოპოზიცია სა-
დუელო ტრადიციას იქაც ჰყავდა) და იმავე ის-
ტორიულ მონაკვეთში დუელის ირაციონალურ
სისასტიკეს ემსხვერპლა არისტოკრატის რჩე-
ული ნაწილი. მათ შორის ორი უდიდესი პოე-
ტი — პუშკინი და ლერმონტოვი.

XIX საუკუნის დამლევს კი (1894 წლის მა-
ისიდან) ალექსანდრე III-ის წაქეზებით, დუე-
ლი ფაქტობრივად ლეგალიზებული გახდა: რუ-
სულ არმიაში კონფლიქტი ოფიცერთა შორის
მათ მიერვე არჩეულ სასამართლოს უნდა გა-
ნეხილა და თუ ვერდიქტი დუელი იყო, ბარი-
ერთან გასვლაზე უარის მთქმელი სამხედრო
კარიერას უნდა გამოთხოვებოდა. პარადოქ-
სული სიტუაცია შეიქმნა: სახელმწიფო, რომ-
ლის რეგლამენტირებისგან თავდაღწევის ერთ-
გვარ საშუალებად ოდესღაც დუელი აღიქმე-

ბოდა (რამაც დიდად განაპირობა რუსულ ლი-
ტერატურაში მისი რომანტიკული ქარიზმის
შექმნა), ახლა უკვე თვითონ აიძულებდა თა-
ვის ქვეშევრდომთ ბარიერთან მისვლას.

ამ რომანტიკული ქარიზმის ანტითეზა რუ-
სული ლიტერატურის წიაღშივე იშვა XIX სა-
უკუნის დასასრულს, და, რაღა თქმა უნდა, ჩე-
ხოვთან, („Дуэль“, 1891 წ.), მაგრამ კიდევ უფ-
რო მძაფრად, უკვე XX საუკუნის დასაწყისში
— კუპრინის „ორთაბრძოლაში“ („Поединок“,
1905 წ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ნა-
წარმოები იაპონიასთან წამოწყებული ომის
სისხლიანი საფასურისა და იმპერიაში დაწყე-
ბული სოციალური ამბოხის არმიული სისას-
ტიკით ჩაზმობის ფონზე იქმნებოდა, არ არის
გასაკვირი ავტორის სურვილი, „სადუელო ქა-
რიზმასთან“ ერთად „სამხედრო რომანტიზმიც“
დაასამაროს. ამ მხრივ, მრავლისმეტყველია ნაწ-
ყვეტი „ორთაბრძოლიდან“, სადაც სასიკვდილოდ
განწირული გმირის რეფლექსიებია აღწერი-

მონუმენტი პუშკინის დუელის ადგილას





მიხაილ ლერმონტოვი

ლი: „...რომაშოვი, გაუბედავად, ძალიან ხანგრძლივად, მაგრამ სულ უფრო და უფრო ღრმად უფიქრდებოდა ცხოვრებისეულ მოვლენებს... „როგორ უნდა იარსებოს წოდებამ, —

ობელისკი მიხაილ ლერმონტოვის დუელის ადგილას

ეკითხებოდა თავის თავს იგი, — რომელიც მშვიდობიან დროს მისხლისოდენა სიკეთის მომტანიც კი არ არის, სხვის ულუფას მიირთმევს, სხვის სამოსს იცვამს, სხვის სახლში ცხოვრობს, ხოლო ომიანობის დროს კი ისწრაფვის „უაზროდ დახოცოს და დაასახიჩროს თავისნაირივე ადამიანები?“ და სულ უფრო მკაფიოდ უყალიბდებოდა აზრი, რომ ადამიანისთვის მხოლოდ და მხოლოდ სამი ღირსეული მოწოდება არსებობს: მეცნიერება, შემოქმედება და თავისუფალი ფიზიკური შრომა“.

გასაკვირიც იქნებოდა, რომ დუელის ფენომენის შეფასებათა ამგვარ პოლარიზაციას ერთი კულტურის ჩარჩოებში მკვლევართა ყურადღება არ მიეპყრო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბერკლის უნივერსიტეტის (კალიფორნია, აშშ) პროფესორ ირინა რეიფმანის გამოკვლევა — „რიტუალიზებული აგრესია. დუელი რუსულ კულტურასა და ლიტერატურაში“, რომლის „ზეამოცანაა“ XIX საუკუნის რუსულ სინამდვილეში დუელის ესოდენ მაღალი „კულტურული სტატუსის“ მიზეზთა კვლევა და დუელის, როგორც კულტურული ფენომენის დემითოლოგიზაცია.

ზაზა ავაჩიანიძე

(დასასრული მომდევნო ნომერში)



უსვინათ „ისტორიანს“ რადიო პალიტრის ეთერში

საქართველოსა
და მსოფლიოს
ისტორიის ნაცნობი
და უცნობი ფაქტები,
პიროვნებები,
მოვლენები-ახალი
კუთხით!



თოქოუს
ავტორი და წამყვანი
ჯაბა სამუშია

ჩვენთვის ტაბუდადებული თემები არ არსებობს!



უსვინათ!
FM 103.9

www.palitravt.ge

უყურეთ!



ყოველ სამუშაოს
16.00 სთ-ზე
განმეორებით კვირას
17.00 სთ-ზე



ბადაცემა „ისტორიანი“ მოგზაურობა წარსულში

რადიო „პალიტრასა“ და
„პალიტრა TV“-ზე პოპულარული
ბადაცემა განასლვებული ფორმატით გავა

ქართულ სატელევიზიო სივრცეში ადგილს იმკვიდრებს „პალიტრა TV“, ხოლო რადიოსა და ტელევიზიაში — ახალი გადაცემები. ყოველ სამშაბათს, 16:05 საათზე რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრა TV“-ის ეთერში არ გამოვრჩეთ გადაცემა „ისტორიანი“, რომლის მოსმენა და ყურება უკვე მრავალ მსმენელსა და მაყურებელს მოთხოვნილებად ექცა. ამიერიდან კი „ისტორიანი“ შეცვლილი ფორმატით წარუდგება პუბლიკას, უცნობი და ნაცნობი ამბების ანალიზითა და საინტერესოდ წარმოჩენით. ეს არის გადაცემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის შთამბეჭდავ ფაქტებზე, ომებზე, მონარქებსა და იმპერატორებზე, მეფეებსა და ქვეშევრდომებზე... ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც ისტორიას საინტერესოს ხდის.

ზაზა ქანთარია (ტელე-რადიო „პალიტრის“ დირექტორი): — ისტორიის ცოდნა მნიშვნელოვანია ყველასთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისთვის. ბუნებრივია, მათ მეტი უნდა იცოდნენ საკუთარი ქვეყნისა თუ მსოფლიოს ისტორიული პროცესების შესა-

ხებ. თუ ადამიანს სამშობლოს წარსული არ უყვარს, სხვა ქვეყნის ისტორიასაც არ სცემს პატივს. ჩვენი გადაცემის მიზანიც სწორედ ეს არის, შევძლოთ ქართველ ხალხში ცნობის-მოყვარეობის უფრო მეტად გავლივება, ისტორიით უფრო მეტად დაინტერესება.

ჩვენ გვინდოდა, გადაცემა არ გასულიყო მხოლოდ სტუდიიდან. ამიტომ ფორმატი შევცვალეთ და გარეგადაღებები დავიწყეთ. რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება, როცა რომელიმე თემას განვიხილავთ ისტორიულ ძეგლთან, მუზეუმში ან კონკრეტულ ისტორიულ ადგილას. რაც შეეხება გადაცემის თემატიკას, „ისტორიანი“ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო წარსულზე მოგვითხრობს. ამა თუ იმ საკვანძო საკითხებზე იმ ერთი შეხედვით წვრილმან, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალებსაც განვიხილავთ, რომელთა შესახებ დღეს ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი.

— ისტორიაში ზოგადად ბევრი რამ დღემდე ბურუსით არის მოცული, ბევრი ფაქტი გაუხმაურებელია, ამას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ არ მინდა, მომ-



კადრი
განაზღვრული
გადაცემიდან.
საქართველოს
თეატრის, მუსიკის,
კინოსა და
ქორეოგრაფიის
სახელმწიფო
მუზეუმის
დირექტორი
გიორგი კალანდია
და გადაცემის
წამყვანი,
პროფესორი
ჯაბა სამუშია

დევრო გადაცემას წინ გაუუსწრო, ამიტომ და-
ზუსტებისგან ამჯერად თავს შევიკავებ. მსმე-
ნელი და მაყურებელი მოუსმენს და ნახავს
იმას, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი.
ყველაზე უკეთ ამაზე გადაცემის წამყვანი
ილაპარაკებს. ჩვენ კი შევეცდებით, ეს ყვე-
ლაფერი სათანადოდ მივაწოდოთ მსმენელსა
და მაყურებელს.

**— გადაცემას მხოლოდ ერთი თემა ექნება
თუ რუბრიკებიც?**

— ისტორია იმდენად ამოუწურავი და
ღრმა თემაა, რამდენიმე საკითხზე ერთ გადა-
ცემაში ვერ ილაპარაკებ. ამ მხრივ წამყვანი
თავისუფალია. შეუძლია ერთი გადაცემა ერთ
თემას მიუძღვნას ან ჰქონდეს რამდენიმე რუ-
ბრიკა. ეს იმაზეც არის დამოკიდებული,
როგორ განიხილავს ავტორი ამა თუ იმ ის-
ტორიულ მოვლენას, რამდენიმე ეტაპად ან
საუკუნეებად დაყოფილ პერიოდს. შეიძლება
პარალელის გაკლება რომელიმე სხვა ქვეყ-
ნასთან, იქაურ ადათ-წესებთან, ტრადიციებ-
თან... გადაცემისთვის არსებითი მნიშვნელო-
ბა აქვს ისტორიული თარიღების გათვალის-
წინებასაც.

**— როგორც ვიცო, „ისტორიანი“ კვლავაც
მიწვევს სტუმრებს...**

— დიახ! გადაცემის სტუმრები იქნებიან
ისტორიკოსები, მუზეუმების ხელმძღვანელები,
თანამშრომლები, რომლებიც კონკრეტულ
ეპოქასა და მოვლენაზე ისაუბრებენ, დე-
ტალებს წამყვანთან ერთად განიხილავენ, ჩვენ
კი წარსულში „გვაშოგზაურებენ“. ახალი
ფორმატით „ისტორიანი“ ეთერში უკვე გავი-
და.

**— ახალი ფორმატით პირველ გადაცემას
როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— მაყურებელი ძალიან თბილად შეხვდა
ახალი ფორმატით მომზადებულ გადაცემას.
ჩვენ ვიყავით საქართველოს თეატრის,
მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმ-
წიფო მუზეუმში და ჩვენი მასპინძელი ამ
მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია იყო.
მაყურებელმა მუზეუმსა და მის ექსპონატე-
ბზე ბევრი საინტერესო ამბავი მოისმინა და
საშუალება ჰქონდა, საკუთარი თვალთა ეხი-
ლა იქ დაცული უნიკალური ნიმუშები.

მართალია, ასეთ დროს არ გვეყოლება
სტუმარი სატელეფონო ჩართვით, როგორც
ეს ძველ სტუდიურ ფორმატში იყო, სამაგი-



*ზაზა ქანთარია: გადაცემის სტუმრები იქნებიან
ისტორიკოსები, მუზეუმების ხელმძღვანელები,
თანამშრომლები, რომლებიც კონკრეტულ ეპოქასა
და მოვლენაზე ისაუბრებენ და წარსულში
„გვაშოგზაურებენ“...*

ერთდ, შეიძლება ითქვას, რომ თვით მსმე-
ნელები და მაყურებლები ხდებიან გადაცემის
მონაწილენი...

**— დასასრულ, რას ეტყობით თქვენს მს-
მენელსა და მაყურებელს?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ სამწუხაროდ,
საქართველოში ამ ჟანრის გადაცემებით სხვა
ტელეკარხები ნაკლებად ინტერესდებიან. ამ
მხრივ „ისტორიანი“, შეიძლება ითქვას, უნი-
კალური პროექტია. სიურპრიზებს გვპირდე-
ბა ასევე გადაცემის წამყვანი, პროფესორი ჯაბა
სამუშია. გადაცემის წამყვანი და ჩვენი შემო-
ქმედებითი კოლექტივი, დარწმუნებული ვარ,
საიმისო წინაპირობას შექმნიან, რომ მსმე-
ნელსა და მაყურებელს გაახსენონ ჩვენი წარ-
სული, ახალგაზრდობას გაუღვივონ ინტერე-
სი ისტორიისადმი, ტრადიციებისადმი,
აგრეთვე რელიგიისადმი, რომლის ისტორიაც,
შეიძლება ითქვას, გადაჯაჭვულია მთელი ქვეყ-
ნის ისტორიასთან... ვიმედოვნებთ, გადაცემა
„ისტორიანი“ ახალი ფორმატით, ქვეყნის წარ-
სულითა და მომავლით დაინტერესებულ უამ-
რავ ახალ მსმენელსა და მაყურებელს შეიძენს...

ასე რომ, დაიმახსოვრეთ: ყოველ სამშაბათს,
16:05 საათზე თქვენ გელოდებით განახლებუ-
ლი „ისტორიანი“.

ესაუბრა **თამარ კვიციანი**

გოლფის თავბადასავალი



40 წელიწადზე მეტია, გოლფის ორი ბურთი ღია კოსმოსში მიფრინავს

ისევე როგორც სპორტის არაერთი სახეობის წარმოშობის ისტორია, გოლფის საწყისებიც ბურუსითაა მოცული და მას მრავალი მითი და ლეგენდა უკავშირდება. არსებობს ვერსია, რომ გოლფის მსგავს თამაშს საფუძველი შუა საუკუნეებში ევროპელმა მწყემსებმა ჩაუყარეს, რომლებიც მინდორში უქმად ყოფნისას ქვებს კომბალს ცემდნენ და აქეთ-იქით ისროდნენ.

როგორც ჩანს, ერთ-ერთმა მათგანმა ქვას უნებურად კურდღლისა თუ მელიის სოროში ზუსტად მიუჩინა ადგილი, რის განმეორებაც ამხანაგს შესთავაზა. ეს კი უკვე შეჯიბრება იყო, რომელსაც გოლფის პირველი მატჩიც შეიძლება ვუწოდოთ... საკითხავი ის არის, ვინ იყვნენ ის მწყემსები?

სად დაიბადა გოლფი

დღემდე არაერთ ქვეყანას მოჰყავს საკუთარი არგუმენტები, რათა თავი გოლფის სამშობლოდ გამოაცხადოს. მაგალითად, იტალიელები ფიქრობენ, რომ გოლფი მათ წინაპართა მიერ გამოგონილი პეგანიკას „სამართალმემკვიდრეა“. ცნობილია, რომ რომის იმპერიის ზეობის ხანაში რომაელი მეომრები, ფორმის შესანარჩუნებლად, ბოლომომრგვალებული ჯოხებით ტყავის ბურთებს აქეთ-იქით დააგორებდნენ, რაც მათთვის ვარჯიშშიც იყო და

გართობაც. მაგრამ რომაელთა თამაში გუნდური იყო, თანაც მოთამაშეები ჯოხს მეტწილად გაგორებულ ბურთს ურტყამდნენ. შესაბამისად, იგი უფრო ბალახის ჰოკეის შეიძლება მივამსგავსოთ, ვიდრე გოლფს.

არსებობს გოლფის წარმოშობის აზიური ვერსიაც — ჩინურ აბრეშუმის გრაგნილებზე, რომლებიც მინის დინასტიის (1368-1644) ეპოქას მიეკუთვნება, ჩუიენის მოთამაშეებია დახატული. თავად თამაშის წარმოშობას კი უფრო ადრინდელ, სონგის დინასტიის (960-1279)

ეპოქას უკავშირებენ. ამ ვერსიის მიმდევრები ვარაუდობენ, რომ ჩინური თამაში ევროპას აბრეშუმით მოვაჭრეებმა გააცნეს.

სათქმელი ინგლისელებსაც აქვთ მაგალითად, ნისლიან ალბიონზე, XIV საუკუნეში აგებული ტაძრის ერთ-ერთ ვიტრაჟზე გამოსახულია ადამიანი, რომელსაც ხელთ ე.წ. ჰოკიჯოხი (ყვანჭი) უჭერია. მის მნახველს თვალწინ უმაღლესი სვინგის (გოლფის თამაშში მოქნევის ტექნიკა დარტემისას) შესასრულებლად მზადება წარმოუდგება. ვარაუდობენ, რომ ამ თამაშს კაბუკი ერქვა და იმ დროის ინგლისში მიმდევრები მრავლად ჰყავდა.

დაახლოებით იმავე პერიოდში საფრანგეთში პოპულარული იყო თამაში ჟუ დუ მეილი (jeu de mail), რომელსაც ბილიარდის, კროკეტისა და მინიგოლფის ნაზავი შეიძლება ვუწოდოთ. თავის მხრივ ინგლისელებმა ეს თამაში გადაიღეს და მას პალ მალი (pall mall) დაარქვეს, რადგან პირველად ის ლონდონში, სწორედ ამავე სახელწოდების ქუჩაში ითამაშეს.

ამ ფრანგულ-ინგლისური თამაშის მიზანი დიდი ხის ბურთის რკინის რგოლში გაძვრენა იყო, რისთვისაც გრძელტარიან ხისავე ჩაქუჩს იყენებდნენ.

კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად სარწმუნო ვერსიით, გოლფის წინამორბედი ნიდერლანდური თამაში კოლფია, რომლის შესახებაც პირველი ცნობები XIII საუკუნის ბოლოდან არსებობს. მისი ამსახველი სურათები კი მრავლად გვხვდება XV საუკუნის ნიდერლანდური ფერწერის პეიზაჟებში. ოღონდ ამ შემთხვევაშიც, პარალელების გავლება ჰოკისთან უფრო შეიძლება, ვიდრე გოლფთან, რადგან ჰოლანდიელები კოლფის თამაშს ყინულზე ამჯობინებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ და სხვა მსგავსი თამაშის ძირითადი კომპონენტები ჰოკიჯოხი და ბურთი იყო, გოლფისთვის უნიკალური დეტალი — ფოსო, სადაც ბურთი უნდა მოთავსებულიყო, მხოლოდ შოტლანდიურ თამაშს ჰქონდა. სწორედ ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რასაც დღეს გოლფს ვუწოდებთ, შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, XV საუკუნეში დაიბადა.

პირველ ხანებში მოთამაშეები ქვას ერთგვარი ჰოკიჯოხით ურტყამდნენ და მის ჩაგდებას მოედანზე საგანგებოდ მომზადებულ

მომცრო ფოსოში ეშურებოდნენ. ამასთან, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, შოტლანდიელთა წინაპრების გასართობი თანამედროვე გოლფად აქცია მასში ზემოთ ხსენებული ჰოლანდიური კოლფისა და ბელგიური შოლის/შულის (chole)-ის ელემენტების შეტანამ.

გოლფი საზღვრებს გარეშე

XV საუკუნის შუა ხანებში შოტლანდია ინგლისელთა თავდასხმის მოლოდინში იყო. არადა, ამ დროს მოსახლეობა დიდი გატაცებით ირთობდა თავს პირველყოფილი გოლფითა და ბურთობით, საყოველთაო სამხედრო სამზადის კი არად აგებდა (უპირველესად, მშვილდ-ისრის გამოყენებაში ვარჯიშს). ამის შემხედვარე მეფე ჯეიმს (იაკობ) II ისე აღშფოთებულა, რომ 1457 წელს, შოტლანდიის პარლამენტის აქტით, თამაშობანი აუკრძალავს.

მიუხედავად ამისა, ხალხმა თამაში მაინც არ მოიშალა, აკრძალვა კი 1502 წელს, გლაზგოში ინგლისთან მიღწეული სამშვი-

მინის დინასტიის იმპერატორი ზუანდუ გოლფის საფარადლო წინაპარი თამაშით, ჩუივანით ირთობს თავს





კოლფის თამაში ნიდერლანდელი ფერმწერის, ჰენდრიკ აერკამპის ტილოზე (1625). ფრაგმენტი

დობო შეთანხმების შემდეგ მეფე ჯეიმს (იაკობ) IV-მ გააუქმა, რომელიც კოლფის დიდი მოტრფიალე თავადვე ყოფილა. ცნობილი ამბავია, მონარქს თავის ოსტატისთვის ჰოკიჯოხების კომპლექტი საგანგებოდ შეუკვეთია, სამეფო კარის ხარჯთაღრიცხვის წიგნში კი კოლფის ბურთების თანხაც კი ყოფილა მითითებული.

ცნობილია, რომ ედინბურგის სიახლოვეს არსებულ კოლფის მოედანზე ბრძანდებოდა მეფე ჩარლზ I, როცა 1641 წელს ირლანდიელთა აჯანყების შესახებ შეტყობინება მიიღო.

მანამდე კი შოტლანდიის დედოფალმა, დე-

ფრანუელ თამაშში, რომელსაც კოლფის ერთ-ერთ წინაპრადც ასახელებენ, ხის ბურთებსა და გრძელტარიან ხის ჩაქურებს იყენებდნენ



ლით ფრანგმა მარიამ სტიუარტმა (1542-1587) თამაში თავის დედუღეთშიც გაავრცელა, სადაც მოგვიანებით თავადაც გახდა დედოფალი, თუმც კი სულ ორი წლით.

სხვათა შორის, კოლფის თამაშის ტერმინი კედი სიტყვა კადეტდან მოდის. ასე იწოდებოდნენ მოედანზე მყოფი დედოფლის მოსამსახურეები — ფრანგი სამხედროები, რომლებსაც დარტყმული ბურთისთვის თვალის მიდევნება, მდელოს მოსუფთავება და ჰოკიჯოხების ერთი ადგილიდან მეორემდე ტარება ვვალეობდათ. ბეგი — კოლფის ინვენტარის სატარებელი ჩანთა მოგვიანებით, 1870 წელს შექმნეს, მანამდე კი ჰოკიჯოხები და ბურთები სწორედ დამხმარეებს დაჰქონდათ.

იმის გასაგებად, რაოდენ თავდავიწყებით უყვარდა სახელგანთქმულ დედოფალს კოლფი, ერთი გადმოცემის მოყვანაც კმარა: თურმე მარიამ სტიუარტს თამაშის ხალისი ვერც მეორე მეუღლის, ჰენრი სტიუარტის გარდაცვალებამ წაუხდინა. დაკრძალვის ცერემონიალის დასრულებისთანავე დედოფალი კოლფის სათამაშო მოედანზე გამოჩენილა...

საორბის ახალი სახეობა

პირველი კოლფკლუბი შოტლანდიაში, ლეითში 1744 წელს დაარსდა და კეთილშობილ ჯენტლმენტა ლეითის კლუბი ეწოდა. შეჯიბრები ყოველწლიურად იმართებოდა და გამარჯვებულისთვის დაწესებული მთავარი პრიზი ვერცხლის ჰოკიჯოხი იყო. დუნკან ფორბსმა კი თამაშის პირველი წესები ჩამოაყალიბა.

1754 წელს სენტ-ენდრიუსში კოლფისტთა

საზოგადოება შეიქმნა, რომელიც ყოველწლიურ შეჯიბრებებს დამოუკიდებლად მართავდა. სწორედ სენტ-ენდრიუსში დაარსდა პირველი ქალთა გოლფკლუბიც. მოგვიანებით, 1834 წელს, მეფე უილიამმა კლუბს საპატიო სახელწოდება „სამეფო და უძველესი“ მიაკუთვნა, რომელმაც საუკეთესო ხარისხის მოედნის, თამაშის ერთიანი წესებისა და სამეფო ოჯახის პატრონაჟის გამო მსოფლიოში რჩეულის სახელი დაიმკვიდრა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორედ იქ დაედო საფუძველი გოლფის სრულფასოვან სპორტის სახეობად ჩამოყალიბებას. მაგალითად, მოედანს თავდაპირველად 22 ფოსო ჰქონდა, შემდეგ კი რიცხვი 18-მდე შემცირდა და ასეა დღემდე. პოკიჯოხის თვაკის დასაშხადებელ მასალად ხშირად ვაშლის ხეს იყენებდნენ, ტარისთვის კი კაკალს ამჯობინებდნენ. მაშინდელი ბურთები მაგრად დაპრესილი ბუმბულისგან მზადდებოდა.

რა გასაკვირია, ხელნაკეთი ინვენტარი არცთუ იაფი ღირდა და შესაბამისად, სპორტის ამ სახეობით თავის შექცევის ფუფუნება, საკმარისი ხანს, მხოლოდ ჯიბესქელ ადამიანებს ჰქონდათ. თუმცა 1848 წლიდან, როცა ლითონის პოკიჯოხები გამოჩნდა, ბურთების დამზადება კი გუტაპერჩისგან (კაუჩუკისმაგვარი მასალა, ოღონდ გაცილებით ნაკლებად ელასტიკური) დაიწყო, თამაში საშუალო ფენისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

პირველი გოლფის კლუბი, რომელიც

შოტლანდიის გარეთ შეიქმნა, ლონდონის სი-ახლოვეს, 1766 წელს დაარსებული **Royal Blackheath**-ი იყო. თუმცა არსებობს ვერსიაც, რომ იქ გოლფს უკვე 1608 წელს თამაშობდნენ. რაც შეეხება ბრიტანეთის საზღვრებს გარეთ პირველ გოლფკლუბს, 1820 წელს ის ინდოეთში დაფუძნდა.

XIX საუკუნეში ბრიტანეთის იმპერია განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდა და გამოთქმა „იმპერიაში, სადაც მზე არასდროს ჩადის“ ზედმიწევნით ასახავდა მის მდგომარეობას მსოფლიოში. შესაბამისად, ბრიტანეთი აფართოებდა თავის გავლენას და გოლფსაც ავრცელებდა.

გოლფის პოპულარობამ ფენომენალურ მასშტაბებს მიაღწია: გოლფს თამაშობდა ყველა, განურჩევლად სქესის, ასაკის, გვარიშვილობის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ კანის ფერისა. 1888 წელს გოლფის მსოფლიო ასოციაციამ (PGA) თავისი წესდებიდან ამოიღო წესი, რომელიც გოლფის თამაშს შავკანიანებს უკრძალავდა...

1900 წელს აშშ-ის ტერიტორიაზე უკვე იყო 1000-ზე მეტი კლუბი. აღსანიშნავია, რომ ამერიკული გოლფის მოედნების ლანდშაფტის სპეციფიკა ბრიტანულისგან განსხვავდებოდა.

ყველაფერთან ერთად, გოლფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომერციული ორგანიზაციების ყურადღების არეალშიც მოექცა, რამაც თამაში სრულიად ახალ სი-

სენტ-ენდრიუსის განთქმული გოლფკლუბი





1971 წლის 6 თებერვალს კოსმოსურ ზომალდ „აპოლონ 14-ის“ კაპიტანმა ალან შეპარდმა მთვარის ზედაპირზე გოლფის პოკეჯოხით ორჯერ დაარტყა



მსოფლიოს უმდიდრესმა სპორტსმენმა, გოლფისტმა ტაიგერ ვუდსმა ქონება პოკეჯოხის მარჯვედ ქნევით დაავროჯა



მალევე აიყვანა. 1897 წლიდან აშშ-ში გამოცა კიდევ პირველი ყოველთვიური ჟურნალი „გოლფი“. შესაბამისად, იმ პერიოდში შეერთებული შტატები, რეგულარული ჩემპიონატებისა და სპონსორული მხარდაჭერის წყალობით, იქცა კიდევ პროფესიონალური გოლფის მსოფლიო ცენტრად. ოლონდაც, ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებებად მაინც ისინი მიიჩნეოდა, რომლებიც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე იმართებოდა.

ნამდვილ მსოფლიო თამაშად გოლფი 1900 წელს იქცა, როცა იგი სპორტის ოლიმპიურ სახეობად აღიარეს.

პოსმოსური დარტყმა შამოსავლიან თამაშში

XX საუკუნიდან გოლფმა არა მხოლოდ დედამიწა, კოსმოსიც დაიპყრო. 1971 წლის 6 თებერვალს კოსმოსურ ზომალდ „აპოლონ 14-ის“ კაპიტანმა ალან შეპარდმა მთვარის ზედაპირზე გოლფის პოკეჯოხით ორი დარტყმა განახორციელა.

1975 წლიდან ეს პოკეჯოხი სამუზეუმო ექსპონატად იქცა, გოლფის ორი ბურთი კი კოსმოსურ უსასრულობაში ისევ მიფრინავს... ხოლო დედამიწაზე პროფესიონალური გოლფის დიდ ტურნირებს მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებს თვალს.

გოლფის დიდი ტურნირები ძირითადად ოთხ დღეს გრძელდება და დღეში თითო რაუნდი თამაშდება. „დიდი ოთხეულის“ ტურნირებია: აშშ-ის ღია ჩემპიონატი, დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი, აშშ-ის ოსტატთა ტურნირი და აშშ-ის გოლფის პროფესიონალ მოთამაშეთა ასოციაციის ტურნირი. სეზონის განმავლობაში წამყვანი პროფესიონალი მოთამაშეები სხვადასხვა კომერციულ ტურნირშიც მონაწილეობენ.

დასასრულ, მსოფლიოში ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა სიას, კარგა ხანია, სათავეში ბოლო წლების საუკეთესო გოლფისტი, ამერიკელი ტაიგერ ვუდსი უდგას. 2012 წელს მისი ქონება 538 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასდა, ჟურნალ „ფორბსის“ მიხედვით კი, მხოლოდ შარშან მან 59,4 მილიონი მოიხვეჭა — აქედან მინდორზე თამაშით მხოლოდ 4,4 მილიონი იმოჯა, დანარჩენი კი რეკლამებიდან.

გელა უზარიძე

პაპის გადადგომა პირველად არ ხდება

რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ის გადაწვევტილება გადადგომის შესახებ გამოთვნიბელი და იშვიათი ნაბიჯია, მაგრამ არა უბრეცდენტი.

საეკლესიო სამართლის 332-ე კანონი პაპის გადადგომის შესახებლობას ითვალისწინებს. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ გადადგომის პროცედურა პაპმა თავისუფლად და შესაბამისი ფორმით მოახდინოს.

პაპის ვადამდელი გადადგომა ბოლოს 1415 წელს მოხდა. გრიგორი XII ვატიკანის ცხრაწლიანი მართვის შემდეგ პაპობიდან არცთუ დიდი ხალისით გადადგა, თუმცა კარდინალის თანამდებობა შეინარჩუნა და ქალაქ ანკონაში გაემგზავრა, სადაც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. 600 წლის შემდეგ კი ბენედიქტ XVI-მ გადადგომის გადაწვევტილება თავადვე მიიღო.

უკანასკნელი პაპი, ვინც საკუთარი ნებით გადადგა, იყო კალესტინ V რომის პაპად იგი 1294 წელს აკურთხეს 85 წლის ასაკში. გადადგომის შემდეგ განდგომილად ცხოვრობდა აბრუცის მთებში, ბენედიქტის სახელით.

კალესტინ V-მ პაპობაზე უარი აღსაყდრებიდან ხუთი თვის შემდეგ განაცხადა. მიზეზად ფიზიკური სისუსტე და მშვიდი ცხოვრებისკენ სწრაფვა დაასახელა. ამის მიუხედავად, მას მშვიდი ცხოვრება არ ღირსებია. განხეთქილების შიშით, მისმა მემკვიდრე ბონიფაციუს VIII-მ ყოფილი პაპი ციხეში გამოკეტა, სადაც კალესტინი წელიწად-ნახევარში გარდაიცვალა. საკარაულოდ, იგი მოკლეს, რადგან თავის ქალაზე ჭრილობის კვალი აღენიშნებოდა.

მართალია, ისტორიული ცნობები ხშირად ბურუსითაა მოცული, მაგრამ ასეა თუ ისე, ისტორიკოსები პაპის გადადგომის პირველ პრეცედენტად 235 წელს ასახელებენ. რომის იმპერიის მიერ ქრისტიანთა დევნის პერიოდში, პაპი პონტიანუსი დააპატიმრეს და სარდინიის მარილის შახტებში გადაასახლეს. ამის შემდეგ, მეთაურის გარეშე ეკლესიის დარჩენის საფრთხის გამო, 235 წლის 28 სექტემბერს პაპი გადადგა. გადასახლებაში პონტიანუსს დიდხანს არ უცოცხლია, უსასტიკესი მოპყრობის გამო მალევე გარდაიცვალა.

რაც შეეხება ბენედიქტ XVI-ს, გადადგო-

მის მიზეზად მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაასახელა. თუმცა ამ მიზეზს ბევრისთვის ხელი არ შეუშლია, პაპის მოვალეობა სიცოცხლის ბოლომდე შეენარჩუნებინა. მაგალითად, კლიმენტ XII დაბრმავდა, თუმცა რვა წლის განმავლობაში, ანუ გარდაცვალებამდე დარჩა პაპის ტახტზე (1740 წელს, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა). სულ ახლახან, პაპმა იოანე პავლე მეორემ ბოლომდე შეასრულა თავისი მისია, იმის მიუხედავად, რომ პარკინსონის დაავადებით იტანჯებოდა.

ბენედიქტ XVI-მ გადადგომა ჯერ კიდევ 2010 წელს ახსენა, როცა ინტერვიუ მისცა გერმანელ ჟურნალისტს პიტერ ზეკალდს წიგნისთვის „ნათელი სოფლისა: პაპი, ეკლესია და დროის ნიშნები“.

„პაპი თუ ხვდება, რომ მას არც ფიზიკური, არც ფსიქოლოგიური და სულიერი ძალა აღარ გააჩნია, რათა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი, მას აქვს უფლება, გადადგეს“, — განაცხადა მაშინ ბენედიქტმა.

მომზადებულია discovery-ის მიხედვით

პაპ კალესტინ V-ის პორტრეტი



პაპი ბენედიქტ XVI



ჩემი ჭეიჭვილი:

სევდიანი სულ ვიყავი, ხალხი ვერ ხედავდა, უბრალოდ...



*„ჩემი მოგონებები ჩემს წიგნებშია
გაბნეული. ისე არაფერს ვწერ,
რეალურად რომ არ მომხდარიყოს“*

ყველაფერი, რის მოყოლაც უნდოდა, წიგნებშია თავმოყრილი, თუ კიდევ გაუჩნდა მოგონებათა გახსენების სურვილი, იმასაც დაწერს. განვლილი ცხოვრების ჟურნალი სტან მოყოლა კი ძნელიც ერეგება და იქნებ ცოტა ეზარება კიდევც... საძრახისი რაა, ქართველი კაცის ბუნებითი თვისებაა.

შეზღაურ და ელოდები — რაღაცას იტყვის საზღლისოსა და ღიმილიანს. რუზო ჭვიშვილისგან მიჩვეული ვართ, თავისი ნაწარმოებებითა და კინოსცენარებით ღიმილ-ღიმილ გატარებული ცხოვრების ილუზიაც კი შეგვიქმნას, მაგრამ ყველაფერი ისე როდია ცხოვრებაში, როგორც მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს. მთლიანად ვინ ჩავახედებს, მაგრამ ცოტათი მაინც ჩავიჭყიტე ბატონი რუზოს საინტერესო, უკვე გარდასულ დღეებში...

— ჩემი მოგონებები ჩემს წიგნებშია გაბნეული. ისე არაფერს ვწერ, რეალურად რომ არ მომხდარიყოს.

ყველაზე ადრეული მოგონება „კუდიან ვარსკვლავში“ აღვწერე... მახსენდება დიდი ბლის ხე. მე ხის ქვეშ ვიჯექი. ვიღაცამ მოიტანა ქართული ანბანი და მაჩუქა. ანბანი ძალიან ლამაზად იყო დასურათხატებული. ალ-

ბათ ძალიან მომეწონა, აქამდე რომ მომეცა ეს მოგონება.

ტრადიციულ ოჯახში ვიზრდებოდი. მშობლები და ჩვენ სამი — მე, ჩემი და და ძმა.

ბებია-ბაბუები დიდხანს შემომძრჩა. ერთი ბაბუა — ვლადიმერ ჭვიშვილი 60 წელიწადს მოსკოვში ცხოვრობდა. ბებია და ოთხი ვაჟი მიატოვა და წავიდა, იქ იქორწინა მეორედ. მომ-

ხიბვლელი კაცი იყო. მოსკოვში კიდევ ერთი ქალიშვილი შეეძინა — ტამაროქკა. ომის დროს ჩამოიყვანა საქართველოში, მთელი ზაფხული აქ გაატარებინა.

მასსოვს, ერთ დღეს ფუსფუსი ატყდა, მოვიდა, მოვიდა და ეზოში ბაბუა შემოვიდა. 1942 წელი იდგა. მაშინ პირველად შევხვდი ბაბუას.

რომ გავიზარდე და მოსკოვში ჩასვლა დავიწყე, ხშირად ვაკითხავდი. ბოლოს მოსკოვში რომ ვნახე, მისმა მეუღლემ შემომჩივლა: წაიყვანეთ საქართველოში, ცუდად არისო. თვითონ ბაბუაზე ადრე გარდაიცვალა. მარტო რომ დარჩა, ბაბუა მერე ჩამოვიდა საქართველოში. ბებიჩემი, რომელიც ოთხი შვილით მიატოვა, ცოცხალი იყო. ერთმანეთს ბოლომდე არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ საკუთარ სახლში მისვლას ხომ ვერ აუკრძალავდა... ამიტომ ბაბუა ხან მასთან — ქვიტირში ცხოვრობდა, ხან ჩვენთან — ქუთაისში.

დედის მშობლები სოფელში — ჯვარისაში ცხოვრობდნენ. ბაბუაჩემი — მიხეილ დიდბერიძე მგალობელი იყო, ნამდვილი გლჟსკაცი. მისი სახე ჩემს შემოქმედებაში ბევრგან გამოვიყენე.

ბებიებს განსაკუთრებით უყვართ შვილიშვილები? არც ჩემს ბებიებს ჰქონიათ განსაკუთრებული სიყვარული ჩემი და არც მე — მათი. მე დიდ ყურადღებას ვინ დამითმობდა... ბებიასთან სოფელში რომ ჩავდიოდი, იქვე დეიდაჩემი ცხოვრობდა, რომელსაც ცხრა შვილი ჰყავდა. ამდენ ბავშვებს როგორ გაანებებდნენ! მაშინ არ იყო გადაფოფრება შვილიშვილებზე.

სკოლის დაწყებით კლასებში თუ მასსოვს ჩემი თავი? მე კი მასსოვს, სკოლას თუ ვახსოვარ, არ ვიცი... ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი.

სათამაშო დრო ბევრი იყო, არც ტელევიზორი გექონდა, არც რადიოს ჩაგვირთავდა ვინმე, სხვა რა დაგვრჩენოდა — ეზოში უნდა გვეთამაშა. მასსოვს, ყოველდღე სკოლის ეზოში ვთამაშობდით ფეხბურთს. სპორტულად ვიზრდებოდი, ჭიდაობის სექციაში დავდიოდი... მაშინ სპორტზე რომ გველო, ფული არ იყო გადასახდელი. დედამ და მამამ კი არ მიმიყვანეს, თვითონ ავირჩიე და მივედი, სადაც მაინტერესებდა.

ომის მერე ცუდი დრო დადგა, მეც გავედი გარეთ და... არ მინდა ვთქვა, მაგრამ, ბევრი სკოლა მაქვს მოვლილი, რადგან დიდხანს არსად მაჩერებდნენ — მაგდებდნენ. სიგარეტს

არ ვეწეოდი, ძალიან არ მიყვარდა, ბიჭები რომ ტუალეტში მალულად ეწეოდნენ... ისინი მალავდნენ, მე დასამალადაც არ მქონდა საქმე, შინ ხშირად მარტო ვიყავი, დამშლელი არ მყავდა. მაინც არ გავიხედე სიგარეტისკენ.

აბა, რას ვაშავებდი? გაკვეთილებს ვაცდენდი... რესტორანში შესვლა და დალევა დავიწყე ადრე.


ისე საშიში არ იყო ქალაქი, ხულიგნობის ინსტიტუტი კი იყო, მაგრამ კაცს არ კლავდნენ ასე იოლად, როგორც ახლა...

ჩემ გარშემო საინტერესო ხალხი ცხოვრობდა, იუმორით სავსე. ის იუმორიც აღარ არის.

უმაღლესში პირველ წელს ვერ მოხვდი, კაცი არ მყავდა დახმარე, ერთი ნიშანი მაინც რომ მოემატებინა. მეორე წელს გავხდი სტუდენტი. თბილისელი ბიჭები ჯარში ქუთაისში მსახურობდნენ, ჩემთან ცხოვრობდნენ სახლში (მაშინ ასეც ხდებოდა), მე თბილისში მათ სახლში ვიყავი. არავინ მყავდა დამშლელი, მთელი დამე არ შევიდოდი თუ მინდოდა. მერე დაოჯახდი და მოვწესრიგდი.

„რომ ვამბობ, თბილისელი ქუთაისელი ვარ-მეთქი, მართლა ასეა“





„შემოქმედებითი გაერთიანება დაარსდა და იქ გავერთიანდით ყველანი — შვიდი რეზო: თაბუკაშვილი, ინანიშვილი, ჭეიშვილი...“



კადრები ფილმიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“, 1977 წ. სცენარის ავტორი რეზო ჭეიშვილი



რომ ვაგბობ, თბილისელი ქუთაისელი ვარ-მეთქი, მართლა ასეა: 1954 წლიდან თბილის-ში ვცხოვრობ, მაშინდელი გაგებით კანონიერი ჩაწერით. თბილისში დავამთავრე ასპირან-ტურა, თბილისში შევადე რედაქციის კარი, პირველი მოთხრობები თბილისის უნივერსი-ტეტში დავწერე, შვილები, შვილიშვილები აქ მეყოლა, კინოსტუდიაში ვმუშაობდი. ცამეტი კოლეგიის წვერი ვარ, მეთოთხმეტე — შემოქ-მედებითი გაერთიანება დაარსდა და იქ გავერ-თიანდით ყველანი — შვიდი რეზო: თაბუკაშ-ვილი, ინანიშვილი, ჭეიშვილი...

მერე „განთიადის“ რედაქტორად წავედი. დავარსე რამდენიმე ჟურნალი. ახლაც ჩემს გაზეთს ვუშვებ წელიწადში ერთხელ.

არასოდეს მიფიქრია დავრჩენილიყავი, საკანდიდატო ან სადოქტორო დამეცვა. ემ-ზარ კვიციანიშვილმა რომ დაიცვა დისერტა-ცია, მიკვირდა, ნეტავ რად უნდა, რას აკე-თებს-მეთქი. თურმე საჭირო ყოფილა. რამ-დენიმე დღის წინ ქუთაისის უნივერსიტეტმა მომანიჭა საპატიო დოქტორის წოდება. ძა-ლიან მესიამოვნა. მახსოვს, ერთხელ მოს-კოველმა ბაბუამ ჩამომატარა თავის ახლობ-ლებთან. დარეკავდა ზარს და გამოვიდოდა მაგალითად მისი ნაცნობი ქალი. ბაბუა მე წარმადგენდა, ეტყოდა:

— მოი ვნუკ, პაჩტი პრაფესორ!

გავფლიდით კიდე ცოტას და ახლა სხვას დაუკაკუნებდა, მასთან წარმადგენდა:

— პაჩტი პრაფესორ!

გუთხარი:

— თქვი ბარედამ „პრაფესორ“! ყველა ჩემი ამხნაგი — გრიფერ ფარულავა, რეზო სირაზე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ლაურა გრიგალაშვილი — პრაფესორია, რა მოხდა მერე...

მეგობრებთან ერთად დავდიოდი პრაქტი-კაზე მოსკოვში, ლენინგრადში, ბევრი რამ იყო საინტერესო, მაგრამ ისიც მართალია, რომ პრაქტიკა ჩვენთვის გასტროლები იყო. პრაქტიკაზე ყოფნისას გავიგე პირველი შვი-ლის დაბადება. მაშინ ლენინგრადიდან თბი-ლისს რომ დაკავშირებოდი, მთელი უბედუ-რება იყო. ძლივს დავრეკე ტანჯვა-წვალებით. მახარეს, შვილი შეგეძინაო. დიდი სუფრა თუ გავშალე გახარებულმა? სად მქონდა დიდი სუფრის გამლის საშუალება სტუდენტს... ისე კი მოვილხინეთ.

როგორი მამა ვარ? მკაცრი ვიყავი, ახლა აღარ ვარ. შვილებს თუ ეშინოდათ ჩემი? მეც მეშინოდა მათი! საშინო იყო ბიჭების გაზრდა, ისეთი დრო დაემთხვა.

მიყვარდა პოკერის თამაში. მოგება თითქმის არ მახსოვს, მაგრამ მაინც...

გიული ჭოხონელიძესთან, გურამ ასათიანთან მითამაშია პოკერი. გურამ საღარაძესთან არ მითამაშია. ეგ უფრო დიდ პოკერს თამაშობდა ყოველთვის. ცხონებულ გიული ჭოხონელიძეს სამი ავტორიტეტი ჰყავდა: ბაგრატიონი, ბონდარჩუკი და გურამ საღარაძე — როგორც პოკერის მოთამაშე.

მახსოვს, გიულისთან აივანზე ვთამაშობდით. მამამისი ქვემოთ იჯდა, დომინოს თამაშობდა ეზოში, ჩვენ ზემოთ — პოკერს. ახლარა, ნებადართულია თამაში, ადრე კი პროკურატურაში იბარებდნენ ამისთვის. ჩემი ცოლი რამდენჯერ დაიბარეს პროკურატურაში, შენი ქმარი თამაშობსო. საოცარი დრო იყო... მაგალითად, ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების შემდეგ ზაურ ბოლქვაძეს „ნიანგის“ რედაქტორობა უნდოდა. სვამსო, და არ დანიშნეს. ზაური გვიყვებოდა და გვაცინებდა: ერთხელ თამადობაზე იყო ლაპარაკი და მაშინაც ასე თქვეს ჩემზე: სვამსო... არც მაშინ დამნიშნესო.

კინოსტუდიაში ვმუშაობდი, ორიგინალურ სცენარებს ვწერდი... დავდიოდი სოფლებში გადაღებებზე. ისედაც მიყვარს სოფელი. „ბაკულას ღორებს“, „სამანისშვილის დედინაცვალს“ სოფლებში ვიღებდით. შეწუხებული ვიყავით, სულ გვპატივებდნენ. მაშინ იმერეთის სოფლებში შემოვიდა შაქრიანი ღვინო. სწორიც იყო. სამასკაციან ქელეს რომ გადაიხდიდნენ, ჩამოასხამდნენ ამხელა ჩაის ჭიქებში ნაწვალბ ღვინოს, მერე ზოგი ღვინოსათს ურევდა შიგ, ზოგი ბორჯომს, — აფუჭებდნენ. ღვინო მოსაფერებელია, ყლუპვაც არ უზღება! მარანი მაქვს ქუთაისში. პატარა შვილიშვილი მეყვდა, ახლა 8 წლისაა, რომ შენედა ბოცებს, იკითხა — ეს ბაბუას საღვინეთიაო? ბიჭებს ისე მოეწონათ, მარნის ნაცვლად ახლაც საღვინეთს ეძახიან.

სცენარს მოსკოვი ამტკიცებდა. დიდი უბედურება იყო, თუ რუჟისორი არ იყო ავტორიტეტული... „ყვარყვარ“ დოლო აბაშიძემ გაიტანა თავისი სუპრობითა და ყვირილით. ერთხელ კი რუზო თაბუკაშვილი იმხელა ხმაზე



კადრები ფილმიდან „ცისფერი მთები“, 1983 წ. სცენარის ავტორი რუზო ტყეშელი





„სევდიანი სულ ვიყავი. ხალხი ვერ ხედავდა, უბრალოდ“



კადრები ფილმიდან „ტურანდოტი“, 1989 წ. სცენარის ავტორი რეზო ჭეიშვილი



ყვიროდა მოსკოვში, გარეთ ისმოდა. ტექსელის ქართველებზე არ უშვებდნენ სცენარს — ეგენი მოლალატეები იყვნენო. ვლასოვის მშობელი ხალხი როგორ ბედავთ მაგას. მთელი არმია გადაიყვანა გერმანელების მხარეზე. ამ საცოდავ ქართველებს რას ერჩით, ჩაიხოცნენ იქო, არ ცხრებოდა რეზო თაბუკაშვილი.

„ჩემი მეგობარი ნოდარის“ სცენარზე სამჯერ ჩამიყვანეს მოსკოვში. არ ამტკიცებდნენ, ამერიკელის ანალოგიური სცენარი აქვს და ის დადგას ქუთაისზეო... ქუთაისზე იმას რა ექნებოდა, ნამყოფი არ იყო ქუთაისში და წარმოდგენა არ ქონდა, რა ქალაქი იყო ის.

ძლივს დაამტკიცეს...

ღიმილით მახსენდება ერთი ამბავი გადაღებიდან: გოგი ხარაბაძეს იღებდნენ „ჩემს მეგობარ ნოდარიში“. ყოველ გადაღებაზე რეჟისორი რონდელი ჰკითხავდა:

- ხარაბაძე ნაჭამი ხარ?
- კი ბატონო, ნაჭამი ვარ.
- აბა, მატორ!

ერთ დღეს შევედით რესტორანში და ისე დაენაყრდით, რომ იტყვიან, სუნთქვა გვიჭირდა. გაგაფრთხილეთ ხარაბაძე, მოდი, უთხარი რონდელს რომ გკითხავს, არაფერი გვიჭამიაო. ასეც მოიქცა. როგორც კი ჰკითხა რეჟისორმა — არა, ბატონო, არ მიჭამიაო.

— არა უშავს, არა უშავს... მატორ! — დაიძახა ისევ.

არ ჰქონია მნიშვნელობა, მშვიერი იქნებოდა თუ მაძლარი მთავარი როლის შემსრულებელი.

მწუხრი მწუხრია. შეღამებას ახლავს. სევდიანი თუ გავხდი? სევდიანი სულ ვიყავი. ხალხი ვერ ხედავდა, უბრალოდ... დოლო აბაშიძეც ასე არ იყო? შინ რომ მივიდოდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და დარდობდა. კინოსტუდიის ეზოში კი უდარდელი გეგონებოდა: აქცეველა ქვეყანას, ხუმრობდა, იცინოდა.

ადამიანს მეორე ცხოვრებაც აქვს, მარტო ცხოვრება კი არა, ადამიანის ტვინიც ორ ნაწილადაა გაყოფილი, ერთი სიკეთეს განაგებს, მეორე — ბოროტებას. თვითონ ეს ორი ებრძვის ერთმანეთს. ცალტვინა ვინცაა, ვაი მისი ბრალი! ასე ებრძვის ერთმანეთს მხიარული და სევდიანი ცხოვრებაც...

ლელა ჯიყაშვილი



ზაალ ჩხეიძე:

ისტორია უცნაურ და საინტერესო მოვლენათა ჯაჭვია...

„ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობა არაერთხელ მიმიღია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საქმე არ არის“, — ამბობს „ლიტერატურული პალიტრის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი ზაალ ჩხეიძე. ის პროფესიით ფილოლოგი გახლავთ. მხატვრული ლიტერატურის შემდეგ გამორჩეულად ისტორიული ჟანრის ლიტერატურა და მოგზაურთა ჩანაწერების კითხვა უყვარს.

— ახლახან წაეკითხე წიგნი ძველი თბილისის სასტუმროებზე და აღმოვაჩინე, რომ ბავშვობა ძველი თბილისის ერთ-ერთ ყოფილ სასტუმროში გამიტარებია.

— რომელ შენობაზეა ლაპარაკი?

— ეს არის შენობა, რომელიც დღეს სააბრიუკენის მოედანზე, ე.წ. მსახიობთა სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. დიდთაღიანი სახლია. ოდესღაც იქ სასტუმრო ყოფილა, სადაც ბოლშევიკები იკრიბებოდნენ. ძველი სასტუმროებიდან ქალაქში ყველაზე დიდ-

ხანს სწორედ „ჩემს სახლს“ უარსებია. ისტორიული თხზულებების გარდა, მოგზაურთა ჩანაწერების გაცნობაც ძალიან მიყვარს.

— თქვენ ლექციებს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კითხულობთ. რას ურჩევთ ახალგაზრდებს, რატომ უნდა ისწავლონ სამშობლოს ისტორია?

— მათ შეუძლიათ არ ისწავლონ საკუთარი ქვეყნის წარსული, მოქალაქეები მაინც იქნებიან. უბრალოდ მგონია, ისტორია, ისევე, როგორც ლიტერატურა, წარმოადგენს ინტე-

ლექტურულ ვენებს (ჩემთვის ასეა). ისტორია უკიდურესად უცნაურ და საინტერესო მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვია, სადაც ყველა ეს მოვლენა ერთმანეთისგან გამომდინარეობს. ეს არის სფერო, სადაც არასდროს მთავრდება ჩემი გაოცება. მხატვრულ ლიტერატურაში ცოტაა კარგი ავტორი და რაც უფრო მეტს კითხულობ, გაოცების უნარსაც ნელ-ნელა კარგავ. შესაბამისად, ხშირად სიამოვნებაც იკლებს, მაგრამ ისტორიას ეს არ ახასიათებს. ისტორიაში საინტერესო ფაქტები და დეტალები მხოლოდ თეორიულად შეიძლება ამოწყო.

— **თქვენთვის გამორჩეულად საინტერესო რომელი ისტორიული გმირია?**

— პლუტარქე. როცა მისი ბიოგრაფია წავიკითხე, აღმოვაჩინე, ეს იყო ადამიანი, რომელიც ერთი მხრივ ძალიან ჰკავდა თავის ნაწერებს და იმავდროულად, რადიკალურად განსხვავდებოდა. ის უკიდურესად გაორებული პიროვნება გახლდათ. მე კი ასეთი ადამიანები ძალიან მიზიდავენ. „ნაჯახივით სწორი“ კაცები მინცდამაინც არ მომწონს.

— **ინტელექტუალური თამაშები რატომ არ გიზიდავთ?**

— ჩემი გონება ცოტა სხვაგვარადაა „მოწყობილი“. ნელა ვაზროვნებ, ლოგიკური აზროვნებაც განსხვავებული მაქვს, ვიდრე მაღალი კლასის მოთამაშეს სჭირდება.

— **თუ გახსოვთ, რომელი იყო პიტლერის საყვარელი ყვავილი?**

— არა.

— **მიგანიშნებთ, მან ამ ყვავილის სახელი ერთ საბრძოლო ოპერაციასაც კი დაარქვა.**

— ამ წუთში, პიტლერის სახელთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი ყვავილი, — ედელვაისი მახსენდება.

— **სწორი პასუხიც ეს არის. რომელი სასახლე მიიჩნევა მსოფლიოში ყველაზე ძველ სასახლედ, სადაც მეფეები და დედოფლები ისევ ცხოვრობენ?**

— უინძორების სასახლე ბრიტანეთში.

— **ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდეთ! გზა კი ვაჟას უნდა დაუთმოთ...**

— *(მაწვევებინებს)* ეს ილია ჭავჭავაძის სიტყვებია.

— **ღიბ, დასახლეთ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები, რომლის წაკითხვის შემდეგაც ილიამ ეს სიტყვები თქვა.**

— ზუსტად არ მახსოვს, „ხმელი წიფელი“ ან „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

— **ცდებით, მან ეს სიტყვები „მოხუცის...“**

— *(მაწვევებინებს)* „მოხუცის ნათქვამის“ წაკითხვის შემდეგ თქვა.

— **ვინ დაარქვა ვაჟა-ფშაველას ეს ფსევდონიმი?**

— არ ვიცი.

— **მეგობარმა დიმიტრი ცისკარიშვილმა.**

— პირველად გავიგე, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიით ფილოლოგი ვარ.

— **როგორ კანონებს უწოდებდნენ ძველი ბერძნები დრაკონულს?**

— ზუსტად არ მახსოვს.

— **დრაკონულს სისხლით დაწერილ კანონებს უწოდებდნენ.**

— მართლა? საინტერესოა.

— **მსოფლიოს პირველი მილიარდერი ჯონ როკფელერი ახალგაზრდობაში ამბობდა: „ორი დიდი სურვილი მაქვს, გამოვიმუშაო მილიონი დოლარი და ვიცოცხლო 100 წელიწადს“. აისრულა თუ არა მან ორივე სურვილი?**

— მილიარდერი გახდა, მაგრამ 100 წელიწადს ვერ იცოცხლა. მე მინახავს ამერიკელი მხატვრის, ზინგერის ტილო. მას როკფელერი ჰყავს დახატული, ძალიან მოხუცი და ცხოვრებისგან დაღლილი სახით. ფუფუნების ყოველგვარი საგნის გარეშე. ნამუშევარი ერთ-ერთ საუკეთესო პორტრეტად ითვლება. ავტორმა მიაგნო, როგორ შეიძლება „გაამიშვლო“ ადამიანის სული.

— **ინგლისში მდებარე ეს უნიკალური სამეფო რეზიდენცია 600 ოთახისგან შედგება და მასში განთავსებული ხელოვნების ნიმუშები მსოფლიოს მრავალი ცნობილი მუზეუმისთვისაც კი დიდი ფუფუნებაა. რომელ სასახლეს ეწოდება ლაპარაკი?**

— ინგლისში? ბუკინგემის სასახლე იქნება.

— **„იყო კარგი კომუნისტი, იგივეა იყო ჩეკისტი“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— ლენინი.

— **„ეს გახლავთ სტილი მმართველობისა, რა დროსაც მთავრობა აწვდის ან ცდილობს მიაწოდოს ხალხს ილუზია, თითქოს ქვეყნის ბატონ-პატრონი თავად ხალხია“. რის შესახებ ამბობდა ამ სიტყვებს მუსოლინი?**

— დემოკრატიული მმართველობის შესახებ.

— სად არის დაკრძალული ივანე ჯავახიშვილი?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

— ნაპოლეონ ბონაპარტი საკუთარ თავს „ბედნიერების ქმარს“ ეძახდა, ხოლო ძალაუფლებას?

— ვერ გიპასუხებთ.

— მის საყვარელს. „პატარაობიდანვე ვოცნებობდი, კომონაუტი გაემხდარიყავი, მაგრამ ამას საკმაოდ ბევრი მეცადინეობა სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ გავხდი პრეზიდენტი“. ამერიკის რომელი პრეზიდენტია ამ სიტყვების ავტორი?

— რეიგანი, არა?

— ის ქვეყანას რეიგანის შემდეგ პერიოდში მართავდა.

— ბუში (შვილი).

— 1204 წელს ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს ჯვაროსნულ ლაშქრობებში. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორია დალაშქრეს და შექმნეს...

— ტრაპიზონის იმპერია.

— რა ერქვა ბიბლიური ისააკის მამას?

— აბრაამი.

— „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო“. რომელ ქართველ მეფეს ახასიათებდნენ ასე?

— გიორგი I-ს.

— საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ისტორიული ძეგლები: წულღურღამენი, ქვეშის ციხე და ორბელიანთა კარის ეკლესია?

— ქართლში, ბოლნისის რაიონში.

— ტროას ომში ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის სარდალი?

— აგამემნონი.

— წელიწადის 12 თვიდან რომელ ორ თვეს დაერქვა სახელი რომის იმპერატორთა პატივსაცემად?

— ივლისსა და აგვისტოს. გაიუს იულიუს კეისრისა და ოქტავიანე ავგუსტუსის პატივსაცემად.

— ვინ დაწვა არტემიდეს ტაძარი?

— ჰეროსტრატემ.

— 1931 წელს მწერალთა ფედერაციის წევრებმა იგი ორგანიზაციის რიგებიდან ერთხმად გარიცხეს. „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლად იბრძოდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ“.

ისტორია უკიდურესად უცნაურ და საინტერესო მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვია, სადაც ყველა ეს მოვლენა ერთმანეთისგან გამომდინარეობს. ეს არის სფერო, სადაც არასდროს მთავრდება ჩემი ვაოცება

ვეეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალური თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოუინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. თავისი გამოსვლებით მან არაერთხელ საზოგადოების ზიზღი და სიძულელი დაიმსახურა... პოლიტიკურად მკენე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს და თავისი პოლიტიკური მკენებლობით ამყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე“, — ვკითხულობთ გარიცხვის ოქმში. დაასახელეთ ეს მწერალი.

— ძნელი მისახვედრი არ არის, ლაპარაკია კონსტანტინე გამსახურდიაზე.

— ძველ რომში, როცა კონსული თანამდებობას იბარებდა, ფიცს სდებდა, რომ კანონებს კეთილსინდისიერად დაიცავდა. რას აკეთებდა ერთი წლის შემდეგ, როცა მისი თანამდებობიდან წასვლის დრო მოვიდოდა?

— არ ვიცი.

— ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, რა უნდა გაეკეთებინა?

— ჯობს, სწორი პასუხი თავად მითხრათ.

— იფიცებდა, რომ დანაპირები პირნათლად შეასრულა. რომელ ქვეყანაში გარდაიცვალა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II?

— ოსმალეთში.

— „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“. როდის წარმოთქვა ეს სიტყვები ნოე ჟორდანიამ?

— 1918 წლის 26 მაისს.

— რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— არ ვიცი.

— ასეთი დღეები არ არსებობდა, პაპმა გრიგორიანული კალენდარი შემოიღო... დაასრულეთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამოწვევა: „ჩვენს დროში სიტყვა კაცი იმდენად დაკნინდა, რომ მას...“

— „...კაცურის დამატება დასჭირდა“.

თამარ კვიციანი

მუმიების შესწავლა

383 ჩვენს დრომდე მუმიებს შესწავლის მიზნით ხსნიდნენ.

ეგვიპტური მუმიებისთვის ბანდის შემოსნა და გამოკვლევა ძალზე პოპულარული იყო XIX საუკუნის დასაწყისში და ხშირად ეს აუდიტორიის თანდასწრებით ხდებოდა. თომას პეტიგრიუმ (1791-1865), ინგლისელმა ქირურგმა, მრავალი მუშია გამოიკვლია და დაწერა რამდენიმე შესანიშნავი წიგნი ეგვიპტურ მუმიებზე.



▲ აუდიტორია თვალს ადევნებს მუმიის გახსნას. XIX საუკუნის დასაწყისში ამის გამო უამრავი ისტორიული სამხილი განადგურდა.

▼ პოლონელი მეცნიერი 3000 წლის წინანდელ მუმიას რენტგენოგრაფიისთვის ამზადებს.




384 ამჟამად მუმიების გახსნა საჭირო აღარ არის. ახლა მუმიების ძვლებს რენტგენის სხივებით იკვლევენ, სკანირება კი რბილი ქსოვილების დეტალურად შესწავლის საშუალებას იძლევა. ტესტების მეშვეობით ადგენენ, რომელ სახეობას განეკუთვნება მუშია.

500 ფაქტი ისტორიიდან / მუმიები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-26 • ნაწყვეტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“



▶ მუმის რენტგენოგრაფიამ ცხადყო, რომ გარდაცვალების მიზეზი გატეხილი თავის ქალა იყო.



385 ფრანგი იმპერატორი ნაპოლეონი დაინტერესებული იყო მუმებით. 1798 წელს, ინგლისელთა დამარცხების შემდეგ, ნაპოლეონი ეგვიპტეში შეიჭრა. მას თან ახლდა 150 მეცნიერი, რომელთაც ეგვიპტისა და მუმების შესწავლა დაიწყეს.

▼ როცა ნაპოლეონი 1799 წელს ეგვიპტიდან წავიდა, იქ ისტორიკოსთა და მეცნიერთა ჯგუფი დატოვა ეგვიპტის კულტურის შესასწავლად.

386 მუმების შესწავლით შეგვიძლია შევეიცოთ, რას საქმიანობდნენ, რით იყვნენ დააგადებული და რა სახის დაზიანებები ჰქონდათ სიცოცხლეში ამ ადამიანებს. ძირითადად, შესწავლილია ეგვიპტური მუმები. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, ჯანმრთელობის რა პრობლემები ჰქონდათ სიცოცხლეში: მაგალითად, ქვიშანარევი პური კბილებს უზიანებდათ, დაბინძურებული წყლის გამო ორგანიზმში პარაზიტები ზედებოდა, მწერების ნაკბენით ციებ-ცხელება ემართებოდათ, ხოლო მძიმე სამუშაო სახსრებსა და ძვლებს უვაადებდათ.



ცხოველთა მუმიები

387 ძველ ეგვიპტეში ცხოველების მუმიფიცირებასაც ახდენდნენ. ხალხის წარმოდგენით, ფრინველები და თევზები გარდაცვლილს საკვებად უნდა გამოეყენებინა მომავალ ცხოვრებაში. საყვარელი ძაღლების, კატებისა და მაიმუნების მუმიები პატრონს მეგობრობას გაუწევდნენ იმ ქვეყნად. ეგვიპტელებისთვის ხარი წმინდა ცხოველი იყო — მასში ღმერთების სული ბუდობდა. ამიტომ მკვდარ ხარებს მუმიფიცირებას უკეთებდნენ და მიწისქვეშა სამარეუბში მარხავდნენ.



▲ ეგვიპტელთა ღვთაება სობეკს მსხვერპლად სწირავდნენ ნიანგებს და მათაც იმავე წესით უკეთებდნენ მუმიფიცირებას, როგორც ადამიანებს.

▼ პატარა მამონტ დიმას ფეხებზე ახლაც შევდილიათ ბეწვი შენიშნოთ.

388 ეს პატარა მამონტი ციმბირის გაყინულ მიწაში იპოვეს 1977 წელს. რუსეთის ამ ნაწილში ნაპოვნი უძველესი სპილოსმაგვარი ცხოველი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ კარგადაა შენახული. ცხოველი დაახლოებით ერთი წლის ასაკში მოკვდა. მეცნიერებმა მას დიმა დაარქვეს იმ ადგილის მიხედვით, სადაც იპოვეს.





უპასუხე კითხვებს

1. რამდენი წლის არის დიმა?
2. რომელ ცხოველს აკავშირებდნენ ქალღმერთ ბასტეტთან?
3. რა იპოვა ჩარლზ სტერნბერგმა?
4. უკეთუბდნენ თუ არა ეგვიპტელები ნიანგებს მუმინფიცირებას?

4. დია
3. დინოზავრები
2. კატას
1. 40 ათასი წლის

კანონიერი

389

მსოფლიოს ყველაზე ძველი მუმიადინოზურია! ეს არის ედმონტოზავრი, რომელიც 1908 წელს აშშ-ში, ვაიომინგში იპოვეს. დინოზავრი სამოცდახუთი მილიონი წლის წინ მოკვდა. ნაცვლად იმისა, ჩონჩხად ქცეულიყო, მისი სხეული მზეზე გამოშრა. როცა ედმონტოზავრი ამერიკელმა პალეონტოლოგმა ჩარლზ სტერნბერგმა აღმოაჩინა, კანი და შიგნეულობაც ისევე კარგად ჰქონდა შენახული, როგორც ძვლები.



◀ ეს ბაყაყი 2006 წელს ვვაგილების ქოთანში მომკვდარა. მზემ ის გამოაშრო და ბუნებრივ მუმიად აქცია.



▲ ეს მუმინფიცირებული კატა 1971 წელს იპოვეს სადბერიში, საფოლკის საგრაფოში (დიდი ბრიტანეთი). ის ძველი წისქვილის კედელში ჩაატანეს, რათა შენობა ავი სულეებისგან დაეცვათ.

390

კატების მუმინფიცირება
ათასწლეულების განმავლობაში აშხალდებდნენ. ძველ ეგვიპტეში კატას ქალღმერთ ბასტეტს უკავშირებდნენ და ტაძრებში მსხვერპლად სწირავდნენ. კატების მუმინფიცირება ახლაც პოპულარული ვეროპაში, ძველ სახლებში. ხალხს სჯეროდა, რომ კატებს ბედნიერება და ბარაქა მოჰქონდათ, ამიტომ მათ კედლებში ატანდნენ. კატის გვამი შრებოდა და ბუნებრივად იქცეოდა მუმიად.

მუმის ისტორია

391


თქმულება მუმის წვევლის შესახებ 1923 წელს შეიქმნა. როგორც ლონდონის ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა, ვინც ფარაონის სამარხს შეეხებოდა, მუმის წვევლა არ ასცდებოდა. ტუტანხამონის აკლდამა ახალადმოჩენილი იყო და ხალხმაც იოლად დაიჯერა თქმულება მუმის წვევლაზე. საგაზეთო წერილმა უფრო გაამყარა ხალხის შიში. სინამდვილეში ყველაფერი გამონაგონი იყო.

* ჰოვარდ კარტერის მიერ ტუტანხამონის სამარხის გახსნა საფუძვლად დაედო თქმულებას მუმების წვევლის შესახებ.

392

მუმები არ გამოუყენებიათ

საგაზეთო ქაღალდად! ამბობდნენ, რომ ეგვიპტურ მუმებს ტილოს აცლიდნენ და ქაღალდს ამზადებდნენ. თითქოს XIX საუკუნის დასაწყისში ერთი ამერიკული გაზეთი ე. წ. მუმის ქაღალდზე იბეჭდებოდა. თაებრუდამხვევი ამბავია, მაგრამ მართალი არ არის.





393 მუმიას არ ჩაუძირავს

„ტიტანიკი“ 1912 წელს! ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ეგვიპტური კუბოს სახურავი. მას „უბედურების მომტანი მუმიას“ უწოდებენ, რადგან ფიქრობენ, რომ დაწყველილია. ინგლისელი ჟურნალისტი უილიამ სტედი „ტიტანიკის“ ბორტზე იყო იმ დამით, როცა გემი ჩაიძირა. იგი მოჰყვა ისტორიას „უბედურების მომტანი მუმიის“ შესახებ და ზოგიერთებმაც დაიჯერეს, რომ სწორედ ამიტომ იყო დაწყვეტილი „ტიტანიკის“ მოგზაურობა.

▼ სცენა 1932 წელს გადაღებული ფილმიდან „მუშია“. იმპოტების მუმიის როლი (მარცხნივ) მსახიობმა ბორის კარლოფმა შეასრულა.



▼ 2001 წელს გადაღებულ ფილმში „მუშია ბრუნდება“ უამრავი სპეცეფექტი გამოიყენეს.



395 მუმიები კინოვარსკვლავებიც გახდნენ.

პირველი, შუა-თეთრი და მუხვი, სრულიად უხმო ფილმი „მეფე რამსესის მუშია“ 1909 წელს გადაიღეს. მას შემდეგ მუმიებზე ბევრი ფილმი შეიქმნა. ერთ-ერთი ყველაზე ჟრუანტელის მომგრელი იყო 1932 წელს გადაღებული „მუშია“, სადაც მუმიის როლს ბორის კარლოფი ასრულებდა.

394 მუმიის შესახებ წიგნი 1827 წელს დაიწერა.

„მუშია! XXII საუკუნის ისტორია“ ჯეინ ლოუდონმა დაწერა. ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებში მოთხრობილია ამბავი, რომელიც 2126 წელს ხდება. მას შემდეგ ბევრი წიგნი შეითხზა მუმიების შესახებ — ზოგიერთი საბავშვო იყო. მაგალითად, ჟაკლინ უილსონის წიგნში „კატა-მუშია“ მოთხრობილია, როგორ ცდილობს ერთი გოგონა, საყვარელი კატის მუმიფიცირებას.

შპასუსხე კითხვებს

1. იყო თუ არა გემ „ტიტანიკზე“ მუშია?
2. რომელ ფილმში განასახიერა ბორის კარლოფმა მუშია?
3. რომელი თქმულება შეიქმნა 1923 წელს?
4. ვინ დაწერა „კატა-მუშია“?

ფეფაჟანის დიამონი: 4
 „ნაწმენქ ვისინე“: 3
 „იესე-ე“: 2
 „აჲ“: 1
 კადიედიეც

თანამედროვე მუმიები

396 მოსკოვსა (რუსეთი) და პეკინში (ჩინეთი) შეგიძლიათ ნახოთ თანამედროვე მუმიები. როცა 1924 წელს ვლადიმირ ილიჩ ლენინი გარდაიცვალა, მის სხეულს მუმიფიცირება გაუკეთდა და წითელ მოედანზე, მაგზოლუქუმში დაასვენეს. ასევე მოხდა ჩინეთშიც, როცა მათ ქედუნი აღესრულა. ორივე ქვეყნის მეთაური იყო და როცა გარდაიცვალენ, მათი ცხედრები ისე შეინახეს, რომ ხალხს მათი ხილვა შესძლებოდა.



397 მუმიფიცირება გაუკეთდა არგენტინის პრეზიდენტის ცოლს, ვა პერონსაც. 1925 წელს, გარდაცვალების შემდეგ, მისი ცხედარიც შეინახეს. 1955 წელს არგენტინის მთავრობა დაამხეს და ევას მუშია ევროპაში გაიგზავნა, 1974 წელს ის კვლავ დააბრუნეს არგენტინაში და დაკრძალეს.

▲ ლენინის მუშია მოსკოვში, მაგზოლუქუმშია დასვენებული. მის ცხედარს მუმიფიცირება საიდუმლო ტექნოლოგიით გაუკეთდა.

398 1994 წელს ამერიკაში ერთ ხანდაზმულ მამაკაცს მუმიფიცირება ძველი ეგვიპტური ტექნოლოგიით გაუკეთეს. გამოიყენეს იგივე ხელსაწყოები, რომელთაც ძველი ეგვიპტელი მუმიფიცირების ოსტატები მიმართავდნენ. მათ ამოიღეს შინაგანი ორგანოები, სხეული მარილით გამოაშრეს და მერე ტილოში გაახვიეს.

დაუფერებელია!

როცა ბრიტანელმა მხატვარმა ედვარდ ბერნი-ჯონსმა გაიგო, რომ მისი სახატაეი საღებავი მუმიის ნარჩენებისგან იყო დამზადებული, მან ტუბი „დაკრძალა“ და „საფლავზე“ ზიზილები დააწყო.





399 თუ \$67.000 დოლარს გადაიხდით, შეგიძლიათ საკუთარი ცხედრის მუმიფიცირებაც. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის კომპანია, რომელიც მუმიფიცირებას ძველი ეგვიპტური ტექნოლოგიით აკეთებს. რა თქმა უნდა, უფრო იაფი დაგიჯდებათ კატიის ან ძაღლის მუმიფიცირება. რაც უფრო პატარაა თქვენი საყვარელი ცხოველი, ფასი მით უფრო დაბალია.

400 თანამედროვე მუმიები ხელოვნების ნიმუშად იქცნენ. ინგლისელმა მხატვარმა დემიენ ჰერსტმა ცხვრები, ძროხები და ზვიგენები სპეციალურ ქიმიკატებში შეინახა და ისინი, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საჯაროდ გამოფინეს ხელოვნების გალერეაში.

▼ ცხვრის ეს მუმია 1994 წელს დემიენ ჰერსტმა ლონდონში გამოფინა.





შვილის მკვლელობის
რუსეთის მეფე

				1	2			
				ტროა	ბიბლიური წინასწარმეტ- ყველი			
				3				
				აზურბაიჯანის პრეზიდენტი				
				4	5	6		
				ისტორიული შხარე დას. საქართველოში	აუსტრიის დედაქალაქი	ბეღლბურჯის მონეტების შემგორველები		
7								
შოტლანდიის ძველი სახელწოდება								
8	9							10
კიევის ერთი დამაარსებელი	ძე. ბერძენი ისტორიკოსი ... პალიკარანსელი							ისტორი- ულად ნამუფაღბურული წესჩვეულება
				11	12			13
				საგანგებო დაგება	საქართველოს მეფე დავით VII			იუგოსლავიელი ლიქტატორი
	14							
	მოლდავიის ქვსარეზიდენტი							
					15			16
					ბელირუსის დედაქალაქი			ჩინელი ლიქტატორი
	17	18						
	პუნების ბელადი	ლევანდარული ქართული ფეხბურთელი						
					19			20
					ომის დმერთი, ბერძნული მითი			ძველი ქუთაისი
				21	22			
				ყრანის ცალკეული ლოცვა	შხარე ისტორიული სამხრ საქართველოში			
								23
								მეკვიდრე
24					25	26		
არტილერისტა ძე. რუსეთში					დევაგსრფი მხსნელი	შარლ ... გოლი		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:

1. გელათი; 2. ყაბაზი; 3. ათაბაგი; 4. სუ; 5. კაბლა; 6. ტოვა; 7. სულხან; 8. მესხა; 9. რივა; 10. მილენიუმი;
11. დეკლი; 12. კიევერსონი; 13. არჩილი; 14. კონგრესი; 15. ელადა; 16. ალ; 17. რევალია; 18. სიათა; 19. ლილიო;
20. ალია; 21. გალია; 22. მისე; 23. სირ; 24. ლუი; 25. აზია; 26. დელი; 27. აია; 28. ნოსტე. სურათზე: გამსახურდია.